დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 19 - 25 აგვისტო
N35 1553
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ალენ დელონს ეზიზღებოდა ეს ეპოქა და ჯერ კიდევ 5 წლის წინათ უნდოდა სიკვდილი!

25



ალენ დელონი აღშფოთებას ვერ მალავდა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის გამო და ამბობდა: იყო გეი, ნიშნავს, ბუნების წინააღმდეგ წახვიდე!




# ომი დაიწყო სააკაშვილმა და არა საქართველომ!




2-7

## ომამდე 4 თვით ადრე სააკაშვილის რეჟიმმა საველე კუბოები მოიმარაგა!

# ომი დაიწყო სააკაშვილმა!



**გამოსაძიებელი ბევრი არც არაფერია, რადგან სააკაშვილის რეჟიმს საერთაშორისო დონეზე თავადვე აქვს აღიარებული, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი მან დაიწყო!**

***საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირები დღითი დღე სულ უფრო მძაფრად და აქტიურად აცხადებენ — 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებას დავიწყებთ და ნაციონალურ მოძრაობას გავასამართლებთო!***

დიახ, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი საკითხი გამოძიების გარეშეც გარკვეული და დადასტურებულია — **ომი დაიწყო სააკაშვილმა!**

ოღონდ, აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი გარემოება — **ომი დაიწყო არა საქართველომ, არამედ სააკაშვილის რეჟიმმა, რომელიც ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის ინტერესების შესაბამისად კი არა, უცხო ძალების დაკვეთითა და დავალებით მოქმედებდა!**

შესაბამისად, საქართველოს

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** და „ქართული ოცნების" სხვა ლიდერები აქცენტს აკეთებენ ორ საერთაშორისო დოკუმენტზე — ევროკავშირის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნასა და ევროსაბჭოს რეზოლუციაზე, რომლებშიც შავით თეთრზე წერია, რომ **ე.წ. სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული სამხედრო კონფლიქტი სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ცხინვალის დაბომბვამ და რუსულ სამშვიდობო ძალებზე თავდასხმამ გამოიწვია.**

უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, შვეიცარიელი დიპლომატის **ჰაიდი ტალიავინის** ხელმძღვანელობით მომუშავე საერთაშორისო კომისიის დასკვნაშიც და ევროსაბჭოს რეზოლუციაშიც ცხინვალის რეგიონში ომის დამწყებად **ქართული მხარეა** დასახელებული.

რაც ყველაზე მთავარია, ცხინვალის რეგიონში ომის დამწყებად საქართველოს გამოცხადებას კვერი დაუკრა თავად **სააკაშვილის ხელისუფლებამ,** რომელიც, რუსეთის ხელისუფლების მსგავსად, **ტალიავინის კომისიის დასკვნას** უპირობოდ დაეთანხმა, შემდეგ კი იმავე დასკვნის მიხედვით შედგენილ ევროსაბჭოს რეზოლუციასაც მოაწერა ხელი.

აქედან გამომდინარე, გამოსაძიებელი ბევრი არც არაფერია, რადგან **სააკაშვილის რეჟიმს საერთაშორისო დონეზე თავადვე აქვს აღიარებული, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი მან დაიწყო!**




**ერთადერთი, ვინც 2008 წლის აგვისტოს ომით ნაგებული დარჩა, ეს არის საქართველო და ქართველი ხალხი!**

ხელისუფლების მიერ დაანონსებული გამოძიების უპირველესი ამოცანა სწორედ იმის დადგენა უნდა იყოს, **ვისი დაკვეთით და ვისი ინტერესების გამო დაიწყო სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს საომარი ავანტიურა,** რამაც რუსეთს საქართველოში შემოჭრისა და ახალი ტერიტორიების ოკუპაციის საშუალება მისცა?

სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა 2008 წლის აგვისტოში უცხო ძალების დაკვეთა რომ შეასრულეს, ამის შესახებ **„ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს განცხადებაშიც წერია:**

> ***„2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის ავანტიურისტული ქმედებები არა მისი ფსიქიკური გაუწონასწორებლობის, არამედ გარედან დაკვეთილი და კარგად დაგეგმილი ღალატის შედეგი იყო".***

სხვათაშორის, 2024 წლის 14 აგვისტოს, გაერო-ს უშიშროების საბჭოში რუსეთ-საქართველოს ომის თემაზე გამართული სხდომის შემდეგ, გაერო-ში რუსეთის ელჩის მოადგილე **დიმიტრი პოლიანსკიმ** ჟურნალისტებს სწორედ „ქართული ოცნების" ზემოხსენებული განცხადება აუფრიალა, ვითომდა იმის დასტურად, რომ 2008 წლის აგვისტოს ომზე რუსეთს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

ცხადია, ნაცებმაც არ დააყოვნეს და მაშინვე აყვირდნენ —

## რატომ არის გამორიცხული, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის რეჟიმმა რუსეთის დაკვეთით იმოქმედა?

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ **ავტორიტარიზმი, აგენტურის მმართველობა** აღარასდროს დაბრუნდეს საქართველოში, რადგან **ავტორიტარიზმისა და აგენტურის მმართველობის** საბოლოო შედეგი აუცილებლად იქნება **ისეთი მოვლენების განვითარება, რაც საქართველოში 2008 წელს განვითარდა,** კიდევ უფრო მძიმე ფორმით.

**ნაციონალური მოძრაობის გასამართლება პრინციპულად მნიშვნელოვანია,** რომ ერთხელ და სამუდამოდ დაისვენოს ქვეყანამ. მგონი, **სალომე ზურაბიშვილს** ხალხის უნდა ეშინოდეს, **ხალხის რისხვას ვერ გადაურჩება** — მანაც პასუხი უნდა აგოს ღალატისთვის, რომელსაც მუდმივ რეჟიმში სჩადის.

„რეზონანსი"

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**არანაირი სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს** საქართველოში. არასამთავრობო ორგანიზაციები **პირდაპირ არიან ჩართული საარჩევნო კამპანიაში.** როგორ შეიძლება არ მოგწონდეს **ელისაშვილის და ხაზარაძის** გაერთიანება? **მოღალატე და ნულპროცენტიანები ერთად არიან თავმოყრილები,** მოსახლეობას მარტივი არჩევანის გაკეთება შეეძლება.

„ინტერპრესნიუსი"

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



დავგუგლე და **კონგრესმენი ტერნერი** ერთ-ერთ ყველაზე **კორუმპირებულ კონგრესმენად** იყო მოხსენიებული. ასეთი ადამიანები ჩამოდიან და, რბილად რომ ვთქვათ, **ძალიან კრიტიკულად აფასებენ „ქართულ ოცნებას".**

„ახალი თაობა"

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი*



ფიცის დადებამდე **რუსეთ-უკრაინის ომს** დავასრულებ!

**რუსეთმა გერმანია ჩვენთან ერთად დაამარცხა და მათ ნაპოლეონი დაამარცხეს,** ისინი დიდ ძალას წარმოადგენენ.

„საქართველოს რესპუბლიკა"

# ომი დაიწყო არა საქართველომ, არამედ სააკაშვილის რეჟიმმა, რომელიც უცხო ძალების დაკვეთითა და დავალებით მოქმედებდა!



**რატომ არის გამორიცხული, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის ხელისუფლება მოქმედებდა როგორც მოსკოვის, ისე ვაშინგტონის დაკვეთის შესაბამისად?**

**რუსეთი „ქართული ოცნების“ განცხადებებს სათავისოდ იყენებს, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ივანიშვილის ხელისუფლება პროპუტინურიაო!**

სინამდვილეში, არც ГАЗЕТЕ-ში რუსეთის ელჩის მოადგილეს და არც მთლიანად კრემლს „ქართული ოცნების“ არანაირი განცხადება თავის სამართლებლად არ გამოადგება, რადგან რუსეთის აგრესორობა და ოკუპანტობა არამხოლოდ სტრასბურგისა და ჰააგის სასამართლოების მიერ არის დამტკიცებული, არამედ ამას, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ისტორია ადასტურებს!

**2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის მიერ დაწყებული ომი მართლაც გარედან რომ იყო დაკვეთილი, ეს განვლილი 16 წლის განმავლობაში ნათლად გამოიკვეთა, მაგრამ საკითხავია, კონკრეტულად რომელი გარე ძალის ან ძალების დაკვეთა შეასრულა ნაციონალურმა მოძრაობამ?**

**რატომ არის გამორიცხული,** რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის ხელისუფლებამ **რუსეთის დაკვეთით** იმოქმედა?

**რატომ არის გამორიცხული,** რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის ხელისუფლებამ **ამერიკის დაკვეთა** შეასრულა?

**რატომ არის გამორიცხული,** რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის ხელისუფლება მოქმედებდა **როგორც მოსკოვის, ისე ვაშინგტონის დაკვეთის შესაბამისად?**

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადზე უცხადესია — **2008 წლის აგვისტოს ომით მოგებული დარჩა რუსეთი, რომელმაც საქართველოში თავისი სამხედრო ბაზები დააბრუნა და მოგებული დარჩა ამერიკაც, რომელმაც მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახა მისი მთავარი მოწინააღმდეგის აგრესიული და ანტიჰუმანური სახე!**



ვლადიმერ პუტინი და ჯორჯ ბუში პეკინის ოლიმპიადის გახსნაზე. 2008 წლის 8 აგვისტო

**2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთისა და ამერიკის ინტერესებში ერთნაირად რომ შედიოდა, ამის სიმბოლურ სურათ-ხატად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ ჯორჯ ბუში და ვლადიმერ პუტინი 2008 წლის 8 აგვისტოს პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე ერთმანეთის გვერდით ისხდნენ!**

**ერთადერთი,** ვინც 2008 წლის აგვისტოს ომით **წაგებული დარჩა,** ეს არის საქართველო და ქართველი ხალხი!

2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთისა და ამერიკის ინტერესებში ერთნაირად რომ შედიოდა, ამის სიმბოლურ სურათ-ხატად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში** და რუსეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი **ვლადიმერ პუტინი** 2008 წლის 8 აგვისტოს პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე ერთმანეთის გვერდით ისხდნენ!

ამდენად,

## როცა 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის მიერ გარედან მიღებული დაკვეთის შესრულებაზეა საუბარი, იმ „გარედან“-ში რუსეთიც და ამერიკაც ერთნაირად უნდა ვიგულისხმოთ!

საერთოდ, სააკაშვილის რეჟიმი ამერიკისთვისაც და რუსეთისთვისაც სწორედ იმიტომ იყო მისაღები, რომ ხან ერთის დაკვეთებს ასრულებდა და ხან — მეორისას!

**ერთადერთი, ვისი დაკვეთაც სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას არასოდეს შეუსრულებიათ, ეს საქართველოა!**

ამიტომაც სააკაშვილი და ნაცმოძრაობა **საქართველოს ღალატისთვის** უნდა გასამართლდნენ!

**ჯაბა ხუბუა**

# 2008 წლის აგვისტოს ომით მოგებული დარჩა რუსეთიც და ამერიკაც! ერთადერთი, ვინც წააგო, ეს არის საქართველო!

## კვირგვინოსნები

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ **ქართველი ხალხი თავს მოატყუებინებს ნაციონალურ მოძრაობას.** სხვადასხვა ჯგუფად დაიყოფიან და ამით ფიქრობენ, ვინმეს მოატყუებენ, რომ **ხმა მიაცემინონ ნაციონალური მოძრაობისთვის და დააბრუნებინონ ის ძალადობრივი რეჟიმი,** რომელიც მათ ჰქონდათ დამყარებული. **ქართველმა ხალხმა არაერთხელ აჩვენა სიბრძნე** და ამ შედეგს, საბოლოო ჯამში, 26 ოქტომბერს ვნახავთ.

„პირველი არხი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



პოლიტიკურ ველზე **ბევრი საოცრება ვიხილეთ** და მათ შორის კონკურსი რომ ჩატარდეს, ალბათ, **ელისაშვილისა და ხაზარაძის გაერთიანება იქნება მოწინავეთა შორის,** თუ არა ჩემპიონი ამ აბსურდულ ვითარებათა აღწერის დროს.

„რეზონანსი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



საქართველოს ინტერესებში არ შედის, რომ ნებისმიერ სახელმწიფოთა შორის **დაპირისპირების ინსპირატორი იყოს** — ჩვენ არ ვართ დაინტერესებული, ანტიჩინური ან ანტიამერიკული პროპაგანდის ადგილი გავხდეთ.

„ინტერპრესნიუსი“

**ბენ კარდინი**
*აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე*



გული მწყდება, რომ საქართველოს **„უცხოური აგენტების“ კანონი** საფრთხეს უქმნის დამოუკიდებელ ჟურნალისტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას და **ქართველ ხალხს შეიძლება, ევროკავშირში გაწევრიანება შეუჩეროს,** რაც მძიმე შეცდომა იქნება. **საქართველოს პარლამენტისთვის გვიანი არ არის, რომ კურსი შეაბრუნოს.**

„ინტერპრესნიუსი“

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-34

# ლაზარე ჯორბენაძე: პირდაპირ ვაცხადებ – 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილმა და მისმა ბანდამ დაიწყეს!

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე „ასავალ-დასავალთან“ სკანდალურ საუბარს აგრძელებს და 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ საზოგადოებისთვის უცნობ ფაქტებს ასაჯაროებს:***



— 2008 წლის აგვისტოს ომი ე.წ. ვარდების რევოლუციის კვალდაკვალ დაიგეგმა, ხოლო, რაც ე.წ. ვარდების რევოლუციის დროს მოხდა, ეს შიდა გადატრიალება იყო და სხვა არაფერი. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, **ეს არის თავიდან ბოლომდე ევროპული და ამერიკული ძალა, რომელსაც არავითარი კავშირი რუსეთთან არა აქვს,** მაგრამ უბედურება ის არის, რომ „ქართული ოცნება“ ამერიკელებმა და ევროპელებმა შექმნეს ნაცების ოპოზიციად.

**საპატრიარქოში ნაცებსა და „ქართულ ოცნებას“ შორის შედგა შეთანხმება, რომლის ძალითაც 2012 წლის 1 ოქტომბერს არჩეულ პარლამენტში ადგილების 60 პროცენტი უნდა რგებოდათ ნაცებს, ხოლო 40 პროცენტი – „ქართულ ოცნებას“! გეგმის თანახმად, ნაცები ხელისუფლებაში რჩებოდნენ, მაგრამ ამერიკელების დავთრები არია ქართველმა ხალხმა, რომელმაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ძალით მოიყვანა.**

**— „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში უდიდესი როლი ითამაშა ე.წ. ციხის კადრებმა, რომელიც 2012 წლის 19 სექტემბერს გავრცელდა და სააკაშვილის კვაზიფაშისტური რეჟიმი ერთიანად დაანგრია. ვინ გადაიღო და გაავრცელა ეს საშინელი კადრები და რამდენად რეალურია ეს ყველაფერი?**

— ე.წ. ციხის კადრებთან“დაკავშირებით მოგვიანებით უფრო ვრცელ და დეტალურ ინტერვიუს მოგცემთ, რადგან პირადად მე, როგორც პატიმარი, ბევრის მომსწრე და თვითმხილველი ვარ. ერთს თავიდანვე გეტყვით: **რაც იმ კადრებშია, არაფერია იმასთან შედარებით, რა უბედურებაც სააკაშვილის ციხეში ხდებოდა!** არაფერი მანდ დადგმული არ არის, ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ ხალხმა არ იცის მთავარი — ე.წ. ციხის კადრები „ქართულ ოცნებას“ არც გადაუღია და არც გაუვრცელებია!

**— მაშ, ვინ გადაიღო და გაავრცელა?**

— ე.წ. ციხის კადრები **ვანო მერაბიშვილის** დავალებით იქნა გადაღებული და მიტანილი „კონსერვატიულ მოძრაობაში“, რომელიც მაშინ ყველაზე რადიკალური ძალა იყო და რუსეთისკენ იყურებოდა!

**— რატომ ჩამოშალა ვანო მერაბიშვილმა სისტემა?**



**„2008 წლის აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა, ბანდიტმა კეზერაშვილმა გამოსცა საიდუმლო ბრძანება 15 ათასი ერთეული საველე ჩასასვენებლის შეძენის შესახებ!“**

— ნათქვამია, ციხე შიგნიდან ტყდებაო!

**მერაბიშვილს მწვავე დაპირისპირება ჰქონდა ახალაიებთან, რომლებიც ვანო მერაბიშვილის „ჩატეხას“ აპირებდნენ, რადგან ბაჩო ახალაია პრემიერ-მინისტრობას გეგმავდა. მერაბიშვილმა ახალაიებს დაასწრო და თავად „ჩატეხა“ ისინი, მაგრამ ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლა, ე.ნ.**





დათა ახალაია, ბაჩო ახალაია , ვანო მერაბიშვილი

## კვირგვინოსნები

**ნინო ნიღოსანი**
*პარლამენტარი*



2008 წლის ომისთვის ნაცმოძრაობას ქართველმა ხალხმა **პოლიტიკური პასუხისმგებლობა უკვე დააკისრა,** თუმცა, ისმის კითხვა — **სად არის სამართლებრივი პასუხისმგებლობა?**

„იმედინიუსი“

**გიორგი ბაბუნია**
*საზოგადოება „ქართულის“ ხელმძღვანელი*



საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები დღემდე ცდილობენ **ურცხვად მოიხსნან პოლიტიკური პასუხისმგებლობა,** უფრო მეტიც, **აგვისტოს ომის დანაშაული** საზოგადოების თვალში საკუთარ გამარჯვებად გაყიდონ.

„იმედინიუსი“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



ნეტა, რა ითქმის იმაზე, ვინც **ბაობაბების გახმობაზე** აშკარად უფრო წუხს, ვიდრე — **ქვეყნის გახმობაზე.**

„რეზონანსი“

**ბესიკ ადეამია**
*მაღვიძარა ქუთაისიდან*



დავდგეთ ერთად, რომ **სამშობლოს გულში, წმინდა გიორგის ქანდაკების გარშემო,** მწვანე საფარის ნაცვლად მწვანე მარმარილოზე სიტყვები — **„მამული, ენა, სარწმუნოება, თავისუფლება“** სამუდამოდ წარმოჩინდეს!

# „ქართულ ოცნებას“ 2008 წლის აგვისტოს ომის დამნაშავეები 2012 წელსვე უნდა დაეჭირა, მაგრამ ამის უფლება ივანიშვილს ამერიკელებმა არ მისცეს!“

## ციხის კადრების გამომზეურებით ნაცმოძრაობაც მოსპო და ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოიყვანა!

მაგრამ ჩვენ აქ არ უნდა დაგვავიწყდეს დიდი ქართველი მეცენატის ბიძინა ივანიშვილის როლი, რომელიც **შევარდნაძესა და სააკაშვილს** გვერდით ედგა და ფულს ქვეყნის სასიკეთოდ ხარჯავდა. **არავითარი სხვა განზრახვა მაშინ ივანიშვილს არ ჰქონია...** სააკაშვილის დროს მთელი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აღჭურვილობა **ბიძინა ივანიშვილმა** იყიდა. დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი და იარაღი, დაახლოებით 120 ერთეული „პიკაპი“, მთელი სამხედრო პოლიციის აღჭურვილობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა მანქანა, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებისმიერი აღჭურვილობა, სპეცაპარატურა და მთელი საპატრულო პოლიციის მანქანები და ტექნიკა სულ ბიძინას ფულით შეიძინეს, რომელიც მაშინ სახელმწიფოს დაუდგა გვერდით და არა სააკაშვილს. ეს ბიძინა ივანიშვილს არასოდეს უნდა დავუკარგოთ!

ახლა გეტყვით, სააკაშვილი და მისი ბანდა რა მზაკვარი ხალხია... **სააკაშვილმა ბიძინას ნაჩუქარი 250 მილიონი დოლარი, ძირითადად, ჯიბეში გაუშვა და უვარგისი ტყვია-წამალი და ტექნიკა იყიდა.**

იმისათვის, რომ ეს ყველაფერი ჩამოეწერა და თავისი ვირთხობა დაემალა, სააკაშვილს სჭირდებოდა მცირე კონფლიქტი, რომელიც 2004 წლის ზაფხულში სამაჩაბლოში გამოიწვია კიდეც.

## პირდაპირ ვაცხადებ: ნაცმოძრაობა მაშინაც და დღესაც საქართველოში წარმოადგენს რუსეთის აგენტურას და როგორც კი რაღაც გაუჭირდება, რუსეთი და სააკაშვილი მაშინვე ერთობლივად ჩაიდენენ რაღაც პროვოკაციას.

კაგებეშნიკ **თემურ ალასანიასგან,** რომელიც სააკაშვილსა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის შუამავალი იყო, სააკაშვილს დავალებული ჰქონდა რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში შემოყვანა. ეს დავალება მან 2004 წლის ზაფხულში **ირაკლი ოქრუაშვილს** მისცა, მაგრამ მაშინ დიდი კონფლიქტის გამოწვევის შეეშინდათ... თან **ზურაბ ჟვანიას** ფაქტორიც არ იყო მოხსნილი, რომელიც უნდა გაენეიტრალებინათ!

**— რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომს, როგორ დაიწყო და ვინ დაიწყო ომი?**

— პირდაპირ ვაცხადებ: 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილმა და მისმა ბანდამ დაიწყეს! 2008 წლის აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა, **ბანდიტმა კეზერაშვილმა** გამოსცა საიდუმლო ბრძანება 15 ათასი ერთეული საველე ჩასასვენებლის შეძენის შესახებ. საველე ჩასასვენებლები სასწრაფოდ შემოიტანეს უკრაინიდან. **ეს იყო ბრეზენტის ჩასასვენებლები ოთხი ხელსაკიდით, რომლითაც ომის დროს ჯარისკაცებს სასწრაფო წესით ასაფლავებენ.**

## 15 ათასი ერთეული საველე ჩასასვენებლის გარდა სააკაშვილმა და კეზერაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომამდე რამდენიმე თვით ადრე საქართველოში ასევე შემოიტანეს მოძრავი




> „ბიძინა ივანიშვილი მოიქცა ვაჟკაცურად, ეს სატანა და გარყვნილი სააკაშვილი რომ მოგვაშორა, მაგრამ ნაცმოძრაობის საშუალო და ქვედა რგოლი ხელისუფლებაში დატოვა, რითიც საბედისწერო შეცდომა დაუშვა!“







## კრემატორიუმი, რომელშიც გვამებს წვავენ...

ასევე დაიწყეს ძველი, კომუნისტების დროინდელი ხილისა და სხვა პროდუქტების შესანახად განკუთვნილი მაცივრების მასიური შეკეთება-რემონტი, ანუ ეს გარეწრები 2008 წლის აპრილის მიწურულსა და მაისის დასაწყისში უკვე ომის დასაწყებად იყვნენ მზად!

**— 2008 წლის აპრილ-მაისში კეზერაშვილის მიერ ხელმოწერილი საიდუმლო ბრძანება 15 ათასი ერთეული საველე ჩასასვენებლის შეძენის შესახებ თქვენ ნანახი გაქვთ?**

— დიახ, როცა ცენტრალური დაზვერვის სამმართველოში ვიჯექი და 2011 წლის დასაწყისიდან 2012 წლის არჩევნებამდე ამ სამშობლოს მოღალატეებს რჩევებს ვაძლევდი, ეს დოკუმენტი ვნახე. **დღეს ეს დოკუმენტი გასაიდუმლოებულია, მაგრამ ხელისუფლებას მისი გამოაშკარავება შეუძლია.** მოკლედ,

## 2008 წლის მაისში ამ გიჟ სააკაშვილს ამერიკიდან უკვე მიღებული ჰქონდა ბრძანება, რომ რუსეთთან კონფლიქტი გამოეწვია, მაგრამ ელოდებოდა შესაფერის დროს.

გაგახსენებთ ერთ ფაქტს: 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როცა 135 ქართული სოფელი დავკარგეთ, სააკაშვილი და მისი ბანდა გამოდიოდნენ და გაჰკიოდნენ — რუსეთს ნიღაბი ჩამოვგლიჯეთო! სწორედ ამაზე იყო ეს გათვლილი და ამიტომაც იყიდეს 15 ათასი საველე ჩასასვენებელი — **ქართველ მოსახლეობაში უნდა ყოფილიყო დიდი მსხვერპლი, რათა მერე სააკაშვილს, ჰილარი კლინტონსა და ჯონ მაკკეინს, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს, ხმაშეწყობილად ეყვირათ — რუსეთი აგრესორია, შეხედეთ, საქართველოს რა უქნაო!** სწორედ ამ ბინძურ პოლიტიკას შეეწირა საქართველოს ძირძველი კუთხეები — შიდა ქართლის დიდი ნაწილი, კოდორის ხეობა და აფხაზეთი!

**— 2008 წლის აგვისტოს ომის მსვლელობაზე რას იტყვით?**

**— ომი დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს, როცა სააკაშვილმა მძინარე ცხინვალი დაბომბა, ხოლო 8 აგვისტოს, მედვედევის ბრძანებით, ათეულობით რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა და ჩვენი სოფლებისა და ქალაქების დაბომბვა დაიწყო. პარალელურად, ასეულობით ტანკი როკის გვირაბის გავლით ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში შემოვიდა.**

2008 წლის 8 აგვისტოს საღამოს აჭარიდან დამირეკა ჩემმა ორმა კლასელმა — ჩვენი შვილები — წვევამდელები, სამაჩაბლოში, სადღაც ტყეში არი-

*გაგრძელება მე–6 გვერდზე*

> „2008 წლის 9 აგვისტოს, გამთენიისას, გენერალი ზაზა გოგავა თბილისში იყო გაქცეული, ხოლო გენერალი მამუკა ყურაშვილი იგოეთთან ვნახე – ჯარისკაცები და ფრონტის ხაზი ორივეს მიტოვებული ჰქონდა!“

## კვირგვინოსნები



**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*

მადლობა ყველა ჯარისკაცსა და მეთაურს, რომლებსაც **რუსი სამხედროები ტყვეებად აჰყავთ** და ამით ჩვენი ჯარისკაცებისა და სამოქალაქო პირების, **რომლებიც რუსეთის ტყვეობაში იმყოფებიან,** გათავისუფლებას აახლოებენ.

„ინტერპრესნიუსი“



**ალექსანდრე ლუკაშენკო**
*ბელარუსის პრეზიდენტი*

მოდით, **დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და დავასრულოთ ეს ბრძოლა.** ეს არც უკრაინელ ხალხს სჭირდება, არც რუსებს და არც ბელარუსებს. **ეს დასავლეთში სჭირდებათ.** მე არ შემიძლია ფაქტების გამჟღავნება, რადგან გასაიდუმლოებულია, თუმცა, ზოგჯერ ისინი ღიად საუბრობენ, მაღალი რანგის პიროვნებები ამბობენ, **დაე, რუსებმა და უკრაინელებმა სცემონ ერთმანეთს და ყველა დაიღუპოს.**

„პირველი არხი“



**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტის წევრი*

**ნაციონალური მოძრაობა არის ძალიან შესუსტებული და ბატონი ვაშაძის** შეერთებამ მათ რეიტინგი ვერ გაუზარდა. ვხედავთ, როგორი კლებაა მათ რეიტინგში. **„ახლებს“** რაც შეეხება, ჩვენ მათ **ძველებს** ვეძახით, რადგან იქ არიან ნაციონალური მოძრაობის დროინდელი ყოფილი პროკურორი **ნიკა გვარამია,** ასევე არის **მელია,** რომელიც ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე გახლდათ. ასევე **ელენე ხოშტარია,** რომელიც **თვითონ და მთელი ოჯახი რუსეთიდან ფინანსდება.**

„პირველი არხი“



**მიხეილ რამიშვილი**
*ადვოკატი*

რაც ფუჭდება და ინგრევა **ოპოზიციის ბრალი თუ არის,** მაშინ სახელმწიფოს რომელი პარტია მართავს?

„ახალი თაობა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ან ჩარჩენილები, ვერ გამოდიან და იქნებ გვიშველოო! იმ ბავშვებს ვერ მივატოვებდი. ამიტომ გადავისახე პირჯვარი, მოვძებნე ჩემი ძველი ძმაკაცი, უვაჟკაცესი პიროვნება, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ნაომარი **მეჯვრისხეველი გია,** რომელიც ამ ხუთი წლის წინათ სისხლის გათეთრებით გარდაიცვალა და ჩემი გასაჭირის შესახებ ვუთხარი — ჩემი კლასელების შვილები არიან, იგივე ჩემი შვილები და ბავშვები უნდა გადამარჩენინო-მეთქი! გიამ მითხრა — გენერალიტეტი გაქცეულია, ჯარი მთლიანად დემორალიზებულია, ვისაც სად შეუძლია, ისე გარბის და სად უნდა წავიდეთო?! ანუ ასეთი კატასტროფული მდგომარეობა უკვე დამდგარი იყო 2008 წლის 8 აგვისტოს საღამოს. — მაინც უნდა წამომყვე-მეთქი! მაშინ ე.წ. ჯიპი მყავდა, დავადეთ თავი და წავედით. ნაცნობების საშუალებით დავუკავშირდი გენშტაბს, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, გენშტაბის უფროსი, გენერალი **ზაზა გოგავა** სამხედრო პოზიციებიდან უკვე გამქრალი იყო და თბილისში გახლდათ გაქცეული. პირდაპირ ვაცხადებ და ხელს ვადებ: გენერალი **ზაზა გოგავა** სისხლის სამართლის დამნაშავეა, რადგან 2008 წლის 8 აგვისტოს დანარჩენ ვირთხებთან ერთად ბრძოლის ველიდან გაქცეული იყო, ხელმძღვანელობა არ არსებობდა და საცოდავი ბავშვები ბედის ანაბარა იყვნენ მიტოვებული!

**— ამის შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?**

— ამის შემდეგ დავურეკე ჩემს მეგობარ პარლამენტარებს ნაცმოძრაობიდან, რომლებმაც მითხრეს — **ზაზა გოგავა** უკვე თბილისშია, მაგრამ გენერალ **მამუკა ყურაშვილთან** შუამდგომლობა შეგვიძლიაო! 2008 წლის 9 აგვისტოს, გამთენიისას, იგოეთთან უკვე რუსის ტანკები იყო მომდგარი, იქვე გახლდათ **გენერალი ყურაშვილიც,** რომელსაც ვუთხარი — ჩემი ბიჭები არიან ტყეში ჩარჩენილი და უნდა გამოვიყვანო-მეთქი! — თქვენ გიჟები ხართ, სად მიდიხართ?! იქ სასაკლაოა, მკვდრები ვერ გამოვიტანეთ! — მიპასუხა **ყურაშვილმა,** ანუ 8 აგვისტოს რუსეთის ავიაციამ და არტილერიამ რომ დაიწყო იქაურობის დადუღება, დაარტყეს ვაზიანს, დაარტყეს თბილისის რამდენიმე სტრატეგიულ წერტილს, **სააკაშვილის** გენერლები ადგნენ და ბრძოლის ველიდან გამოიქცნენ.

**საქვეყნოდ ვაცხადებ:** 2008 წლის 9 აგვისტოს, გამთენიისას, გენერალი **ზაზა გოგავა** თბილისში იყო გაქცეული, ხოლო გენერალი **მამუკა ყურაშვილი** იგოეთთან ვნახე — ჯარისკაცები და ფრონტის ხაზი ორივეს მიტოვებული ჰქონდა! მე და ჩემი მეგობარი მაინც წავედით... ახალგორი ჯერ კიდევ დაკარგული არ იყო. გადავედით ქსნიდან, გადავიარეთ ახმაჯი და მერე ჩავედით შინდისში, სადაც მინდვრებში, ისევ

**„სარკოზის ძალისხმევით ხელმოწერილ დოკუმენტს ექვსი საიდუმლო მუხლი ახლავს და სწორედ ამ მუხლებშია განსაზღვრული „სამხრეთ ოსეთის“ „საზღვრები“, რომელსაც უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში რუსები მოჰყვებიან და მავთულხლართებს აბამენ!“**






**ლაზარე ჯორბენაძე:**

# რასაც დღეს რუსები ილობავენ, ეს სააკაშვილის მიერ დადგენილი და ხელმოწერილი „საზღვრებია!“

ოსების დახმარებით, ბიჭები ვიპოვეთ და ოჯახებს უვნებლები დავუბრუნეთ! გიას დედა ჰყავდა ოსი, ზეპირად იცოდა ტერიტორია და ამან გვიშველა. საგანგებოდ აღვნიშნავ: **რაც მე ვნახე, რუსის ჯარი იქ ცუდად არ იქცეოდა და ქართველებზე, ძირითადად, ოსური ბანდფორმირებები ძალადობდნენ. სწორედ რუსებმა აღკვეთეს ოსების საშინელი ძალადობა.** უფრო მეტიც, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რომ არა რუსის ჯარი და კომენდანტის საათი, ოსური ბანდფორმირებები გორს პირწმინდად გაძარცვავდნენ და გააუბედურებდნენ!

უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში რუსებს საქართველოში სააკაშვილზე დიდი მხარდამჭერი არ ჰყოლიათ!

**2008 წლის აგვისტოს ომით სააკაშვილმა ორი კურდღელი დაიჭირა – ამერიკას ათქმევინა, რომ რუსეთი ოკუპანტია, ხოლო რუსეთს გაუკეთა ყველაფერი, რათა აფხაზეთისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობა“ ეღიარებინა!**

გარდა ამისა, მოღალატე სააკაშვილმა კოდორის ხეობის დამცველთა სახალხო ლაშქარი **„მონადირე“** დაშალა, **ემზარ კვიციანზე** ძებნა გამოაცხადა და უბრძოლველად ჩააბარა კოდორი.

მანამდე გამყიდველმა სააკაშვილმა **ზვიადის მიერ გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი აღადგინა და შექმნა ცრუმთავრობა, რომელიც დღემდე არსებობს.** მოგეხსენებათ, ნაძირალა სააკაშვილმა აღდგენილი „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში ახალგორი და თრუსოს ხეობაც შეიყვანა. **სარკოზის** ძალისხმევით ხელმოწერილ დოკუმენტს ექვსი საიდუმლო მუხლი ახლავს და სწორედ ამ მუხლებშია განსაზღვრული **„სამხრეთ ოსეთის“ „საზღვრები“,** რომელსაც უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში რუსები მოჰყვებიან და მავთულხლართებს აბამენ. ასე რომ, რასაც დღეს რუსები ილობავენ, ეს სააკაშვილის მიერ დადგენილი და ხელმოწერილი „საზღვრებია“.

**— „ქართულმა ოცნებამ“ 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილისა და მისი ხროვის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პირობა დადო! რას იტყვით?**

— „ქართულ ოცნებას“ სრულად ვეთანხმები — სააკაშვილმა და მისმა გენერლებმა ჩაიდინეს არაერთი დანაშაული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითნებურად მიატოვეს სამხედრო პოზიციები, გაიქცნენ და გაწირეს ჯარისკაცებიც და მშვიდობიანი მოსახლეობაც, რაც საბჭოთა კავშირში დახვრეტით ისჯებოდა. ამის გამო სისხლის სამართლის საქმეები უნდა აღიძრას, მაგრამ **„ქართული ოცნება“ 2008 წლის აგვისტოს ომის დამნაშავეებს ვერ დასჯის!**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ საქმე ხანდაზმულია! ამრიგად, **2008 წლის აგვისტოს ომის დამნაშავეთა წინააღმდეგ გამოძიების დაწყება სუფთა წინასაარჩევნო პიარია და სხვა არაფერი.** „ქართულ ოცნებას“ 2008 წლის აგვისტოს ომის დამნაშავეები 2012 წელსვე უნდა დაეჭირა, მაგრამ **ამის უფლება ივანიშვილს ამერიკელებმა არ მისცეს.** ახლა საქმე ხანდაზმულია და დანაშაული ვისაც გინდა დაუმტკიცონ, ვერავის დააპატიმრებენ! მოხდება ის, რაც „ხანდაზმული თაღლითების“ **მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის** შემთხვევაში მოხდა. კერძოდ, ე.წ.

## „2008 წლის აგვისტოს ომში ოთხასზე ბევრად მეტი ქართველი დაიღუპა. სინამდვილეში, მშვიდობიან მოსახლეობაშიც დიდი მსხვერპლი იყო, დაახლოებით 2 ათას კაცამდე დავკარგეთ!“

## კვირგვინოსნები

**ბაკურ კვესაჯანიშვილი**
*ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი*



**ასეა მთელი რადიკალური ოპოზიცია** — არამხოლოდ ყაზბეგელები ვეზიზღებით, არამედ მთელი ქვეყანა ეზიზღებათ. **ჯერ კახელებს ღვინოში ჩაუფსეს, ახლა მთის ხალხს მოგვდგნენ და ვაჟკაცობას გვიწუნებენ.** 26 ოქტომბერს საბოლოოდ უნდა დავასრულოთ ეს **ქვეყნის მოძულე აგენტურა.**

„ინტერპრესნიუსი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*



მოხევეების სამშობლოსადმი სიყვარულის მაღალმა ხარისხმა გააოცა **ნატა ფერაძე** და წყობიდან გამოიყვანა **გია ჭანტურია.** მოხევეობა ეს არის სიამაყე, **ნაცობა არის სირცხვილი,** მაგრამ ვირის წიხლი საწყენი არ უნდა იყოს.

„TV იმედი“

**ნათია მეზვრიშვილი**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე*



„ოცნებას“ მოვუწოდებთ, **შექმნან საპარლამენტო საგამოძიებო კომისია** ქოლ-ცენტრების საქმეზე! თუ ამ დანაშაულებრივი ფულით თქვენვე არ სარგებლობთ, **თქვენივე ინტერესი უნდა იყოს ამ დანაშაულის სრულყოფილი გამოძიება** და სიმართლის დადგენა არჩევნებამდე, რათა საფრთხე არ შეექმნას არჩევნების თავისუფლებას და სამართლიანობას.

„აიპრესი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი*



ოპოზიციონერ კოლეგებს **თბილისში საქმის კეთება როცა ეზარებათ და დასვენება მოუნდებათ,** იტყვიან — წავედით რეგიონებშიო. **კაცმა არ იცის, რეგიონებში რას აკეთებენ,** მაგრამ ხალხს ჰგონია, რომ საქმეზე არიან წასული.

„პირველი არხი“

# „უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში რუსებს საქართველოში სააკაშვილზე დიდი მხარდამჭერი არ ჰყოლიათ!“



„სააკაშვილმა და მისმა გენერლებმა ჩაიდინეს არაერთი დანაშაული!“

ბანკირებს დანაშაული დაუმტკიცდათ, **ხაზარაძე და ჯაფარიძე** ვერ დაიჭირეს, რადგან საქმე ხანდაზმულია! ეს პოლიტიკური თამაშია და მეტი არაფერი.

**ის მუხლი, რომელზეც ხანდაზმულობის ვადა 20 და 25 წელია – სამშობლოს ღალატი – კოდექსიდან ამოღებულია და ამ მუხლით ამ მართლაცდა მოღალატეებს ვერ გაასამართლებენ.**

დარჩენილია 15-წლიანი ხანდაზმულობის ვადის მქონე დანაშაულები. რაკი ომის დაწყებიდან 16 წელი გავიდა, სააკაშვილისა და მისი ხროვის მიერ აგვისტოს ომში ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული უკვე ხანდაზმულია.

**— რა გახდა სააკაშვილისა და ივანიშვილის განშორების მიზეზი?**

— ყველაფერს ბიძინა ყიდულობდა და აშენებდა, ხოლო სააკაშვილი დადიოდა და ლენტებს ჭრიდა, მაგრამ მიშა იმდენად ღორია და გაუმაძღარი, **2008 წლის აგვისტოს შემდეგ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს შეუჩნდა — 1 მილიარდი დოლარი მომეცი, საჰაერო თავდაცვის სისტემები უნდა ვიყიდოო!** სინამდვილეში ამ ფულის მისაკუთრება უნდოდათ, რასაც ბიძინა მიუხვდა და ფული არ მისცა. **ჩემი ინფორმაციით, სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის სწორედ ამაზე დაიწყო კონფლიქტი.** ბიძინა ივანიშვილი მოიქცა ვაჟკაცურად, ეს სატანა და გარყვნილი სააკაშვილი რომ მოგვაშორა, მაგრამ ნაცმოძრაობის საშუალო და ქვედა რგოლი ხელისუფლებაში დატოვა, რითიც საბედისწერო შეცდომა დაუშვა!

## „აი, ეს მოხდა 2008 წლის აგვისტოში და ასე დაღუპეს ნაძირალა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ საქართველო!“

**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, 2008 წლის აგვისტოს ომში მსხვერპლი ბევრად მეტი იყო, მაგრამ სააკაშვილმა მიცვალებულები გადამალაო!**

— 2008 წლის აგვისტოს ომში ოთხასზე ბევრად მეტი ქართველი დაიღუპა. სინამდვილეში, მშვიდობიან მოსახლეობაშიც დიდი მსხვერპლი იყო, **დაახლოებით 2 ათას კაცამდე დავკარგეთ!** ჯერ ის რა მარაზმი გვანახეს, ჩვენი საცოდავი ხალხი დაკრძალული არ იყო, ბიჭები ბრძოლის ველზე იწვნენ, იხრწნებოდნენ და სააკაშვილი და მისი ხროვა რუსთაველზე მღეროდნენ და ცეკვავდნენ — არიქა, რუსეთს ნიღაბი ჩამოვგლიჯეთო!

**— საიდან ეს ინფორმაცია, რომ სინამდვილეში მსხვერპლი ხუთჯერ მეტი იყო და სააკაშვილმა აგვისტოს ომში დაღუპულები გადამალა?**

— ჩემმა მეჯვრისხეველმა მეგობარმა დამანახა, რომ სამაჩაბლოში ჩვენი ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი თითქმის ყველა სოფლის ბოლოში იყო ძველი შენობა-ნაგებობა, სადაც ვაშლის შესანახად კომუნისტების დროინდელი მაცივრები იდგა.

**ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ვაშლისა და ატმის შესანახი მაცივრები, რომლებიც ადგილზე იყო, სუყველა შეაკეთეს და მერე შიგ საცოდავი ჩვენი ბიჭების გვამები ჩაალაგეს.**

მთელი კუდი, სამხედრო პოლიცია და შინაგან საქმეთა სამინისტრო მაცივრებში გადამალული ბიჭების ნათესავებს ეძებდნენ, რომლებსაც მიცვალებულებს ჩუმად ატანდნენ, ფულს აძლევდნენ და თან კუდიდან, სამხედრო პოლიციიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროდან ხალხს აყოლებდნენ, რათა დაღუპულები ჩუმად დაეკრძალათ და დიდი ამბავი არ აეტეხათ. **ეს ხდებოდა მასობრივად და გრძელდებოდა დაახლოებით თხუთმეტი დღის განმავლობაში!**

გაგახსენებთ ერთ ფაქტს — არანორმალურმა სააკაშვილმა ომში ყვითელი ავტობუსებით წაიყვანა ძალიან ბევრი მოხალისე. ყვითელი ავტობუსების კოლონა მიდიოდა ჯარის უკან. მოგეხსენებათ, ყვითელი შორიდან ძალიან ადვილად შესამჩნევი ფერია... ამდენად, ყვითელი ავტობუსებით ბავშვების ომში წაყვანა იყო დანაშაული, რადგან რუსებს სულ ადვილად შეეძლოთ იმ კოლონების დაბომბვა და მსხვერპლი იქნებოდა ძალიან დიდი. **სწორედ ეს უნდოდათ ნაძირალა სააკაშვილსა და მის ბანდას და ამიტომაც მოიმარაგეს წინასწარ ის 15 ათასი ერთეული საველე ჩასასვენებელი.** დიახ, სააკაშვილს უნდოდა 2008 წლის აგვისტოს ომში დიდი მსხვერპლი ყოფილიყო, რათა მერე ამერიკელების დავალებით ეყვირა, ხალხის დასახმარებლად გამოყოფილი მილიარდები შეეჭამა და თან რუსეთისთვის ნიღაბი ჩამოეგლიჯა!

**— 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამერიკამ და ევროპამ, საერთო ჯამში, 5 მილიარდ 500 მილიონი დოლარი გამოგვიყვეს. სად წავიდა ამდენი ფული?**

— ზუსტად ვიცი, სად წავიდა ეს ფული. პირველად გამოგვიყვეს **2 მილიარდი დოლარი,** ხოლო შემდეგ — **3 მილიარდ 500 ათასი დოლარი.** ამ უკანასკნელი თანხით სააკაშვილმა ქართული არმიისთვის ვითომ იარაღი იყიდა, რომელიც მერე აფრიკის ქვეყნებში კონტრაბანდულად გაყიდეს და უზარმაზარი ფული იშოვეს. სწორედ ამ იარაღის კონტრაბანდის გამო მოხდა დაპირისპირება **მერაბიშვილსა და სააკაშვილს** შორის. მერაბიშვილი, რომელიც პრემიერ-მინისტრი იყო, **სააკაშვილმა, კეზერაშვილმა და ახალაიებმა** იარაღის კონტრაბანდით შემოსული მილიარდებიდან მოტეხეს. სანაცვლოდ **ვანო მერაბიშვილმა** მათზე შური იძია და ე.წ. ციხის კადრებით სისტემაში არსებული უბედურება გამოამზეურა. აი, ეს მოხდა.

**— იმ დახმარებიდან დევნილებს რამდენი მოახმარეს?**

— დახმარებიდან დევნილებს მოახმარეს მხოლოდ **700 მილიონი დოლარი,** დანარჩენი მიშამ „გაასუხარა“. მაგრამ იმ **700 მილიონშიც** ბინძური ხელები ჩაყვეს და ფულები აკეთეს. მაგალითად, **ვანო მერაბიშვილმა** დევნილთა სახლების ასაშენებლად საქმეში ჩართო თავისი ხელისბიჭების ფირმები. **ვანო მერაბიშვილის** ერთ-ერთი ასეთი ხელისბიჭი იყო ხულოს მაჟორიტარი დეპუტატი **ანზორ ბოლქვაძე,** რომელიც მაშინ ნაცში იყო, ხოლო ახლა „ქართულ ოცნებაშია“. სწორედ მისი ორი სამშენებლო ფირმა მონაწილეობდა გორთან ახლოს ორ სოფელში დევნილთათვის სახლების მშენებლობაში. **ანზორ ბოლქვაძემ** და მისმა ამფსონებმა მშენებლობის დროს ფულები მოტეხეს და აჭარიდან ჩამოყვანილი საცოდავი მუშები გადააგდეს!

**— თქვენ ეს საიდან იცით?**

— **ანზორ ბოლქვაძის** სამშენებლო ფირმების მიერ „გადაგდებულმა“ ხალხმა, როგორც ადვოკატს, მე მომმართა დახმარებისთვის და მაგ საქმისა ყველაფერი ვიცი. **ბოლქვაძემ** მაშინ 15 მილიონი დოლარი მაინც იშოვა. მაშინ ამ სამუშაოებს ზედამხედველობას უწევდა ანზორ ბოლქვაძის მარჯვენა ხელი **გია ბოლქვაძე,** რომელმაც 1 მილიონი დოლარი მაინც გააკეთა. მასალები, რომლებმაც დევნილთა სახლების მშენებლობას უნდა მოხმარებოდა, მასობრივად იყიდებოდა ელიავას ბაზრობაზე, ანუ მუშებს ფულსაც უტეხდნენ და მასალებსაც ჰყიდდნენ. ამას მაშინ მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ამის გამო ხალხი რომ არ აღშფოთებულიყო და გამოსვლები არ დაწყებულიყო, დევნილთა თითქმის ყველა ჩასახლების თავსა და ბოლოში პოლიცია ჩააყენეს. სააკაშვილსა და რუსებს შორის არსებობდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც სააკაშვილს ახალგორიდან ქართველობა უნდა გამოეყარა. ასეც მოხდა. **2008 წლის აგვისტოს ომი ისე დამთავრდა, რუსები ახალგორში ჯერ კიდევ არ იყვნენ შესული, მაგრამ სააკაშვილმა ახალგორის ქართულ ადმინისტრაციას ისტორიული ქსნის ხეობიდან ქართველობის გამოყრა დაავალა და რაიონი რუსებს ჩააბარა.** აი, ეს მოხდა 2008 წლის აგვისტოში და ასე დაღუპეს ნაძირალა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ საქართველო!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „2008 წლის აგვისტოს ომის დროს რომ არა რუსის ჯარი და კომენდანტის საათი, ოსური ბანდფორმირებები გორს პირწმინდად გაძარცვავდნენ და გააუბედურებდნენ!“

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



სენატორი **ჯინ შაჰინი** იყო ის პირი, რომელმაც 2012 წელს, არჩევნების შემდეგ, პირადად დაურეკა **მიხეილ სააკაშვილს** და უთხრა, რომ **არჩევნების შედეგები ეღიარებინა და ძალაუფლება „ქართული ოცნებისთვის“ გადაებარებინა.**

„ახალი თაობა“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



ამ სიტუაციაში **ევროკავშირის წევრობაზე ლაპარაკი არ შეიძლება,** ეს საკითხი არ დგას. საქართველოში ფრთები გაშალა **„ქართული ოცნების“ დიქტატურამ.** აუცილებელია კოალიციური მთავრობის შექმნა.

„რეზონანსი“

**ბექა ლილუაშვილი**
*„ვახტანგ საქართველოსთვის“ წევრი*



**სააკაშვილი** ისეთივე მატყუარაა, როგორც **ივანიშვილი,** ერთმანეთის **მაცოცხლებელ-მასულდგმულებელი სუბიექტები არიან.**

„ინტერპრესნიუსი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი** ჯერ სტრასბურგის სასამართლომ გაასამართლა, როგორც **სისხლის სამართლის დამნაშავე,** ახლა ვაშინგტონმა „დაბრენდა“, რომ **არის დეზინფორმაციის და სპეკულაციის წყარო.**

„ინტერპრესნიუსი“

# არ გამოტოვოთ ბოკერია!

***დღეს, როცა „ქართული ოცნება“ პირობას დებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებს და ნაციონალურ მოძრაობას გაასამართლებს, სრულიად ახალ სიცოცხლესა და აქტუალობას იძენს ბიძინა ივანიშვილის მიერ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე გამოქვეყნებული ერთი წერილი, რომელშიც იგი საუბრობს, თუ როგორ გეგმავდნენ სააკაშვილი და მისი გარემოცვა ცხინვალის რეგიონში სამხედრო ავანტიურას.***

შეგახსენებთ, რომ **ივანიშვილმა** ქართველ საზოგადოებას პირველი ღია წერილით **2011 წლის 7 ოქტომბერს** მიმართა და პოლიტიკაში მოსვლის შესახებ ამცნო, იმავე წლის 12 ოქტომბერს გამოქვეყნებული მეორე წერილით კი სააშკარაოზე გამოიტანა არაერთი სკანდალური ფაქტი მისი და სააკაშვილის ხელისუფლების კულუარული ურთიერთობიდან.

სწორედ **13 წლის წინათ, 2011 წლის 12 ოქტომბერს, გამოქვეყნებულ წერილში** იხსენებს ბიძინა ივანიშვილი **მიხეილ სააკაშვილთან, ვანო მერაბიშვილთან და გიგა ბოკერიასთან** გამართული საუბრის დეტალებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ **ნაცმოძრაობის ხელისუფლება ჯერ კიდევ 2006 წელს გეგმავდა იმის გაკეთებას, რაც სამაჩაბლოში 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინა.**

კერძოდ, ბიძინა ივანიშვილი თავის წერილში მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, სააკაშვილის რეჟიმის ხერხემლად წოდებულ **ვანო მერაბიშვილს** მიმართავს:

***„გახსოვს, ვანო, სააკაშვილმა დიდი ხვეწნის შემდეგ რომ დამიყოლია, ბოკერიასთან მივსულიყავი, რათა მისთვის გადამეფიქრებინებინა ქვეყნისთვის ერთი ძალიან სარისკო და საბედისწერო გადაწყვეტილების მიღება. ეს ხდებოდა 2008 წლის აგვისტომდე წელიწადნახევრით ადრე. მაშინაც იგივე სცენარი განიხილებოდა, რაც თქვენ 2008 წლის აგვისტოში განახორციელეთ“.***

ესე იგი, **ბიძინა ივანიშვილის წერილის** მიხედვით, **გიგა ბოკერია,** რომელიც ნაცრეჟიმის მთავარ იდეოლოგად და ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად ითვლებოდა, სააკაშვილსა და სხვებს ქვეყნისათვის დამღუპველი ნაბიჯის გადადგმისკენ უბიძგებდა, რასაც ისინი არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ ვერც მის გადარწმუნებას ახერხებდნენ და სწორედ ამიტომ დასჭირდათ ივანიშვილის დახმარება.

**მაინც რის გაკეთებას უკიჟინებდა ბოკერია თავის თანაგუნდელებს?**

**ბიძინა ივანიშვილის** წერილში ვკითხულობთ:

***„ბოკერია დაჟინებით ითხოვდა ქართული ჯარების შეყვანას სამაჩაბლოში და იმედი ჰქონდა, რომ რუსი სამხედროები გაიწეოდნენ და ქართულ ჯარს ცხინვალში უომრად შეუშვებდნენ“.***

კონკრეტულად რას ეფუძნებოდა **ბოკერიას** ოპტიმიზმი და რატომ იყო დარწმუნებული სააკაშვილის რეჟიმის „გებელსი“, რომ რუსეთი ქართულ ჯარს ცხინვალის აღების საშუალებას მისცემდა, ამის შესახებ **ივანიშვილი** არაფერს წერს, თუმცა, აღნიშნავს, რომ **ბოკერიას** გადარწმუნება შეძლო:

***„ორმოც წუთში ბოკერიას დავუმტკიცე, რომ ის, რის გაკეთებასაც გეგმავდა, წმინდა წყლის პროვოკაცია და ავანტიურა იყო. ბოკერიამ უკან დაიხია და დასახულ გეგმაზე უარი თქვა, მაგრამ სააკაშვილმა თქვა — ხომ შეიძლება, თვითონ რუსებმა შემოგვთავაზონ ამის გაკეთება, მაშინ რა ვქნათო?“***

რას ნიშნავდა სააკაშვილის ნათქვამი — **შეიძლება, რუსებმა თვითონ შემოგვთავაზონ სამხედრო ძალით ცხინვალში შესვლაო?**

გამოდის, რომ სააკაშვილი ცხინვალის აღების შესახებ რუსეთთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების შესაძლებლობას განიხილავდა?

თუ ასე იყო, მაშინ ცხადია, რომ რუსეთი სააკაშვილს ცხინვალში ჯარის შეყვანის საშუალებას უპირობოდ არ მისცემდა და სანაცვლოდ აუცილებლად მოსთხოვდა ისეთ რამეს, რაც კრემლისთვის, როგორც მინიმუმ, არანაკლებ ხელსაყრელი და მომგებიანი იქნებოდა, ვიდრე ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია.

**მაშ, ცხინვალში ქართული ჯარის შეყვანის სანაცვლოდ, რის დათმობას აპირებდა სააკაშვილი რუსეთისათვის?**

**ანდა, რატომ არ უშვებდა სააკაშვილი იმის ალბათობას, რომ რუსეთი საქართველოს ხაფანგს დაუგებდა და ცხინვალში შეშვებულ ქართულ საჯარისო შენაერთებს გაანადგურებდა?**

თუმცა, კრემლისადმი ბრიყვული ნდობა სულაც არ არის გასაკვირი იმ სააკაშვილისაგან, რომელიც პირველივე საპრეზიდენტო ვიზიტით მოსკოვს ესტუმრა და პუტინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა — **ასეთი პატიოსანი და პროგრესული ლიდერი მსოფლიოში არ მეგულებაო!**

სამაგიეროდ, დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში ნაცხოვრებმა **ბიძინა ივანიშვილმა** კარგად იცოდა, რომ კრემლთან კულუარული გარიგება ყოველთვის სახიფათოა და, როგორც თავის წერილში აღნიშნავს, სააკაშვილი კატეგორიულად გააფრთხილა:

***„სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას არ გააკეთებს, რომც გაჩუქოთ ეს ტერიტორია, ხელი არ ახლოთ არაფერს“.***

იმავე წერილში **ივანიშვილი** კვლავ მიმართავს **მერაბიშვილს:**

***„მაშინ კი შევძელი, დროებით შემეჩერებინა ის საბედისწერო გადაწყვეტილება, მაგრამ მოგვიანებით მაინც იგივე სცენარით იმოქმედეთ და რა შედეგიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში, სახეზეა“.***

ასე და ამრიგად, **ბიძინა ივანიშვილის 13 წლის წინანდელი წერილი,** რომელიც დღეს ბევრს, ალბათ, აღარც კი ახსოვს, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთებისა და ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს. კერძოდ, **2008 წლის აგვისტოში ნაცრეჟიმის მიერ ჩადენილი საომარი ავანტიურის ერთ-ერთი მთავარი ავტორი გიგა ბოკერია იყო, რის გამოც იგი აუცილებლად უნდა დასვან განსასჯელის სკამზე სააკაშვილის, მერაბიშვილისა და სხვათა გვერდით!**

გარდა ამისა, ვფიქრობთ, **ბიძინა ივანიშვილს** შეუძლია, 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოწმე იყოს და პროკურატურასა თუ სასამართლოს იმაზე გაცილებით მეტი უთხრას, ვიდრე 13 წლის წინათ გამოქვეყნებულ წერილში დაწერა!

ასე რომ, აბსოლუტურად ლოგიკური და საფუძვლიანია ის პოლიტიკური კონვულსია, რომელიც კოლექტიურ ნაცებს მას შემდეგ დაეწყოთ, რაც ხელისუფლება 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებაზე ალაპარაკდა!

ნაცებმა იციან, რომ ივანიშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ ბევრი რამ იცის!

ნაცებმა ისიც იციან, რომ ივანიშვილს, სურვილის, პოლიტიკური ნებისა და მონდომების შემთხვევაში, მათი სამუდამოდ დასამარება შეუძლია!

**ქართველი ხალხი უკვე 12 წელია, ივანიშვილისა და მისი ხელისუფლებისაგან სწორედ ამ სურვილის, პოლიტიკური ნებისა და მონდომების გამოჩენას ელოდება!**

იმედია, ქართველი ხალხის ეს მოლოდინი 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მაინც გამართლდება!

**ჯაბა ხუბუა**






## კვირგვინოსნები



**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*პარტია „ფედერალისტების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*

ჩატარდა ნაცების პოლიტსაბჭო და **კეზერაშვილმა წერეთელი-ბოხიძის პარტია ჯართად ჩაიბარა.** ვულოცავ **ლელა ქებურიას, ბესო დონაძეს, თორნიკე დიასამიძეს, ლაშა დამენიას** და სხვებს ამ დიდებულ გამარჯვებას.

„პირველი არხი“



**ელიზბარ ჯაველიძე**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

**ყველამ ვნახეთ, რა სამარცხვინოდ წააგო ხაზარაძე-ჯაფარიძემ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში,** სადაც საქართველოს ბიუჯეტიდან დიდ თანხას ითხოვდნენ. ის, რომ **თაღლითები არიან,** საარბიტრაჟო სასამართლომაც დაადასტურა.

„საერთო გაზეთი“



**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*

„ოცნება“ **ხალხს მობეზრდა.** მხარდაჭერა ყოველდღიურად ეცლებათ.

„ახალი თაობა“

***2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და ნაცმოძრაობის გასამართლების საკითხის გააქტიურების კვალდაკვალ, სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი და პარლამენტის ექსდეპუტატი, პოლიტოლოგი პეტრე მამრაძე გვესაუბრება ისეთ დეტალებზე, რომლებიც აგვისტოს ომის გამოძიებისას შესაბამისი სტრუქტურების ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს:***

## „ცნობილმა ამერიკელმა ანალიტიკოსმა ლინკოლნ მიტჩელმა 2012 წლის აგვისტოში დაწერა: კითხვაზე, თუ ვინ ასრულებს საქართველოში კრემლის დავალებებს, პასუხი არის – მიხეილ სააკაშვილი!"

# პეტრე მამრაძე:

# 2008 წლის ომის დღეებში ნაცებისგან საკუთარი ყურით მაქვს მოსმენილი – გიჟმა სააკაშვილმა დაგვღუპა, მაგრამ ისევ რუსებმა გადაგვარჩინესო!



— 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში და შემდეგაც საკუთარი ყურით მაქვს მოსმენილი, ნაცმოძრაობის წევრები სააკაშვილს როგორ აგინებდნენ და გამწარებულები გაიძახოდნენ — **ამ გიჟმა დაგვღუპა, მაგრამ ისევ რუსებმა გადაგვარჩინესო!**

**— კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა რუსეთის მიერ ნაცმოძრაობის გადარჩენა?**

— 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ ევროსაბჭოს ცნობილ რეზოლუციაში ჩაიწერა, რომ რუსეთმა განახორციელა კონტრიერიში მას შემდეგ, რაც 7 აგვისტოს ღამეს ქართულმა მხარემ ცხინვალი დაბომბა, მაგრამ მოსკოვის პასუხი გადამეტებული იყო. იგივე თქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა **ნიკოლა სარკოზიმაც** — სააკაშვილმა განახორციელა სამხედრო ოპერაცია ცხინვალში, რამაც რუსეთის საპასუხო რეაქცია განაპირობა, ოღონდ ძალის გადამეტებითო! აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი **კოლინ პაუელიც** აღნიშნავდა, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში ძირითადი ბრალი სააკაშვილს მიუძღვის!

თუმცა, მას შემდეგ, რაც რუსები ე.წ. სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გასცდნენ, ფოთში შევიდნენ, სენაკის სამხედრო ბაზა დაბომბეს და თბილისშიც კი ბომბი ჩამოაგდეს, მოსკოვის მიმართ საერთაშორისო რეაქცია გამკაცრდა და სააკაშვილის ხელისუფლების დანაშაული გარკვეულწილად გადაიფარა. ნაცებიც სწორედ ამას გულისხმობდნენ, როცა ამბობდნენ — **გიჟმა სააკაშვილმა დაგვღუპა, მაგრამ ისევ რუსებმა გვიშველესო!**

**— რამდენად აქვს არსებობის უფლება იმ მოსაზრებას, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილის რეჟიმისა და კრემლის ერთობლივი ოპერაცია იყო, რომლითაც ორივემ იხეირა?**

— მოდით, მხოლოდ ფაქტებით ვისაუბროთ და გაგახსენებთ ერთ სატელევიზიო სიუჟეტს, როცა სააკაშვილი კიევში ჩასულ ქართველ კორესპონდენტს შენობისაკენ მიუთითებს — აი, აქ ვსწავლობდი, აბა, „მგიმოში" ხომ ვერ ვისწავლიდი, იქ მხოლოდ ძალიან კორუმპირებული ან „კაგებესთან" შეკრული ოჯახების შვილები ახერხებდნენ მოხვედრასო! არადა, სააკაშვილის ბიძას **თემურ ალასანიას,** რომელიც ინტერვიუებში პირდაპირ ამბობს — მიშა ჩემ გარეშე არცერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ იღებსო, სწორედ „მგიმო", ანუ მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული. მაშ, გამოდის, რომ **თემურ ალასანია** ან ძალიან კორუმპირებული ოჯახის შვილი ყოფილა, ან კიდევ — „კაგებესთან" შეკრული! ისე კი, თბილისში ყველამ იცოდა, რომ ალასანია ერთიც იყო და მეორეც!

თანაც, „მგიმო"-ს დამთავრების შემდეგ სააკაშვილის ბიძა ამერიკაში საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომელი გახდა, მერე კი საბჭოთა კავშირის კვოტით **გაერო**-ს სამხედრო შესყიდვების განყოფილებაში დაინიშნა. საბჭოთა კავშირში ასეთი კარიერის აწყობა „კაგებეს" ხელდასხმის გარეშე შეუძლებელი იყო.

**— გამოდის, რომ თემურ ალასანიას 2008 წლის აგვისტოს ომშიც თავისი როლი და ფუნქცია ჰქონდა?**

— გეტყვით იმას, რაც ზუსტად ვიცი: 2005 წლის 13 იანვარს ერთ-ერთ თბილისურ ოჯახში გაშლილ სუფრასთან, სადაც **თემურ ალასანიასთან** ერთად არაერთი ცნობილი ადამიანი იჯდა, სააკაშვილის ბიძამ დაიტრაბახა — **როგორც იქნა, რუსებსაც მოველაპარაკე და ამერიკელებსაც, ისინი კი ერთმანეთში შეთანხმდნენ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთს გვაძლევენ, სამხედრო ძალით შევალთ ცხინვალში და ბოლომდე გავალთო!** ერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმა, რომელიც მაშინ მთავრობაში არ იყო, ალასანიას ჰკითხა — კი მაგრამ, **ზურაბ ჟვანია** წარამარა ცხინვალში რომ დადის და სამშვიდობო მოლაპარაკებებს აწარმოებს, გამოდის, რომ თქვენი გეგმის განხორციელებაში ხელს გიშლითო? ამაზე **თემურ ალასანიამ** პირდაპირ უპასუხა — **ძალიან მალე ჟვანია ხელს ველარ შეგვიშლისო** და მართლაც, სულ რაღაც 20 დღეში, 2005 წლის 3 თებერვლის დილას ჟვანია ცოცხალი აღარ იყო!

**— როგორ ფიქრობთ, თემურ ალასანიას მეშვეობით თუ სხვა არხებით, სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსეთისგან მართლაც მიიღო პირობა, რომ ცხინვალში სამხედრო ძალით შესვლაში ხელს არ შეუშლიდნენ?**

— 2007 წლის დეკემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა თქვა — **კრემლს ჩემთან წამოსცდა, რომ მათ ცხინვალი აღარ აინტერესებთო,** ხოლო **თემურ იაკობაშვილმა,** რომელიც მაშინ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იყო, 2008 წლის 7 აგვისტოს ტელევიზიით განაცხადა — **ხალხო, ვერც კი გეუბნებით, კულახმეტოვი როგორ გვეხმარებაო!** მოგეხსენებათ, მაშინ გენერალ-მაიორი **მარატ კულახმეტოვი** ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალებს ხელმძღვანელობდა!

**— და როგორ უნდა დახმარებოდა რუსი გენერალი კულახმეტოვი სააკაშვილის ხელისუფლებას?**

— საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, უშიშროების გენერალ-ლეიტენანტმა **ვალერი ჩხეიძემ** პირადად მომიყვა ამბავი, რომელიც მისი რუსი კოლეგისაგან იცოდა: 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში კულახმეტოვმა მოსკოვში თავის ხელმძღვანელობას დაურეკა — საქართველოს ხელისუფლება ძალიან დიდ ფულს მთავაზობს, რომ მათი ჯარი ცხინვალისკენ გავატარო და როგორ მოვიქცეო, რაზეც მოსკოვიდან უთხრეს — **„ფული აიღე და გაატარე!"**

უკვე ომის დამთავრების შემდეგ, 2008 წლის 15 აგვისტოს, თავდაცვის მინისტრის მაშინდელმა პირველმა მოადგილემ **ბათუ ქუთელიამ** ინტერვიუ მისცა საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გამოცემას „ლე ფიგაროს", რომელშიც ამბობს — **„ჩვენ მოვილაპარაკეთ რუსეთთან, რომ შევიყვანდით ცხინვალში ჩვენს ჯარს იმისათვის, რათა დაგვემყარებინა იქ წესრიგი. რუსებმა თანხმობა მოგვცეს და მწვანე შუქი აგვინთეს. ჩვენ შევუდექით ამას და არავინ არ ელოდა, რომ რუსები ასე მოიქცეოდნენ, ჩვენ სრულიად მოუმზადებლები ვიყავით რუსეთის სამხედრო პასუხისათვის".**

**— ე.ი. რუსებმა მოგვატყუეს და გაგვაცურესო?**

— 2008 წლის აგვისტოს ბოლოს თბილისში ჩამოსულ „ფაინენშელ თაიმსის" კორესპონდენტთან ინტერვიუში იმავე **ბათუ ქუთელიამ** და ნაცმოძრაობის წევრმა, დეპუტატმა **დავით დარჩიაშვილმა** განაცხადეს — **ჩვენ რუსეთთან ცხინვალში ჯარების შეყვანაზე მოვილაპარაკეთო!**

ნამდვილად ვერ დავიჯერებ, რომ რუსებმა სააკაშვილი მოატყუეს და გააბრიყვეს. მართალია, იგი ფსიქოპათია, მაგრამ მთლად ისეთი კლინიკური იდიოტიც არ არის, რომ დაეჯერებინა, თითქოს კრემლი ცხინვალს უთმობდა!

**— მაშ, რა მოხდა სინამდვილეში?**

— ამ კითხვაზე გიპასუხებთ ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსის **ლინკოლნ მიტჩელის** სიტყვებით, რომელიც მან 2012 წლის აგვისტოში დაწერა: კითხვაზე, თუ ვინ ასრულებს საქართველოში კრემლის დავალებებს, პასუხი არის — **მიხეილ სააკაშვილი!**

დანარჩენი უკვე იმ გამოძიებამ უნდა თქვას, რომლის დაწყებასაც საქართველოს ხელისუფლება საზოგადოებას 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჰპირდება და იმედია, მართლაც დაიწყებს!

***ესაუბრა***
***გიორგი ძაძამია***






**„კულახმეტოვმა მოსკოვში დარეკა — საქართველოს ხელისუფლება ძალიან დიდ ფულს მთავაზობს, რომ მათი ჯარი ცხინვალისკენ გავატაროო... მოსკოვიდან უთხრეს — „ფული აიღე და გაატარე!"**

## „რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა 2008 წლის 7 აგვისტოს ტელევიზიით განაცხადა – ხალხო, ვერც კი გეუბნებით, გენერალი კულახმეტოვი როგორ გვეხმარებაო!"

## ქვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



ყველამ იცის, რომ **სააკაშვილი კანონიერად იხდის სასჯელს.** პარტიას, რომელიც **საქართველოს წინააღმდეგ ცრუ ბრალდებებით მოქმედებს,** არ უნდა ჰქონდეს ამომრჩევლის იმედი.

„პირველი არხი"

**ირაკლი ჩიქოვანი**
*თავდაცვის მინისტრი*



სადაც **კრიმინალ მიხეილ სააკაშვილის** გათავისუფლების მოთხოვნაა და სადაც წარმოდგენილია პარტიები, რომლებიც **დაფინანსებულები არიან ჯარისთვის მოპარული ფულით,** იქ არის არა დემოკრატიის, არამედ **ავტორიტარიზმის ფესტივალი.**

„იმედინიუსი"

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



დაგპირდით, რომ **სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უზრუნველ ცხოვრებას დავთმობდი** და აქ ვარ, უსამართლო პატიმრობაში — გვინდა, ევროპის კავშირის წევრი, ერთიანი და მთლიანი საქართველო, **ეს მომავალი „ოცნების" დამარცხებით იწყება.**

„ინტერპრესნიუსი"

**გიორგი ბარამიძე**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური მდივანი*



საქართველო **27 ოქტომბერს გაიღვიძებს თავისუფალი, მიხეილ სააკაშვილი** იქნება თავისუფალი.

„ინტერპრესნიუსი"

**დავით კირკიტაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



სადაც ჩვენ ვართ, ყველგან იქნება **მიხეილ სააკაშვილის თავისუფლების** ბანერი.

„რეზონანსი"

# ამერიკელებმა ქოლ-ცენტრები

***ამერიკის შეერთებული შტატების „ჰელსინკის კომისია“ საქართველოს ხელისუფლებას ქოლ-ცენტრების საერთაშორისო თაღლითური ქსელის მონაწილედ აცხადებს და სახელმწიფო დეპარტამენტს მკაცრი ზომების მიღებისკენ მოუწოდებს.***

**აშშ-ის „ჰელსინკის კომისიის“ განცხადება სოციალურ ქსელ X-ში**

U.S. Helsinki Commission
@HelsinkiComm · Follow

Georgian Dream relies on dark money from a network of scam call centers around the world to fund its operations & harass its opposition.

@StateDept should crack down on these call centers that sponsor Georgian Dream's antidemocratic campaign against the Georgian people.

კერძოდ, **„ჰელსინკის კომისიამ“,** რომელიც 9 კონგრესმენის, 9 სენატორისა და აღმასრულებელი ხელისუფლების 3 წევრისაგან შედგება, სოციალურ ქსელ X-ში განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ვკითხულობთ:

> ***„ქართული ოცნება“ ეყრდნობა შავ ფულს მთელ მსოფლიოში მოქმედი თაღლითური ქოლ-ცენტრების ქსელიდან, რათა დააფინანსოს თავისი ოპერაციები და შეავიწროოს ოპოზიცია“.***

„ჰელსინკის კომისიის“ განცხადების მიხედვით, საქართველოს მმართველი პარტია — „ქართული ოცნება“ **ქოლ-ცენტრების თაღლითური ქსელის მეშვეობით** ნაშოვნი შავი ფულით ქართველი ხალხის წინააღმდეგ ანტიდემოკრატიულ კამპანიას აწარმოებს.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ქოლ-ცენტრების საერთაშორისო თაღლითური ქსელი, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა ქვეყანაში ათიათასობით ადამიანი გაძარცვეს და, მათ შორის, ევროპელ პენსიონერებს მილიარდი დოლარი აწაპნეს, ამერიკელებმა ქოცცენტრებად შერაცხეს.

**რა კონკრეტული მტკიცებულებები გააჩნია ქოლ-ცენტრების ქოც-ცენტრებად გამომცხადებელ „ჰელსინკის კომისიას“ და რის საფუძველზე აბრალებს საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო თაღლითურ სქემაში მონაწილეობას?**

ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს, რადგან „ჰელსინკის კომისიის“ მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ მოკლე განცხადებას არავითარი საბუთი არ ერთვის, ხოლო იუსტიციის სფეროში ევროკავშირის ქვეყნების თანამშრომლობის ორგანოს — ევროჯასტსა და ევროპის პოლიციის სამსახურს — ევროპოლს, რომლებიც ქოლცენტრების საქმეს 2020 წლიდან იძიებენ, მთელი 4 წლის განმავლობაში არათუ რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ, არამედ ეჭვისა და მინიშნების დონეზეც კი არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნება“ ტრანსნაციონალურ დანაშაულშია ჩაბმული.

**თაღლითურ ქოლ-ცენტრებთან კავშირში ქოცების ხელისუფლება კი არა, დავით კეზერაშვილი და მისი ამფსონები – დავით თოდუა, იოსებ მგელაძე, რატი ჭელიძე და მიხეილ ბენიამინი არიან მხილებული!**




**„ბიბისი“-ს ჟურნალისტური გამოძიებით გამოვლენილი სქემა - კეზერაშვილი და მისი პარტნიორები თაღლითური ქოლ-ცენტრების უკან!**

პირიქით, ქართული სამართალდამცავი ორგანოები გერმანიის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის შესაბამის უწყებებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო თაღლითური სქემის გამოძიებაში. შედეგად, **ბოლო 2-3 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა არაერთი ქოლ-ცენტრი, საიდანაც ევროპული ქვეყნების მოქალაქეებს ურეკავდნენ, გამოგონილი სახელებით ეცნობოდნენ და ფასიანი ქაღალდებით, აქციებითა და კრიპტოვალუტებით ელექტრონულ ვაჭრობაში ჩართვას სთავაზობდნენ.** საქართველოში მოქმედი ქოლცენტრების ოპერატორები ევროპული ქვეყნების მოქალაქეებს არწმუნებდნენ — სოლიდურ მოგებაზე გაგიყვანთ და დიდ ფულს გაშოვნინებთო, მათ მიერ გადმორიცხულ თანხებს კი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ კონტროლირებად საბანკო ანგარიშებზე ათავსებდნენ და შემდეგ საქართველოში იმავე ჯგუფის მიერ დაფუძნებული კომპანიების ანგარიშებზე ფიქტიური დანიშნულებით რიცხავდნენ.

მაგალითისთვის რომ ვთქვათ, **მარტო 2022 წელს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა 24 ფიზიკური და 2 იურიდიული პირის მიმართ დაიწყო.** ამასთან, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა **9 პირი,** რომელიც თაღლითური ქოლცენტრების მეშვეობით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა უცხო ქვეყნების მოქალაქეთა კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას დაეუფლა, შემდეგ კი დანაშაულებრივი გზით მიღებული უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია მოახდინა, ანუ შავი ფული გაათეთრა.

მაშ, **როგორია ქოლ-ცენტრების ქოც-ცენტრებად გამომცხადებელი „ჰელსინკის კომისიის“ ლოგიკა** — საქართველოს ხელისუფლება ტრანსნაციონალურ დანაშაულშია ჩაბმული, საქართველოს პროკურატურა კი ევროპელ სამართალდამცველებთან მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობით იმავე დანაშაულს იძიებს?

ნეტავი, რას ფიქრობენ ქოლცენტრების ქოც-ცენტრებად შემრაცხველი ამერიკელები — ისეთი სერიოზული ევროპული

**ნამდვილად არ გავცდებით, თუ ამერიკაში მოქმედი „რუსული კანონის“ — ფარას მეშვეობით შევიტყობთ, რომ ქოლ-ცენტრების ქოც-ცენტრებად გამომცხადებელ სენატორებსა და კონგრესმენებს კეზერაშვილმა დიდძალი ფარა გადაუხადა!**

## კვირგვინოსნები

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



**ბიძინა ივანიშვილს** ქონება რომ სდომებოდა, **რუსეთში 2012 წელს კაპიკებში კი არ გაყიდდა, დაიტოვებდა.** ლოგიკა მაინც ჩართონ **კაპიტანმა გიგაურმა** და ნაცმედიამ, რომ იქნებ საზოგადოების მცირე ნაწილს მაინც დააჯერონ ეს მდარე, **არანაირ მტკიცებულებაზე დაყრდნობილი სიცრუე.**

„იმედინიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ორი თაღლითი აფინანსებს ამჯერად ოპოზიციას** — საერთაშორისოდ აღიარებული **თაღლითი კეზერაშვილი** და ქართული მართლმსაჯულებითა და საარბიტრაჟო სასამართლოთი საერთაშორისოდ დეკლარირებული **თაღლითი მამუკა ხაზარაძე.**

„საერთო გაზეთი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



არსებობს **პერსონალური ფინანსური სანქციების** დაწესების ალბათობა, თუკი ამერიკამ მოინდომა, **არჩევნების წინ ხელისუფლებაზე წნეხი გააძლიეროს** და ერთგვარად შეასუსტოს მისი პოლიტიკური პოზიციები.

„რეზონანსი“

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციის გამოკითხვებით, დღეს **„ქართულ ოცნებას“ 30-35 პროცენტი აქვს.** შესაბამისად, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით **40-45 პროცენტზე თავისუფლად** ავა და, თუკი ამ ოთხიდან ერთმა მაინც ვერ გადალახა ბარიერი, **„ქართული ოცნება“ უპრობლემოდ გაიმარჯვებს, ანუ მთავრობას დააკომპლექტებს.**

„კვირის პალიტრა“

# ქოც-ცენტრებად გამოაცხადეს!






სტრუქტურები, როგორებიც ევროჯასტი და ევროპოლი არიან, საერთაშორისო თაღლითურ სქემას იმ ქვეყნის სამართალდამცავებთან ერთად ებრძვიან, რომლის ხელისუფლებაც იმავე თაღლითური სქემის მონაწილეა?

**ნუთუ დანაშაულებრივი ქოლ-ცენტრების ქოც-ცენტრებად მომნათლავ „ჰელსინკის კომისიას“ ევროპული სპეცსამსახურები და საგამოძიებო სტრუქტურები ბრიყვები ჰგონია, რომლებმაც ტრანსნაციონალურ დანაშაულში საქართველოს ხელისუფლების თუნდაც ირიბი კვალი ვერ იპოვეს?**

არა, აშკარად სხვაგან ძევს „ჰელსინკის კომისია“ და აშკარად სხვაგან მიერეკებიან ქოლ-ცენტრების ქოც-ცენტრებად შემრაცხავი ამერიკელები, რადგან ქოლ-ცენტრების საერთაშორისო თაღლითური ქსელის სათავეებთან საქართველოს ხელისუფლება კი არა, საქართველოსთან დაკავშირებული სულ სხვა პირი — სააკაშვილის რეჟიმის თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილია შემჩნეული!

**დიახ, მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა მედიასაშუალება „ბიბისი“-მ, ანუ ბრიტანეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავისი 1-წლიანი ჟურნალისტური გამოძიებით, ქოლ-ცენტრების სქემის სათავეში სწორედ ქართული სახელმწიფოს მიერ ძებნილი კეზერაშვილის კვალს მიაკვლია და ქართული ჯარის გამძარცველი აწ უკვე ევროპელი პენსიონერების გაძარცვაშიც ამხილა.**

სხვათაშორის, „ბიბისი“-ს გამომძიებელი ჟურნალისტები, რომლებმაც კეზერაშვილს „მისტერ ოფშორი“ უწოდეს, საქართველოშიც იმყოფებოდნენ და უშუალოდ დაესწრნენ თბილისში ერთ-ერთი ოფისის ჩხრეკას, სადაც ქართველმა სამართალდამცავებმა თაღლითური ქოლ-ცენტრი აღმოაჩინეს. **ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ჩატარებული კომპლექსური გამოძიებით, მთელი მსოფლიოსათვის გახდა ცნობილი, რომ დავით კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორ რატი ჭელიძის მიერ ირანში დაფუძნებული კომპანია „მილტონ ჯგუფი“ რამდენიმე ფირმას აერთიანებდა, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში თაღლითური ქოლ-ცენტრები ჰქონდა მოწყობილი.** „მილტონ ჯგუფის“ ყოფილმა წევრებმა აღიარეს, რომ არაერთხელ ჰქონდათ მოლაპარაკება პირადად დავით კეზერაშვილთან, რომელიც თავისი სოციალური მედიის გვერდებზე აქტიურად არეკლამებდა ქოლ-ცენტრების უკან მდგომ კომპანიებს. ბრიტანელი ჟურნალისტების გამოძიებით დადგინდა ისიც, რომ ქოლ-ცენტრების საერთაშორისო თაღლითურ სქემაში **კეზერაშვილთან** ერთად მისი ბიზნესპარტნიორები — **იოსებ მგელაძე, დავით თოდუა და მიხეილ ბენიამინი** ფიგურირებდნენ.

აღსანიშნავია, რომ **კეზერაშვილის ბიძაშვილი და ბიზნესპარტნიორი, საქართველოსა და ისრაელის ორმაგი მოქალაქე მიხეილ ბენიამინი,** იგივე **მიშა ბენიაშვილი** 2023 წლის დეკემბერში, ანუ „ბიბისი“-ს მიერ მომზადებული საგამოძიებო ფილმის ეთერში გასვლიდან რამდენიმე თვეში, ალბანეთში დააკავეს, სადაც ქოლ-ცენტრებთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ჯგუფი იქნა გამოვლენილი.

ამდენად, საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი და ჟურნალისტური გამოძიებების შედეგად, თაღლითურ ქოლ-ცენტრებთან კავშირში ქოცების ხელისუფლება კი არა, **„მისტერ ოფშორი“ კეზერაშვილი** და მისი ამფსონები არიან მხილებული, მაგრამ ამერიკული „ჰელსინკის კომისია“ **ქოლ-ცენტრებს** მაინც **ქოც-ცენტრებად** აცხადებს და ტრანსნაციონალურ დანაშაულში საქართველოს ხელისუფლებას სდებს ბრალს, ოღონდ — ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე.

არადა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **საქართველოს ხელისუფლებას თავისი „ოპერაციების დასაფინანსებლად“ და „ოპოზიციის შესავიწროებლად“ თაღლითური ქოლ-ცენტრებით ნაშოვნი ფული რაში სჭირდება, როცა „ქართული ოცნების“ სათავეში დგას ბიძინა ივანიშვილი, რომლის ქონებაც, „ბლუმბერგის“ მონაცემებით, 2024 წლის პირველ ნახევარში 700 მილიონი დოლარით გაიზარდა და რეკორდულ მაჩვენებელს — 7,3 მილიარდ დოლარს მიაღწია?!**

## როგორია ქოლ-ცენტრების ქოც-ცენტრებად გამომცხადებელი „ჰელსინკის კომისიის“ ლოგიკა — საქართველოს ხელისუფლება ტრანსნაციონალურ დანაშაულშია ჩაბმული, საქართველოს პროკურატურა კი ევროპელ სამართალდამცველებთან მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობით იმავე დანაშაულს იძიებს?



## „ქართულ ოცნებას“, რომლის სათავეში 7,3 მილიარდი დოლარის პატრონი ბიძინა ივანიშვილი დგას, თაღლითური ქოლ-ცენტრების ფული რაში სჭირდება?!

ერთი სიტყვით,

**უნდა ვივარაუდოთ, რომ ამერიკის „ჰელსინკის კომისიის“ მიერ ქოლ-ცენტრების ქოც-ცენტრებად შერაცხვა იმ გეგმის ნაწილია, რომელიც საქართველოში ხელისუფლების ცვლილებას ითვალისწინებს და მიზნად ისახავს, დაუმარხავ პოლიტიკურ მიცვალებულს – ნაციონალურ მოძრაობას 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ როგორმე სიცოცხლის ნიშანწყალი შთაბეროს!**

აქვე, იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლობიზმის სახელით შენიღბული მექრთამეობა ტოტალურად არის ფესვგადგმული, სულაც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამერიკული „ჰელსინკის კომისიის“ მიერ **ქოლ-ცენტრების ქოც-ცენტრებად** გამოცხადების უკან სწორედ იმ **კეზერაშვილის** ფული იდგეს, რომელიც თავად არის მხილებული ქოლ-ცენტრების საერთაშორისო თაღლითური ქსელის ორგანიზებაში!

**ჰო, ნამდვილად არ გავოცდებით, თუ ამერიკაში მოქმედი „რუსული კანონის“ — ფარას მეშვეობით შევიტყობთ, რომ ქოლ-ცენტრების ქოც-ცენტრებად გამომცხადებელ სენატორებსა და კონგრესმენებს „ბიბისი“-ს მიერ „მისტერ ოფშორად“ წოდებულმა კეზერაშვილმა დიდძალი ფარა გადაუხადა!**

მითუმეტეს, ამერიკისა და ევროპის დღევანდელი პოლიტიკური ელიტა სავსეა კოლექტიური ბენდუქიძეებით, რომლებიც ყველაფერს ყიდიან სინდისის გარდა, რადგან სინდისი ყველაფერზე ადრე გაყიდეს!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**გია აბაშიძე**
ანალიტიკოსი



**შაჭინის** მსგავსმა უცხოელმა პოლიტიკოსებმა ღრმად უნდა ჩაიბეჭდონ, რომ **საქართველო აღარაა ნაცმოძრაობის რეჟიმის ეპოქის „ენჯეო“,** რომელიც ცხოვრობს და მოქმედებს გარე დონაციებითა და ინსტრუქციებით.

„იმედინიუსი“

**დავით ქიქინაძე**
პარტია „ტრიბუნას“ თავმჯდომარე



**ივანიშვილს** პოლიტიკაში დარჩენა არ უნდა. არ გამოვრიცხავ, რომ **27 ოქტომბერს ბიძინა ვერც კი ვიპოვოთ.** შეიძლება, 5-პროცენტიანი ბარიერის მიღმა დატოვონ ყველა პარტია, გარდა ნაციონალური მოძრაობისა. ასეთ შემთხვევაში **ვაშაძე იქნება პირველი, ვინც პარლამენტში შევარდება.**

„ახალი თაობა“

**მამუკა გამყრელიძე**
„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი



**ოპოზიცია არჩევნების მოგებას არ ცდილობს.** ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის **არსებობს ჩუმი შეთანხმება.** „ოცნებას“ კვლავაც უნდა, რომ მიიღოს იდეალურ მდგომარეობაში **68 პროცენტზე მეტი** და თუ **უბრალო უმრავლესობას მიიღებს, საკონსტიტუციოს გარეშე,** არც ამაზე მოიკლავს თავს.

„ახალი თაობა“

**პეტრე ცისკარიშვილი**
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი



არავინ დაიჯეროს **„ოცნების“ აფერა,** რომ არჩევნებზე თუ გაიმარჯვებენ, **დასავლეთთან ურთიერთობის „დალაგებას“ მოახერხებენ,** მათ საერთაშორისო წითელი ხაზები გადაკვეთეს.

„პირველი არხი“



*— პარიზის ოლიმპიადამ, სადაც ქრისტიანობას საშინელი შეურაცხყოფა მიაყენეს, დაგვანახა, რომ მთელი მსოფლიოს ბნელი ძალები პატარა საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანდნენ. რაც სანდრო ბაზაძესა და ილია სულამანიძეს დამართეს, ცხადყოფს, რომ ჩვენს დასჯას ყველგან და ყველაფერში მიზანმიმართულად ცდილობენ, —* ***აცხადებს ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე და ქვეყანაში მიმდინარე მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება:***



## მაყვალა ბერიანიძე:

# ბნელ ძალებს საქართველოში რეალურ ხელისუფლად სალომე ზურაბიშვილის დასმა სურთ და ამიტომაც დაგეგმეს ბიძინა ივანიშვილის მკვლელობა!

— მიუხედავად ამისა, ერთი ციცქნა საქართველო მაინც ახერხებს და თავისი სპორტული მიღწევებით მსოფლიოში 24-ე ადგილს იკავებს. ძალა რომ მქონოდა და დარბაზში ვყოფილიყავი, გადავიდოდი და **ილია სულამანიძის** მსაჯს ცხვირ-პირს გავუერთიანებდი! ბიჭს ჯერ სუფთა იპონი არ ჩაუთვალეს და მერე 8 წამში ორჯერ გააფრთხილეს... პარიზში არაბუნებრივად აანთეს ოლიმპიური ჩირაღდანი, რაც აქამდე არ მომხდარა... დიახ, **ტრანსგენდერის ხელში ოლიმპიური ჩირაღდანი მზის ენერგიით არ აინთო და ამ დროს ის უკვირთ, როგორ გარდამოდის წმინდა ცეცხლი მართლმადიდებელი ქრისტიანის სანთელზე.** ესენი ღმერთის წინააღმდეგ მიდიან, ამიტომ ღმერთი ყველას საკადრის პასუხს გასცემს!

**— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ სანდრო ბაზაძისა და ილია სულამანიძის მიმართ გამოჩენილი უსამართლობის უკან პოლიტიკური კონტექსტი დგას?**

— ამაში ისევე ვარ დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილის მოკვლას ნამდვილად გეგმავდნენ! ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ვაფრთხილებდი მას „ასავალ-დასავალის" მეშვეობით — **დაცვა გაიძლიერე-მეთქი!** იმ ბნელ ძალებს, რომლებსაც **სოროსი** და **ბზეჟინსკი** განასახიერებენ, საქართველოში რეალურ ხელისუფლად **სალომე ზურაბიშვილის** დასმა სურთ და ამიტომაც დაგეგმეს ბიძინა ივანიშვილის მკვლელობა! პრეზიდენტ **ჯონ კენედის** ხუთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, მათ შორის, ერთი — წინიდან და რა შუაში იყო **ოსვალდი,** რომელსაც მხოლოდ გვერდიდან შეეძლო სროლა? **ტრამპი** ბეწვზე გადარჩა; **რობერტ ფიცო** ბეწვზე გადარჩა; **ორბანს** ავარია მოუწყვეს და ბეწვზე გადარჩა; **ირანის პრეზიდენტი** მოკლეს; ირანში, ამოდენა ქვეყნის მთელი პოლიტიკური ლიდერების თვალწინ, 31 ივლისს მოკლეს გამორჩეულად საპატივცემულო სტუმარი, „ჰამასის" ლიდერი **ისმაილ ჰანიე;** ბიძინა ივანიშვილის მკვლელობა დაგეგმეს! **ეს ყველაფერი შემთხვევითია? ვინ აკეთებს ამას და ვინ მართავს დღეს ამერიკას — ბაიდენი და კამალა ჰარისი?** ცხადია, არა! ბაიდენი როგორ მართავს ქვეყანას, როცა კამალა ჰარისი ხან პირველი ლედი ჰგონია და ხანაც — პრეზიდენტი?

**— როგორც ჩვენი ხელისუფლება მიიჩნევს, ამერიკას ჩრდილოვანი მთავრობა — გლობალური ომის პარტია მართავს!**

— ამის გამო ჩვენს ხელისუფლებას უვიცები დასცინიან, მაგრამ აბა, ვინ მართავს ამერიკას? **ცხადია, მართავს ის ხალხი, რომელსაც ძალიან სურს უკრაინაში ომის გაჭიანურება და იარაღის გაყიდვა.** უკრაინის ომის დაწყებამდე, 2022 წლის იანვრის მონაცემებით, შეერთებული შტატები იარაღის გაყიდვით ყოველწლიურად **49,7 მილიარდ დოლარს** შოულობდა. დღეს ეს მონაცემები **80 მილიარდ დოლარს** აჭარბებს და განუხრელად იზრდება. ამერიკამ უკრაინაში მთლიანად გაასაღა საწყობებში წლობით შენახული თავისი მოძველებული იარაღი და ორი მართლმადიდებელი ქვეყნის მოსახლეობას ერთმანეთს ახოცვინებს. ვინ გააკეთა ეს — ბაიდენმა, რომელიც, ფაქტობრივად, გათიშულია? არა და არა! **ცხადია, ეს გააკეთა იმ ოლიგარქატმა, რომელიც შეერთებულ შტატებს დღიდან მისი შექმნისა მართავს.**



ისე კი, ხომ გითხარით, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი შეიცვლებოდა და **ბაიდენი** მეორე ვადით კენჭს არ იყრიდა? რა ნიშნით შეარჩიეს ყოფილი პროკურორი **კამალა ჰარისი** ბაიდენის შემცვლელად? მან შავკანიანთა ხმები უნდა მოიზიდოს, დგას ლგბტ მოძრაობის ავანგარდში და გახლავთ ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი. **სხვათაშორის, ერთხელ შევარდნაძეს ვკითხე, არსებობდა თუ არა მსოფლიო მთავრობა?** მან მსოფლიო საიდუმლო მთავრობის არსებობა დამიდასტურა და ისიც მითხრა, თუ რა დანიშნულება ჰქონდა მას ამ მთავრობაში და რა დავალებებს აძლევდნენ, მაგრამ ბოლოს გამომიცხადა — **ეს ყველაფერი გამოაქვეყნე მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ!**

**შევარდნაძე კარგად ხვდებოდა, თუ მის სიცოცხლეში ეს ყველაფერი დაიბეჭდებოდა და საიდუმლოს ფარდა აეხდებოდა, ცოლ-შვილს ამოუწყვეტდნენ და ცოცხალს არავის დაუტოვებდნენ! ამიტომაც გაყუჩდა, შეინარჩუნა ბიზნესიმპერია, მილიარდები და მშვიდად წავიდა...**

ამასწინათ ხუხაშვილი გამოძვრა საიდანღაც და ნართაულად განაცხადა — ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ამერიკაში ტყუილად არ იყო ჩასული, „ქართულ ოცნებაზე" კომპრომატები ჩაიტანაო! ამით მან ირაკლი ღარიბაშვილს ბიძინა ივანიშვილის ღალატში დასდო ბრალი.... ხუხას გასაგონად ვიტყვი, რომ ირაკლი ღარიბაშვილზე უფრო ადრე ამერიკაში **ირაკლი შოთაძე** ჩავიდა, რომელიც სწორედ ამერიკელების მითითებით გადადგა... **რატომ არაფერს ამბობს ხუხა შოთაძეზე?**

**— აკი, ირაკლი შოთაძე ავად არის და იმიტომ წავიდაო?!**

— ირაკლი შოთაძე ავად კი არ არის, ნაცების ერთგული კადრია, რომელიც სააკაშვილის დროს ხალხს აწყავებდა. სხვათაშორის, ხელისუფლებაში უამრავი გვარგადაკეთებული არაქართველია და, შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველო ეთნიკური ქართველების ხელით არ იმართება!

**— დავით გამყრელიძე სარკოფაგიდან წამოაყენეს და ხაზარაძესთან მიიყვანეს; იქით გვარამია და მელია ელიან არჩევნებში გამარჯვებას, აქეთ — ნაცებთან მიერთებულ-მიბრუნებული ჭიჭე ვაშაძე... თქვენ რას მოელით?**

— ველი იმას, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო გაძლიერდება ეკლესიისა და მართლმადიდებლობის გინება. არ ვიცი, ქრისტიანებმა როდემდე უნდა ვითმინოთ ერთ ლოყაში ამდენი გალაწუნება, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ, რაც პარიზის ოლიმპიადაზე ქრისტიანებს გვაკადრეს, ის რომ მუსლიმებისთვის გაებედათ, საფრანგეთში ოლიმპიადა ვერ ჩატარდებოდა და ქვეყანა სასაკლაოდ იქცეოდა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას — **მამუკა ხაზარაძის „ლელოში" აქტივისტების, სულ მცირე, 40 პროცენტი, თუ მეტი არა, ხელისუფლების აგენტურაა!** საერთოდ, აგენტების თემა ცალკე თავის ტკივილია... როცა ერთ-ორ უშიშროების მინისტრს გაუჭირდა, ყველამ ცალ-ცალკე მოაცუნცულა აგენტების სიები. სწორედ მაშინ დაისვა საკითხი, მიეღოთ კანონი ლუსტრაციის შესახებ. მაგრამ იმ აგენტების სიებში ისეთი ხალხი იყო შეყვანილი, ლუსტრაციის კანონი რომ მიეღოთ, საქართველოს ხელისუფლება ქართველებისგან დაიცლებოდა! ისე კი, მგონია, რომ **„ლელოსა"** და **გვარამია-მელიას** ბარიერს გადაალახვინებენ, მაგრამ აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, როგორ სიებს წარადგენენ ე.წ. „ოპოზიციონერები". მიმაჩნია, რომ კონსერვატორებიც გადალახავენ ბარიერს... საერთოდ, ძალიან რთული არჩევნები იქნება, მაგრამ არჩევნები არ გაყალბდება! **ბადრი ჯაფარიძე** ვინ იყო, ხომ გახსოვთ?

**— ბადრი ჯაფარიძე უზენაესი საბჭოს წევრი იყო ტრადიციონალისტთა კავშირიდან**

## ანდრანიკ მიგრანიანი:

### კავკასიის ხალხთა მბორგავი ენერგია, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული, საჭიროა, მივმართოთ საქართველოს წინააღმდეგ!

## კვირგვინოსნები

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



ქოთანს კუდი გინდა იქიდან მიაბან, გინდა — აქედან, **მაინც მოსტყდებათ კისერი არჩევნების შემდეგ** — თუ ვინმემ ქართულ სახელმწიფოსა და ჯარს დააბრალა ომის დაწყება, ეს ნაციონალური მოძრაობა იყო.

„ინტერპრესნიუსი"

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" წევრი*



ამერიკელი სტუმრების — **ჯინ შაჰინისა და მაიკ ტერნერის** მიზანი იყო, დაეფიქსირებინათ პოზიცია, რომ **ანტისახელმწიფოებრივად მოქმედ ოპოზიციურ ძალებს აშშ-ის მთავრობა ყველა საშუალებით დაეხმარება ხელისუფლებაში მოსასვლელად.** ეს ვიზიტი იყო არადიპლომატიური სიხისტისა და **უტიფრობის კლასიკური მაგალითი,** როდესაც ამერიკელი სტუმრები **რუსი „ნამესტნიკების" მსგავსად,** არათუ სტუმრებად არ გრძნობდნენ თავს, არამედ **„უკაზანიებს" იძლეოდნენ** და იმდენად გათავხედდნენ, ქართველი ხალხის სახელითაც კი ლაპარაკობდნენ.

„იმედინიუსი"

**მაიკლ ტერნერი**
*ამერიკელი კონგრესმენი*



აუცილებელია, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იყოს **თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე** ქართველი ხალხისთვის და საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის.

„ინტერპრესნიუსი"

**არჩილ გორდულაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის პირველი მოადგილე*



რაც არ უნდა გააკეთოს **კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ** იმისთვის, რომ როგორმე ქართველი ხალხი მოატყუოს, ამ ყველაფერს აზრი არა აქვს. **ძალაუფლების ხელში ჩაგდება იმისთვის სჭირდებათ, რომ ქვეყანაში არეულობა დაიწყოს.**

„ინტერპრესნიუსი"



და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე აქვს ხელი მოწერილი!

— **ბადრი ჯაფარიძე** კარგად ჩანს ე.წ. ბუნკერის კადრებში, საიდანაც თავის შეყვარებულს ურეკავს — აქ ყველაფერი დამთავრებულია და რომ გამოვალ, ვიქორწინებთო! რა იცოდა **ბადრი ჯაფარიძემ** ე.წ. ბუნკერიდან ცოცხალი გამოაღწევდა თუ არა? მაგრამ მან კიდევ ერთი ზარი გააკეთა ე.წ. ბუნკერიდან...

**— ვის დაურეკა?**

— გამოვიდეს და თვითონ თქვას, ვის ურეკავდა და რას ეუბნებოდა! საერთოდ, ქვეყანაში არის უმძიმესი სიტუაცია და კურსკში ატეხილი ორომტრიალის ფონზე, როცა აზერბაიჯანს თურქეთი უდგას გვერდით, ხოლო სომხეთს — მთელი სომხური ლობი, საქართველო დარჩენილია უპატრონოდ. გაგახსენებთ საქართველოს დაუძინებელი მტრის **ანდრანიკ მიგრანიანის** სიტყვას, რომელიც მან 2005 წლის მარტში, პრემიერ-მინისტრ **ზურაბ ჟვანიას** მკვლელობიდან ერთი თვის თავზე წარმოთქვა: *„კავკასიის ხალხთა მბორგავი ენერგია, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული, საჭიროა, მივმართოთ საქართველოს წინააღმდეგ!“* ეს პროგრამა დღესაც ძალაშია... აი, ამ სიტუაციაში, როგორ ფიქრობთ, ვინ არის საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი? ვინმეს მოსწონს თუ არა, ასეთი გარანტი **ბიძინა ივანიშვილია.**

„ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ვარ, კარგად იცი, როგორ მაწყენინეს და დამჩაგრეს, მაგრამ მითქვამს და კიდევ ვიტყვი: **დღეს საქართველოს გადარჩენის შანსი სწორედ ბიძინა ივანიშვილია!** შავბნელმა ძალებმა ევროპასა და ამერიკაში ძალიან კარგად იციან, რომ ბიძინა შემთხვევით გამდიდრებული კაცი არ არის... ისიც კარგად უწყიან, რომ, თუ არ მოკლეს, ვერ მოერევიან! ახლა ბიძინას მეუღლეს **ეკა ხვედელიძეს** დაუწყეს ბრძოლა — არიქა, 90-იან წლებში რუსეთში ქონებები შეუძენიაო! **ქალბატონი ეკას შესახებ ბუნებაში კომპრომატი არ არსებობს, უკეთილშობილესი პიროვნებაა და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ბიძინა ივანიშვილს — გამოაჩინეთ თქვენი ჭკვიანი და ნიჭიერი მეუღლე!**

**„ახლა ბიძინას მეუღლეს ეკა ხვედელიძეს დაუწყეს ბრძოლა — არიქა, 90-იან წლებში რუსეთში ქონებები შეუძენიაო! ქალბატონი ეკას შესახებ ბუნებაში კომპრომატი არ არსებობს, უკეთილშობილესი პიროვნებაა და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ბიძინა ივანიშვილს — გამოაჩინეთ თქვენი ჭკვიანი და ნიჭიერი მეუღლე!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***





# „აქამდე საქართველოს არცერთ მთავრობას ასე პრინციპულად არ დაუცავს საკუთარი ქვეყნის ინტერესები!“

## ნიკუშა შენგელაია:

# ხელისუფლებას ქვეყნისათვის სასარგებლო ოპოზიცია არ ჰყავს!

***მხატვარი, სოფიკო ჭიაურელისა და გიორგი შენგელაიას ვაჟი ნიკუშა შენგელაია მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ უალტერნატივო ძალაა და ოპოზიციას მასზე გამარჯვების რესურსი არა აქვს:***

— დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნებში გაიმარჯვებს საქართველოს უმრავლესობის საღი აზრი. თუ გვინდა, რომ ქვეყანაში იყოს მშვიდობა, განვითარება და სტაბილურობა, ხელისუფლებაში დიდი უპირატესობით „ქართული ოცნება“ უნდა მოვიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება თავი ისეთ მდგომარეობაში ჩავიგდოთ, რომ მთელ ქვეყანას საქმე სანანებლად გაგვიხდეს. **დარწმუნებული ვარ, მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოს მომავალსა და საკუთარ ოჯახებზე ფიქრობს და არ აჰყვება იმ ძალას, რომელმაც საკუთარი სახე უკვე აჩვენა:** ეს ადამიანები საქართველოს კი არა, სხვა ქვეყნის ინტერესებს ემსახურებიან, აგენტები არიან და ქართველი ხალხი მათ თავიანთ ადგილს მიუჩენს. არჩევნების შედეგებზე არ ვღელავ, მთავარია, გავუმკლავდეთ იმას, რასაც ესენი არჩევნების მერე მოაწყობენ.

**— და მაინც რა არის მოსალოდნელი?**

— ხომ გახსოვთ, რამდენჯერ სცადეს ქვეყნის არევა თავიანთი აგენტურით და გარედან შემოსული ფულით. ისევ ამას შეეცდებიან, მაგრამ არაფერი გამოუვათ! **ნუ შეგვაწუხებს ის, რომ უცხოეთიდან შეწყვეტილია რაღაც პროგრამების დაფინანსება, მათი დახმარების რაოდენობას თუ გადავხედავთ, სახელმწიფოსთვის ეს არაფერს ნიშნავს, თუმცა, მადლობა იმაზე, რაშიც აქამდე გვეხმარებოდნენ.** დახმარებას თან არ უნდა მოსდევდეს პირობა, რომ მათი ინტერესები გავატაროთ, მეორე ფრონტი გავხსნათ, შევწყვიტოთ ვაჭრობა ჩინეთთან, მეზობელ ქვეყნებთან და მარტო მათ სურვილებს დავემორჩილოთ. ეს არის უხეში ჩარევა სუვერენული ქვეყნის ინტერესებში.

***— ჯერჯერობით მთავრობა მყარად დგას...***

— 65 წლის ვხდები და ხმამაღლა შემიძლია ვთქვა — აქამდე საქართველოს არცერთ მთავრობას ასე პრინციპულად არ დაუცავს საკუთარი ქვეყნის ინტერესები. საქართველო ხან რუსეთის წნეხის ქვეშ იყო, ხან — აღმოსავლეთი ქვეყნების. საბედნიეროდ, სუვერენიტეტის დასაცავად მთავრობა მყარად დადგა. ამიტომ ხალხმა მას ზურგი უნდა გაუმაგროს.

საქართველოში ომი არავის უნდა, დასავლეთისაგან უკვე ბევრი რამ ვისწავლეთ. თუ პარტნიორობას ითხოვენ, ვიყოთ ნამდვილი პარტნიორები, მეგობრები და არა მოთხოვნების შემსრულებლები. სხვებს მსხვერპლად ვერ შევეწირებით, ამხელა ისტორია გვაქვს, ქვეყანა წინაპრებმა აქამდე მოგვიტანეს და მომავალი შვილებს უნდა გადავცეთ. დღევანდელ მსოფლიოში სამართალი აღარ არსებობს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ სიმართლე ჩვენს მხარესაა და ყველაზე ძლიერი ძალაც სიმართლეა. ამიტომ ქართველები იმაზე ძლიერები ვართ, ვიდრე წარმოუდგენიათ!

**— ჰელსინკის კავშირმა საქართველოს მთავრობას ბრალად დასდო ქოლ-ცენტრებთან თანამშრომლობა...**

— მაგათ რიტორიკას და განცხადებებს არ უსმინოთ, ყველა მუქარას გავუმკლავდებით, მათ უტიფარ ტყუილებზე რეაქცია არ უნდა გქონდეთ. საერთოდ, ბოროტებისა და სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე კარგი მეთოდია იგნორი — არ შეუშვათ ყურში მათი სიტყვები, იყავით შემართებულად, კარგ განწყობაზე და აკეთეთ საქვეყნო საქმე!

ეგენი არიან ყოვლად უპრინციპო და ყველაფრის მკადრებელი ადამიანები. ხელისუფლებას ქვეყნისათვის სასარგებლო ოპოზიცია არ ჰყავს..

**— და მაინც, რატომ არ აწყობთ დასავლეთსა და ოკეანის გაღმელებს მშვიდობა საქართველოში?**

— როდესაც უცხო ძალებზე ვლაპარაკობ, არ ვგულისხმობ სრულიად ევროპას და ამერიკას, ვგულისხმობ **ბრიუსელის ჩინოვნიკებს და ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას.** ნამდვილი ევროპა და ამერიკა ქრისტიანულ კულტურაზე დგას, მათი მოსახლეობა ყველაფერს კარგად ხედავს და ჩინოვნიკებისაგან განსხვავებულია მათი განწყობა. ახლა გაგვიჩნდა შანსი, ვიყოთ შუა დერეფანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რაც მშვიდობიან პერიოდში მოგვიტანს დიდ შემოსავალს, გაიზრდება პენსიები და ხელფასები, ხალხი დასაქმდება. აშენდება ანაკლია და დიდი ქვეყნების ეკონომიკური ინტერესები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის გათვალისწინებით გადაწყდება. ეს არის არამარტო საქართველოს ეკონომიკური წინსვლის, არამედ თავდაცვის გარანტიაც. ამიტომ ხმამაღლა ვამბობ, ყოველივე ამას დღევანდელი მთავრობის არჩევა სჭირდება, სხვა შემთხვევაში ყველაფერი დაიკარგება და მერე იშინონ თავში ხელები!

**— პრეზიდენტის შემოთავაზებულ დროებით მთავრობაზე რა აზრი გაქვთ?**

— ამ ქალზე ლაპარაკი არ მინდა, საკუთარი კარიერისა და კეთილდღეობის გამო სხვა ქვეყნის ინტერესებს ემსახურება. ახლა ვერ გავარჩევ, რა მოხდა მაგის თავში და აზრები როგორ შეეცვალა. **არც მელიას პოლიტიკური მომავალი მაინტერესებს, არც — გვარამიასი, არც — ბოკერიასი და არც — მთლიანად ნაციონალური მოძრაობის!**

**— სააკაშვილი?**

— სააკაშვილს მისცენ აბი გლუკოზა! ხომ ხედავთ, ნელ-ნელა ფართოვდება... ყველამ ყველაფერი ვიცით და დროა, მიუჩინონ თავისი ადგილი. მთავარია, არ გაგვხვიონ იმ საშინელ ორომტრიალში, რაც ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში ხდება — ამიტომ ერი და ბერი ერთად უნდა დავდგეთ, მივიდეთ არჩევნებზე და ქვეყანა გადავარჩინოთ!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



# „მამუკა ხაზარაძის „ლელოში“ აქტივისტების, სულ მცირე, 40 პროცენტი ხელისუფლების აგენტურაა!“

## კვირგვინოსნები

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თავდაცვის პროფესორი*



მთავარი შეცდომა, რასაც უცხოელები ჩვენთან მიმართებაში უშვებენ, ის არის, რომ **მათ არ იციან ჩვენი ხალხის ბუნება, ჩვენი დამოკიდებულება ქვეყნისა და უფლის მიმართ...** ისინი **„უსამშობლოებზე“** დაყრდნობით მოქმედებენ საქართველოსთან მიმართებაში, რაც **მხოლოდ კრახის მომტანი იქნება** და ე.წ. მეგობრებთან კიდევ უფრო დაშორების მიზეზიც შეიძლება გახდეს.

„საერთო გაზეთი“

**თამარ კიკნაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი*



ამას წინათ **ბიძინა ივანიშვილმა** თქვა, რომ **სააკაშვილის ხელისუფლება გასამართლდება.** აბსოლუტურად ვეთანხმები, **მთელი ის პოლიტიკური ძალა უნდა გასამართლდეს,** რომელმაც ეს გლობალური ომი საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვა.

„საერთო გაზეთი“

**მირიან ყარაულაშვილი**
*საინფორმაციო სააგენტო „ექსპრესნიუსის“ დამფუძნებელი*



წინასაარჩევნოდ **არაერთი ახალი კოალიცია ჩამოყალიბდა.** სინამდვილეში, ეს გახლავთ **კოლექტიური ნაცმოძრაობა,** რომელიც მიშას გასაპრეზიდენტებლად იბრძვის.

„საერთო გაზეთი“

**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია მამუკა ხაზარაძის „ლელოში“ დავით გამყრელიძის გადაბარგებას ეხმიანება და აცხადებს, რომ ნაღდ არჩევნებში საარჩევნო ბარიერს მხოლოდ ორი პარტია გადალახავს — „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა:**

## „ქართული ოცნება“ საგონებელშია — ამდენი ხმების აღება ხელისუფლებას არ აწყობს! ამიტომ ცდილობენ, დაიკლონ ხმები და მისცენ ამ მოღალატეებს, რათა ქვეყნის მტრები პარლამენტში შეათრიონ და დასავლეთის წინაშე იკოკეტონ, აქაოდა, შემოგვხედეთ, რა კარგი მულტიპარტიული პარლამენტი გვაქვსო!“



# ჯონდი ბაღათურია:

# დღეს ქართველ ერს ნაცმოძრაობა იმაზე უფრო მეტად ეზიზღება, ვიდრე 2012 წელს ეზიზღებოდა!



## „ესენი ემზადებიან არჩევნების მეორე დღისათვის!“




— **დათო გამყრელიძის** პოლიტიკაში დაბრუნებასა და **მამუკა ხაზარაძის** საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად გამწესებას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ და მიმაჩნია, რომ, ამ ამბავზე ამდენი ხმაურის ატეხა არც ღირს. საერთოდ, **გამყრელიძე და ხაზარაძე** დიდი ხნის მეგობრები არიან, თუმცა, რამ აიძულა დავით გამყრელიძე, ამ არაკომფორტულ და არაპერსპექტიულ გარემოში გადმოენაცვლებინა, არ ვიცი, მას უნდა ჰკითხოთ!

**— გამორიცხავთ, რომ გამყრელიძეს ხაზარაძესთან გადაბარგება სააკაშვილმა დაავალა?**

— **გამყრელიძის** გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში უპერსპექტივოა და ამაზე მეტს აღარ გავაგრძელებ. რაც შეეხება 2008 წელს განვითარებულ მოვლენებს, როცა ჩემსა და დათოს შორის პარლამენტში შესვლა-არშესვლასთან დაკავშირებით დაპირისპირება მოხდა, მაშინ **გამყრელიძე და სალომე ზურაბიშვილი** აქტიურად ლობირებდნენ პარლამენტში არშესვლის პოლიტიკას, მაგრამ მოგვიანებით, როგორც ამერიკის ელჩის **ჯონ ტეფტის** მეშვეობით გახდა ცნობილი, გაერთიანებული ოპოზიციის ზურგს უკან დავით გამყრელიძე სააკაშვილს ადგილებზე ევაჭრებოდა და „ახალი მემარჯვენეებისთვის“ დამატებით ოთხი ადგილის მიცემის სანაცვლოდ პარლამენტში შესვლას თანხმდებოდა. კარგი და ცუდი მაშინ ოპოზიციის იმ რიგებშიც იყო, ვინც პარლამენტში შევიდა და ვინც არ შევიდა. მე, უბრალოდ, ფაქტს აღვნიშნავ და მეტს არაფერს!

**— გამყრელიძეს, როგორც ერთადერთ ოპოზიციონერ დეპუტატს, ასევე ბრალდება სააკაშვილის მიერ ზვიადის დროს გაუქმებული ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ აღდგენის მხარდაჭერა!**

— მაშინ პარლამენტში არ გახლდით და ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ე.წ. ოპოზიციური „რვიანის“ გახლეჩას რომ დავით გამყრელიძეს აბრალებდნენ, ეს ვიცი...

**— საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება... რა შანსები აქვთ ოპოზიციასა და ხელისუფლებას, მოიგონ 26 ოქტომბერს დანიშნული არჩევნები?**

— ყოფილმა ხელისუფლებამ, ანუ დღევანდელმა ოპოზიციამ, საუბედუროდ, მოახერხა და ხალხში იმდენი ბოროტება დათესა, რომ **დღეს ქართველ ერს ნაცმოძრაობა იმაზე უფრო მეტად ეზიზღება, ვიდრე 2012 წელს ეზიზღებოდა!** უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ნაცმოძრაობამ იმდენად გააშიშვლა საკუთარი თავი, როგორც მტრულმა, მოღალატეობრივმა, ანტიეროვნულმა, ანტიმართლმადიდებლურმა და უკრაინის ომში საქართველოს ჩათრევის მოსურნე ძალამ, არჩევნებში არავითარი პერსპექტივა არა აქვს! პირდაპირ ვაცხადებ:

**„ქართულმა ოცნებამ“ ძალიან უნდა მოინდომოს, რომ ხმების არათუ 60 პროცენტი, არამედ 80 პროცენტი ვერ მიიღოს!**

პროცესებს რომ ვაკვირდები, ჩემთვის უკვე აშკარაა, რომ ხელისუფლება პარლამენტში „გირჩის“, „დროასა“ და ამ ტიპის მავნებლური პარტიების შეთრევას ცდილობს, რათა პარლამენტს დასავლეთის თვალში მულტიპოლიტიკური სახე მისცეს. საარჩევნო გზით დღევანდელი ოპოზიცია ვერავითარ პოლიტიკურ შედეგს ვერ დადებს, ამიტომაც მომართული არიან გადატრიალების მოსაწყობად.

**— თქვენ, როგორც „ქართული დასის“ ლიდერი, რას აპირებთ?**

— არჩევნებში მონაწილეობას არ ვაპირებ, რადგან აზრს ვერ ვხედავ! უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ხელისუფლება მთლიანად გადმოერთო კონსერვატიული და ეროვნული ძალების რელსებზე, რასაც ქართველი ხალხი არჩევნებზე აუცილებლად დაუფასებს. ვერც იმაში ვხედავ აზრს, რასაც ეს ხელისუფლება აშკარად გეგმავს, როცა დასავლეთის წინაშე თავის მოწონების მიზნით, პარლამენტში შეთრევას უპირებს საქართველოს მტრებს — **„გირჩს“, „დროასა“** და ამ ტიპის პარტიებს! ეს შესაძლოა, პარლამენტის მრავალპარტიულობის წარმოსაჩენად კარგია, მაგრამ, სამაგიეროდ, ქვეყნისთვის არის დამღუპველი, რადგან დამნაშავეები და მოღალატეები პარლამენტში შეგყავს!

**— როგორ ფიქრობთ, „ლელო“ გადალახავს საარჩევნო ბარიერს?**

— ნაღდ არჩევნებში საარჩევნო ბარიერს მხოლოდ ორი პარტია გადალახავს — „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა! ნაცმოძრაობა და მთელი მისი გამონაყოფები, საერთო ჯამში, ხმების 12-13 პროცენტზე მეტს ვერავითარ შემთხვევაში ვერ აიღებენ, ხოლო დანარჩენს ნამდვილად, ყოველგვარი გაყალბების გარეშე აიღებს „ქართული ოცნება“! ახლა „ქართული ოცნება“ საგონებელშია — **ამდენი ხმების აღება ხელისუფლებას არ აწყობს! ამიტომ ცდილობენ, დაიკლონ ხმები და მისცენ ამ მოღალატეებს, რათა ქვეყნის მტრები პარლამენტში შეათრიონ და დასავლეთის წინაშე იკოკეტონ, აქაოდა, შემოგვხედეთ, რა კარგი მულტიპარტიული პარლამენტი გვაქვსო!** ხელისუფლება მწარედ ცდება, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ ძალას და მის მოკავშირე ევროპელებს ამ ხელისუფლებისთვის განაჩენი ისედაც და ასედაც გამოტანილი აქვთ. პარლამენტში „დროას“ შეიყვანენ, „ლელოს“ თუ „გირჩს“, ამით ამ ხელისუფლებას მაინც არაფერი ეშველება და ამ ნაბიჯს არავინ დაუმადლებს, რადგან ესენი საპარლამენტო არჩევნებს ნებისმიერ შემთხვევაში გაყალბებულად გამოაცხადებენ, რაშიც ამერიკის შეერთებული შტატებიც და ევროპული სახელმწიფოებიც დაეთანხმებიან.

**უკვე მესამე წელია, რაც ბაიდენის ადმინისტრაციას ამ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა უნდა!**

**— მოკლედ, ამ შემოდგომაზე არეულობას ვერ ავცდებით?**

— ოპოზიციასა და მის უცხოელ პატრონებს, რომლებსაც **ირაკლი კობახიძე** „გლობალური ომის პარტიას“ ეძახის, არეულობა საქართველოში იმისთვის სჭირდებათ, რომ გადატრიალება მოახდინონ! **„გლობალური ომის პარტიის“** ნაცვლად მე უფრო ამ ტერმინის გამოყენებას ვუჭერ მხარს — **„გლობალური ლგბტ პარტია“,** რადგან ეს ძალა, რომელიც მსოფლიოში ომებს იწყებს და სახელმწიფო გადატრიალებებს აწყობს, სწორედ ლგბტ მოძრაობასთან არის დაკავშირებული. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა — **ესენი ემზადებიან არჩევნების მეორე დღისათვის!** ოპოზიცია და ამათი უცხოელი პატრონები არჩევნებს არ აღიარებენ და აქ იქნება ერთი „გამიშვი და დამაკავე!“ რაც 2008 წელს მოხდა და დაიწყო მანდატებით ვაჭრობა კულისებში, სწორედ ის მოხდება ახლაც... დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ 115 მანდატს თავისუფლად მოიპოვებს და საკონსტიტუციო უმრავლესობას გაიფორმებს!

**— რამ შეიძლება გვიხსნას ამ არეულობისგან?**

— თუ ხელისუფლებაში ტრამპი მოვიდა, მაშინ ამ საგიჟეთს თავს დავაღწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის მცდელობა აუცილებლად იქნება! „ქართული ოცნება“ ტყუილად ფიქრობს, რომ „დროასა“ და „გირჩის“ პარლამენტში შეშვებით ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია საქართველოს ხელისუფლებისადმი გამოტანილ ვერდიქტს შეცვლის. გიმეორებთ: ბაიდენის ადმინისტრაციამ ამ ხელისუფლებას დამხობის ვერდიქტი სამი წლის წინათ გამოუტანა და ეს ვერდიქტი არ შეიცვლება!

**— მერედა, ამ ხელისუფლების დამხობას ოპოზიცია და მისი ამერიკელი თუ ევროპელი პატრონები შეძლებენ?**

— ოპოზიციას „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დასამხობად არც ფიზიკური და არც მორალური რესურსი არ აქვს! ესენი ყოველმხრივ გაკოტრებულები არიან!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*კვირას, 2024 წლის 25 აგვისტოს, ზუსტად 80 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც 1944 წლის ზაფხულის ერთ ცხელ დღეს საფრანგეთის მეორე მოტორიზებულმა ფეხოსანთა დივიზიამ და ამერიკის შეერთებული შტატების მეოთხე ქვეითმა დივიზიამ საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი ფაშისტი ოკუპანტებისგან გაათავისუფლეს!*

№41 (277) ★ 2024 წლის 19 აგვისტო ★ გამოდის 2003 წლიდან

# 1944 წლის 25 აგვისტო:

# პარიზი ფაშისტებისგან გათავისუფლდა!



ყველაფერი დაიწყო **1944 წლის 6 ივნისს,** როცა ჩრდილოეთ საფრანგეთში — ნორმანდიაში, მოკავშირეებმა ამერიკული და ინგლისური ჯარების დესანტი გადმოსხეს და ასე ძალღუმადურად, ორი წლის დაგვიანებით, ევროპაში, ბოლოს და ბოლოს, გაიხსნა **მეორე ფრონტი,** რომელმაც ფაშისტური მესამე რაიხის აღსასრული დააჩქარა.

**სტალინი** ჯერ კიდევ 1941 წლის 18 ივლისს სწერდა **ჩერჩილს — საფრანგეთში მეორე ფრონტი გახსენითო!** მაგრამ **ჩერჩილმა** და **რუზველტმა** ევროპაში ფაშისტებთან ბრძოლას საფრანგეთის აფრიკულ კოლონიებში შეჭრა ამჯობინეს. ამან **ჰიტლერს** საშუალება მისცა, 1942 წლის ზაფხულისთვის საბჭოთა კავშირისათვის 217 კბილებამდე შეიარაღებული და უმაღლეს დონეზე გაწვრთნილი დივიზია მიექსია, რამაც **რუზველტი** ძალიან შეაშინა და იძულებული გახადა, **სტალინისთვის** ზოგიერთი დაპირება მიეცა.

**1942 წლის ივნისში,** როცა **ვიაჩესლავ მოლოტოვი** ვაშინგტონში ჩავიდა, გადაწყდა, რომ 1942 წლის ბოლომდე ევროპაში **მეორე ფრონტი** აუცილებლად გაიხსნებოდა, მაგრამ ამერიკელებმა და ინგლისელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ომის მთელი სიმძიმე სწორედ **სტალინსა** და საბჭოთა კავშირს ეტვირთათ და 1944 წლის 6 ივნისამდე ნორმანდიაში დესანტი არა და არ გადმოსხეს.

**მთელი ოთხი წლის განმავლობაში აკონტროლებდნენ ფაშისტები საფრანგეთსა და პარიზს. გენერალი დე გოლი** და მისი წინააღმდეგობის მოძრაობა იყო ერთადერთი ძალა, რომელმაც მაშინ საფრანგეთს ღირსება აღუდგინა და სამთელქვეყნო სირცხვილი მოწმინდა! როგორც **ჟანა დ'არკმა** გადაარჩინა საფრანგეთი საუკუნო სირცხვილს, სწორედ ისე იხსნა **დე გოლმა** სამშობლო სამუდამო დამცირებისა და აბუჩად აგდებისგან! **ვერავინ იფიქრებდა, რომ ნაპოლეონის ქვეყანაში, რომლის გულადი ჯარისკაცები და უნიჭიერესი მარშლები ბრძოლის ველზე სასწაულებს სჩადიოდნენ, გერმანელებს ასე უბრძოლველად დანებდებოდნენ და ორმოც დღეში ჰიტლერსა და მის ფელდმარშლებს მეძავებივით დაუწვებოდნენ.**

**ჰიტლერი** დიდების ზენიტში იმყოფებოდა, ნეტარებისგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა და პარიზში ეიფელის კოშკის ფონზე ფოტო და კინოკამერების წინ კოხტაპრუწობდა! ერთი სიტყვით, **1944 წლის 25 აგვისტოს პარიზი ფაშისტებისგან გათავისუფლდა.** ფრანგმა პატრიოტებმა დაუყოვნებლივ დააპატიმრეს პარიზის უკანასკნელი ფაშისტი კომენდანტი, **გენერალი დიტრიხ ფონ ჰოლტიცი,** რომელმაც არ შეასრულა ჰიტლერის ბრძანება, არ გაასწორა მიწასთან პარიზი და არ დაანგრია ეიფელის კოშკი! სხვათაშორის, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც **გენერალი ჰოლტიცი** საშინელ სამსჯავროს გადაურჩა და არ დახვრიტეს, იყო ის, რომ მან მსოფლიოს ულამაზესი ქალაქი პარიზი არ იავარქმნა!

**25 აგვისტო საქართველოსთვისაც უდიდესი ეროვნული დღესასწაული და გამარჯვების დღეა!**

80 წლის წინათ, **1944 წლის 25 აგვისტოს,** როგორც ფრანგები შევიდნენ ამერიკელების დროშის ქვეშ პარიზში, სწორედ ისე, **146 წლის წინათ, 1878 წლის 25 აგვისტოს,** რუსის ჯარი და ქართული მილიციის რაზმები, ქართველ მოხალისეებთან ერთად, დიდებით შევიდნენ **თურქების მიერ სამასი წლის განმავლობაში ოკუპირებულ ბათუმში** და საქართველოს მტრის მიერ მიტაცებული ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი დაუბრუნეს! **არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: 1828-1829 წლებისა და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად საქართველოს დაუბრუნდა თურქეთის მიერ ოკუპირებული ისტორიული ქართული მიწები** — ფოთი, ქობულეთი, აბასთუმანი, ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი, აბოცი, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი, ყარსი და ბათუმი აჭარიითურთ!

**ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ,** რომ დიდი ქართველი მეცნიერისა და მწერლის **თეიმურაზ ბატონიშვილის** (1782-1846 წ.წ.) ცნობით, რომელიც **გიორგი მეთორმეტის** (1746-1800 წ.წ.) ვაჟი გახლდათ, მესხეთი, ანუ ზემო ქართლი გადაჭიმული იყო ტრაპიზონამდე და არზრუმამდე. ეს გახლდათ უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც ერთიანი ქართული სახელმწიფოს ერთ მესამედს შეადგენდა და მისი საერთო ფართობი დაახლოებით 34,2 ათასი კვადრატული კილომეტრი იყო. **ამ ტერიტორიიდან დღეს საქართველოს შემორჩა მხოლოდ 9,4 ათასი კვადრატული კილომეტრი, ხოლო დანარჩენი 24,8 ათასი კვადრატული კილომეტრი მიტაცებული აქვს ოკუპანტ თურქეთს,** ანუ, თუ დღესდღეობით აფხაზეთის, ცხინვალისა და ქსნის ხეობის სახით, რუსეთს დაპყრობილი და მიერთებული აქვს ქართული მიწის **12,6 ათასი კვადრატული კილომეტრი,** თურქეთს წაღებული აქვს ორჯერ მეტი — **24,8 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია.**

**როცა დე გოლი 1944 წლის 25 აგვისტოს პარიზს ფაშისტებისგან ათავისუფლებდა, ალბათ, ყველაზე უფრო საშინელ კოშმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ დადგებოდა დრო, როცა მამაც და შეუპოვარ ფრანგებს, რომლებიც ევროპაში ყველაზე უფრო მორწმუნე ერად არიან ცნობილი, ფაშიზმზე ბევრად უფრო საშინელი და ბინძური ჭირი დარევდა ხელს და მივიღებდით იმას, რაც 2024 წლის პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ვიხილეთ** — გენიტალიებგადმოგდებული კონჩიტებისა და აყროლებული სოდომისტების ორგიას, რომლებმაც საიდუმლო სერობის ბიბლიური სცენა წაბილწეს.

**დე გოლსა და ფრანგ პატრიოტებს პარიზი ფაშისტებისგან იმისთვის არ გაუთავისუფლებიათ, რომ ოთხმოცი წლის შემდეგ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი საეჭვო ვითარებში გადაებუგათ, ხოლო მერე ელისეს მინდვრებზე გათხოვილი კაცებისა და ცოლიანი ქალების პარადები გაემართათ!** დე გოლს ეს რომ სცოდნოდა, დარწმუნებული ვარ, პარიზში ფრანგულ-ამერიკულ არმიას არ შეუძლვებოდა და ფაშისტებს, რომლებიც სოდომისტებსა და ნარკომანებს პირწმინდად ანადგურებდნენ, საფრანგეთში კიდევ დიდი ხნით დატოვებდა!

**რუს ჯარისკაცებსა და გენერლებს რომ სცოდნოდათ, ქართველი ქალები თურქებთან ნებით გაიყოფდნენ სარეცელს და ფულის გულისთვის ოსმალების ხარჭებად იქცეოდნენ, დარწმუნებული ვარ, ბათუმისა და აჭარის დასაბრუნებლად თავიანთ სისხლს არ დაღვრიდნენ!**

***დიტო ჩუბინიძე***




# 1878 წლის 25 აგვისტო:

# რუსეთმა ბათუმი და აჭარა თურქებისგან გაათავისუფლა!

**ტრიუმფალური თა(რი)ღი ★**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დევი სტურუა წლების მანძილზე მუშაობდა ქართულ პრესაში. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის თანაშემწე, 1961-1970 წლებში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ხოლო 1971-1991 წლებში — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი.*



## დევი სტურუა

# რას მინახავს და

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსის“ 2024 წლის №39, 40*

***გაზეთი „გენერალისიმუსი“ გთავაზობთ ნაწყვეტებს დევი სტურუას წიგნის მეორე და მესამე ქვეთავებიდან, რომლებიც ნიკიტა ხრუშჩოვისა და ლეონიდ ბრეჟნევის საქართველოსთან ურთიერთობას ეხება. წარმოდგენილი ჩანაწერების წაკითხვა დაგვანახებს, როგორი პოლიტიკური კასტრატები მართავდნენ ქვეყანას გენერალისიმუს სტალინის შემდეგ.***

1961 წლის 12 მაისს **ხრუშჩოვი** ჩამოვიდა თბილისში იმისათვის, რომ მიეღო მონაწილეობა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში. მან ინახულა საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, რომლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველო საცაა, კომუნიზმში უნდა შესულიყო.

ხრუშჩოვს, რომელსაც თვით ეწადა, კომუნიზმში ეცხოვრა და ამოცანაც დასახა — ეს კომუნიზმი 1980 წლისათვის აეშენებინათ, ძალიან მოსწონდა ფერადი მაკეტები, პლანშეტები და სხვა საგამოფენო მოჩვენებითობა.

სტუმარი მიიყვანეს რობოტთან, რომელიც შექმნეს ქართველმა კონსტრუქტორებმა. ეს იყო, ასე ვთქვათ, გამოფენის კულმინაცია.

მთელი მარილი იმაში იყო, რომ რობოტს უნდა შეესრულებინა **ხრუშჩოვის** ბრძანება. მან ბრძანება გასცა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, რობოტმა ყურიც არ შეიბერტყა. მყის მოცვივდნენ სპეციალისტები, გამოცვალეს რაღაც ნათურები, აფათურეს ხელი რობოტის „შიგანში“ და უკან დაიხიეს. ხრუშჩოვმა კვლავ გასცა ბრძანება, მაგრამ რობოტმა კვლავ შეირცხვინა თავი, ადგილიდან არ დაძრულა. ხრუშჩოვი ოდნავ წამოწითლდა. მას აშკარად არ მოსწონდა ეს ყველაფერი, მაგრამ როგორღაც სტუმარმა ამჯერად თავი შეიკავა. სპეციალისტებმა ისევ რაღაცა „შეულოცეს“ რობოტს და გაუჩინარდნენ. **მჟავანაძე და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები უკიდურესად დაიძაბნენ — ნუთუ ეს წყეული რობოტი ახლაც არ გამოიღებს სიცოცხლის ნიშანწყალს? ან რა საჭირო იყო ეგ ეფექტი, ისედაც ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა.**

მესამე ბრძანება და რობოტმა „თავი აიგდო“, არაფრად ჩააგდო მაღალი სტუმარიცა და მისი ამალაც. **ხრუშჩოვი** კარგა მაგრად წამოჭარხლდა და ქარიშხალი აუცილებლად ამოვარდებოდა, რომ არა საქართველოს აკადემიის პრეზიდენტი **ნიკოლოზ მუსხელიშვილი** — დიდი მეცნიერი და ორგანიზატორი. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ბედად ბატონ ნიკოს იუმორის დიდი გრძნობა გააჩნდა.

ბატონმა ნიკომ მიმართა **ხრუშჩოვს** შემდეგი სიტყვებით.

**— ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ! გევედრებით, ნუ გაუწყრებით ამ უბედურ რობოტს. საქმე ის არის, რომ იგი ასრულებს ნებისმიერ ბრძანებას, როცა მას მიმართავენ ქართული აქცენტით. თქვენ კი, ნიკიტა სერგის ძევ, ქართული აქცენტი არა გაქვთ, ამიტომაც ეს რობოტი დგას ასე გახევებული.**

ყველა დაძაბული უყურებდა ხრუშჩოვს, — მიიღებს ის ამ ხუმრობას თუ არა? ბოლოს **ნიკიტა სერგის ძემ** გულიანად გადაიხარხარა, მას სხვებიც აჰყვნენ. როცა **ხრუშჩოვი** მოსცილდა ამ საცოდავ რობოტს, ყველამ გადაკოცნა ბატონი ნიკო, მათი მხსნელი.

მაგრამ ქარიშხალი მაინც ამოვარდა იმ საღამოს. ვახშამი გააწყვეს **მჟავანაძის** აგარაკზე წყნეთში. ესწრებოდნენ მხოლოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები. ხრუშჩოვმა ვახშმის დროს სხვათაშორის თქვა, რომ მშენებლობა თბილისში მიმდინარეობს ძველებურად, აგურით, რომ დროა, გადავიდეთ ბლოკებზეო და სხვა. ბიუროს ყველა წევრმა კვერი დაუკრა, მხოლოდ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აკადემიკოსი **გიორგი ძოწენიძე** არ დაეთანხმა.

**— აგური სჯობია ბლოკს, ნიკიტა სერგის ძევ, აგური ჩვენში უფრო უყვართ.**

**ხრუშჩოვი** უცებ აფეთქდა:

**— შენ რა, აკადემიკოსი ხარ? რა გაგეგება მშენებლობისა? ეგ ხომ გეოლოგია არ არის!** (გიორგი ძოწენიძე იყო გამოჩენილი გეოლოგი, ლენინური პრემიის ლაურეატი). ერთი სიტყვით, მაგრად მოდგა. ბატონი გიორგი ძალზე თავმოყვარე კაცი იყო და ძლივს შეიკავა თავი, რომ არ შეპასუხებოდა განრისხებულ **ხრუშჩოვს.**

საზეიმო სხდომის შემდეგ, რომელიც გაიმართა თბილისში, **ხრუშჩოვმა** მოინახულა დასავლეთ საქართველო, აჭარა და კახეთის მეღვინეობის რაიონები.

თელავის რაიონში, დიდი ქართველი პოეტისა და მხედართმთავრის ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფილ მამულში, წინანდალში, ხრუშჩოვი შეხვდა კახეთის რეგიონის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებსა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს.

**ხრუშჩოვი** ჩინებულ ხასიათზე იყო. როგორც ყოველთვის, საუბრის სადავეები ხელში აიღო და კახელებს სწავლება დაუწყო, როგორ უნდა მოიყვანონ მათ სიმინდი.

**— თქვენ, კახელებო, მემინდვრეები ხართ! — ხმაურობდა ხრუშჩოვი. — რატომ არ მოგყავთ სიმინდი დაბლობში? მე მითხრეს, რომ ვაზი კარგად ხარობს ფერდობზე. მაშ, გაუშვით ის მთის ფერდობებზე, დაბლობში კი სიმინდი გააშენეთ.**

როცა **ხრუშჩოვმა** სიტყვა „ფერდობზე“ იხმარა, მან ხელი ცივ-გომბორისაკენ გაიშვირა. საქართველოში ბავშვმაც კი იცის, რომ ვაზი მთაში, დიდ სიმაღლეზე არ ხარობს. **ხრუშჩოვი,** როგორც ჩანს, შეცდომაში შეიყვანა ლაპარაკმა „ფერდობის“ შესახებ. ვაზი ფერდობზე მართლაც უკეთ ხარობს, ვინაიდან ტენი არ ჩერდება ერთ ადგილზე და ყურძნის შაქრიანობა უფრო მაღალია. სიტყვა „ფერდობი“ რომ გაიგონა, **ხრუშჩოვმა** იფიქრა, ლაპარაკია მთის ფერდობებზე და ამიტომაც მისცა კახელებს ასეთი ახირებული რჩევა.

კახელებმა ერთმანეთს გადახედეს. მათ მზერაში გამოსჭვიოდა გაკვირვება, შიშიც კი, **მჟავანაძემ** შეუმჩნეველი ჟესტით დაამშვიდა ისინი.

აქ, კახეთში, პირადად გავიცანი **ხრუშჩოვი. მჟავანაძემ** წარმადგინა. ჩემი გვარი რომ გაიგო, ხრუშჩოვმა მამაჩემი გაიხსენა, თქვა მასზე რამდენიმე კეთილი სიტყვა, აღნიშნა, რომ მრავალჯერ შეხვედრია მას. უკანასკნელად — საბჭოთა უკრაინის 30 წლისთავის ზეიმზე. **ხრუშჩოვმა** გაიხსენა ჩემი უფროსი ძმაც — **მელორი,** რომელიც, როგორც „იზვესტიის“ კორესპონდენტი, ხლებია მას საზღვარგარეთული ვიზიტებისას.

**— ოღონდაც ის გამხდარი და შავია, შენ კი უფრო ღია ფერის თმა გაქვს და უფრო მოსულიც ხარ, ეტყობა, გიყვარს მწვადების ჭამა.** — და **ხრუშჩოვმა** წელზევით ხელი წამიტლაშუნა. აკადემიკოს ტარლეს მტკიცებით, როცა ნაპოლეონს ვინმე მოეწონებოდა, ყურს აუწევდა, თურმე. გაუგებ რამეს თვითმპყრობლებს?

●

1963 წლის აგვისტო იყო. მაშინ უკვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად ვმუშაობდი. ერთხელ მაშინდელმა პირველმა მდივანმა **ვასილ მჟავანაძემ** დამირეკა და მთხოვა, მასთან ჩავსულიყავი.

მის კაბინეტში აფხაზეთის საოლქო კომიტეტის იმჟამინდელი პირველი მდივანი **მიხეილ ბღაჟბა** იჯდა. მივესალმე მათ და მისადგმელ მაგიდას მივუჯექი. მცირე პაუზის შემდეგ **მჟავანაძემ** მიმართა **ბღაჟბას** რუსულად:

**— აბა, გაიმეორე ის, რაც მომიყევი.**

**ბღაჟბა** შეიშმუშნა. აშკარად არ ესიამოვნა ეს წინადადება.

**— მე მხოლოდ თქვენთვის მინდოდა ამ ამბის გამხელა, ვასილ პავლეს ძევ.**

**— არა უშავს, გაიმეორე.**

**— იქნებ არ ღირს, ვასილ პავლეს ძევ.**

**— მე გეუბნები, გაიმეორე-მეთქი.**

**— როგორც ბრძანებთ, ვასილ პავლეს ძევ.**

აქ მომყავს თითქმის უცვლელად **მიხეილ ბღაჟბას** ნაამბობი:

— ამასწინათ ხრუშჩოვმა დამპატიჟა სადილად ბიჭვინთის აგარაკზე. კარგად რომ შექეიფიანდა, უეცრად მკითხა, წაიკითხე თუ არა „პრავდაში“ დაბეჭდილი ანგარიში უცხოელ სტუმართან ჩემი შეხვედრის თაობაზეო? არა-მეთქი, — გამოვუტყდი. ხრუშჩოვმა თანაშემწეს „პრავდის“ ნომერი მოატანინა და მიმანიშნა ხსენებულ ინფორმაციაზე. მე ის უცებ გადავიკითხე. — რა წერია, სად მივიღე სტუმარი? — იკითხა **ხრუშჩოვმა** და თვითონვე უპასუხა: — აქ, აი, ამ ოთახში. გაზეთში კი რა წერია? სოჭის რაიონშიო. მიმიხვდი? ვერა-მეთქი, ვუპასუხე. — რა მიხვედრა უნდა? — გაბრაზდა **ხრუშჩოვი.** — სად მივიღე სტუმარი? **ბიჭვინთაში.** ინფორმაციაში კი წერია, სოჭის რაიონშიო (в районе Сочи). ახლა წადი და მოხსენებითი ბარათი გაამზადე ჩემს სახელზე. ახლაღა მივხვდი, რომ **ხრუშჩოვი მავალებდა მოხსენებითი ბარათის წარდგენას, აფხაზეთის კრასნოდარის მხარესთან მიერთების თაობაზე.** მე, რა თქმა უნდა, ამის გაკეთებას არ ვაპირებ, ვინაიდან ეს აფხაზი ხალხისათვის სიკვდილის ტოლფასია.

— **რომ დაგაძალონ?** — ვკითხე მე.

**— არავითარ შემთხვევაში ამას არ გავაკეთებ.**

**— ვინმე ესწრებოდა ამ საუბარს?**

**— ხრუშჩოვის მეუღლე და მისი თანაშემწეები — ლებედევი და შევჩენკო.**

**— ეს ყველაფერი საიდუმლოდ შეინახეთ.** — დაასკვნა მჟავანაძემ. **— თუ ზეწოლა განმეორდა, იმწამსვე შეგვატყობინეთ.**

როცა **ბღაჟბა** წავიდა, **მჟავანაძემ** გაიარ-გამოიარა თავის კაბინეტში და მერე ქართულად მკითხა:

**— გჯერა მაგი შეენ?**

**— ეს შეკითხვა იმით იყო განპირობებული, რომ მიხეილ ბღაჟბა სხვადასხვა მოულოდნელი იმპროვიზაციების დიდოსტატი იყო. შეიძლება, ის ამუნათებდა საქართველოს ხელმძღვანელობას, აი, რა გმირი ვარო, თვით ხრუშჩოვის ნება-სურვილს წინ აღვუდექიო. მის სიტყვებს კაცი ვერ შეამოწმებდა. ხომ არ ჰკითხავდა მჟავანაძე ხრუშჩოვს — მართლა მიეცი ბღაჟბას ეს დავალება თუ არაო. მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი რამის მოგონება თუ გამოგონება ძალზე სარისკო იყო.** ვთქვათ და, თუ მაინც შეეკითხებოდა **მჟავანაძე ხრუშჩოვს,** თუნდაც გადაკვრით, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ბღაჟბას მონაყოლიო, მაშინ ხომ მისი მდგომარეობა უაღრესად დამძიმდებოდა: **თანამდებობის გარდა პარტიის რიგებსაც დატოვებდა „ცილისწამებისათვის“.** ერთი სიტყვით, მე პირადად მჯერა, რომ ეს დიალოგი **ხრუშჩოვსა და ბღაჟბას** შორის შედგა. შემდგომში მე რამდენჯერმე ვკითხე ბღაჟბას, განმეორდა თუ არა ხრუშჩოვის ეს წინადადება. ბღაჟბა ამბობდა, რომ არაო.

მაგრამ ამ წინადადებას აფხაზეთში 1967 წელს ჰქონდა გამოძახილი. **სეპარატისტების დევიზი მაშინ ასეთი იყო: ან დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ან კრასნოდარის მხარესთან მიერთება.**

●

— ხშირად მეკითხებიან — შეესაბამება თუ არა სინამდვილეს მტკიცება, რომ თითქოს **ხრუშჩოვს** უნდოდა ქართველების აყრა და გასახლება შუა აზიაში? ამ საკითხზე ვადასტურებ შემდეგს:

**1962 წლის ზაფხულის ერთ დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის კაბინეტში დავყოვნდი. საღამოს რვა საათი იქნებოდა, რომ აწკარუნდა ტელეფონის აპარა-**



ირაკლი აბაშიძე, ვასილ მჟავანაძე, დევი სტურუა და მიხეილ შოლოხოვი. თბილისი, 1969

## მოგონებანი გარდასულ დღეთა

# რაც მსმენია!

**ტი „ვჩ“. მჟავანაძემ ყურმილი აიღო. რამდენიმე წამის შემდეგ იგი გაფითრდა, მანიშნა — მომიახლოვდიო და ყურმილი ისე შეატრიალა, რომ მეც გამეგო, რას ლაპარაკობდნენ ელსადენის მეორე ბოლოში. მე იმწამსვე ვიცანი ხრუშჩოვის რიხიანი მეტალნარევი ხმა** (ის იმ დროს ბიჭვინთაში ისვენებდა).

**— თურქები გაგიტკბათ?! თურქებთან შეერთება მოინდომეთ?!** — ღრიალებდა ხრუშჩოვი.

მე ჩავჩურჩულე **მჟავანაძეს,** ეთქვა ხრუშჩოვისათვის, რომ ქართველებს ისტორიულად არ შეეძლოთ, ჰქონოდათ რაიმე განსაკუთრებული სიმპათიები თურქების მიმართ, ვინაიდან თურქებმა ძალით დაისაკუთრეს საქართველოს თითქმის ერთი მესამედი, რომ ისინი ჟლეტდნენ ქართველებს და ა.შ. **მჟავანაძემ** ეს ყველაფერი უთხრა ხრუშჩოვს, მაგრამ ამაოდ...

— В вагоны посадим, выселим вас всех к чертовой матери! — დაიღრიალა **ხრუშჩოვმა** და ყურმილი დააგდო.

საქმე შემდეგში იყო. თურმე **ხრუშჩოვს,** რომელიც ბიჭვინთაში ისვენებდა, აჩვენეს მის სახელზე დაწერილი ვიღაც კორეელი **იუნის** წერილი. ეს იუნი თითქოსდა მკურნალობდა წყალტუბოში. ჰოდა, ეს მითიური იუნი ატყობინებდა **ხრუშჩოვს,** რომ ქართველებთან საუბრისას მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მათ აქვთ სურვილი, შეუერთდნენ თურქებს და სხვა ამგვარი აბდაუბდა. იუნს მითიური ვუწოდე იმის გამო, რომ ასეთი ავადმყოფი თუ დამსვენებელი წყალტუბოში არ აღმოჩნდა, იმისდა მიუხედავად, რომ **გენერალ-პოლკოვნიკ ინაურის** უწყებამ საგულდაგულოდ „გაცხრილა“ საქართველოს ეს სამკურნალო კურორტი.

**ეს წერილი საკმაოდ უხეში და მარტივი პროვოკაცია იყო, მაგრამ რატომ მისცა მას ასეთი მძაფრი რეაქცია ხრუშჩოვმა?** და, საერთოდ, ასეთ რამეებს თანაშემწეები და რეფერენტები, როგორც წესი, თავიანთ უფროსებს არც აჩვენებენ. ამ შემთხვევაში კი, ეჭვს გარეშეა, ვიღაცამ ბოროტი განზრახვით დაუდო წინ ხრუშჩოვს ეს მონაჭორი. ჩემი აზრით, ეს გააკეთა ხრუშჩოვის თანაშემწემ ლებედევმა, უემოციო და საკმაოდ ღვარძლიანმა კაცმა, რომელსაც საქართველოში არაფერი არ მოსწონდა.

**... მჟავანაძემაც ყურმილი დადო და მომიბრუნდა:**

— რა ვქნათ ახლა ჩვენ?

გეტყვით გულახდილად — **არც მჟავანაძემ და არც მე არ დავიჯერეთ ხრუშჩოვის მუქარის რეალობა. იგი ხომ თვითონ არაერთხელ უტევდა სტალინს იმის გამო, რომ ის, ალექსანდრე ტვარდოვსკის სიტყვა რომ მოვიშველიოთ, „მთელ ხალხებს თავს ატეხდა საზარელ რისხვას“.**

და მაინც, ხრუშჩოვის ამ გამოხდომის აქტიური პროტესტის გარეშე დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. მოკლედ მოსაუბრების შემდეგ გადავწყვიტეთ ბიჭვინთაში გაფრენა. **მჟავანაძე** დაუკავშირდა სამოქალაქო ავიაციის სამსახურის უფროსს და დაავალა, მოემზადებინათ სპეციალური სამთავრობო **„იაკ-40“.**

ვუცდით, ვბჭობთ იმის თაობაზე, როგორ ამოვუგდოთ თავიდან **ხრუშჩოვს** ეს სისულელე, როგორ დავუმტკიცოთ მას, რომ ქართველებს არანაირი სურვილი არ გააჩნიათ, შეუერთდნენ თურქებს. შევთანხმდით, მიგვეცა ხრუშჩოვისათვის ზეპირი ისტორიული ცნობა საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა შესახებ, მტკიცედ გვეთქვა, რომ იუნის წერილი სრული გაუგებრობა და პროვოკაციაა.

ამ დროს ისევ აწკარუნდა **„ვჩ“** — კვლავ **ხრუშჩოვია.** მჟავანაძემ ამჯერადაც მანიშნა და ერთობლივი მოსმენის „ტექნიკა“ განმეორდა. **ხრუშჩოვს** ვეღარ იცნობდით. მან ბოდიში მოუხადა **მჟავანაძეს,** თქვა, რომ ოდნავ (?!) გაცხარდა, რომ იუნის წერილი „выеденного яйца не стоит“ და სხვა ამგვარი რამ. შემდეგ **ხრუშჩოვმა** მიიწვია მჟავანაძე ბიჭვინთაში. სხვათაშორის, ამ იუნის წერილი მაინც გადმოუგზავნეს **მჟავანაძეს** და იგი ინახება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტარქივში.

მეორე დღეს დილაადრიან ბიჭვინთაში გავფრინდით **მჟავანაძე, ინაური,** საქ. კპ ცკ-ს საერთო განყოფილების გამგე **ალექსანდრე მანელაშვილი,** მჟავანაძის პირადი დაცვის უფროსი **დავით ჩიხურდანიძე** და ამ სტრიქონების ავტორი.

**ხრუშჩოვი** მშვენიერ გუნებაზე გახლდათ. ჩვეულებრივ ენამზეობდა, ოხუნჯობდა. იუნის ნაჯღაბნზე სიტყვაც არ დაუძრავს, მითუმეტეს, ქართველების გადასახლებაზე. ჩვენც, რა თქმა უნდა, ამ „თემას“ არანაირად არ შევხებივართ.

სადილის წინ **ხრუშჩოვი და მჟავანაძე** ცურაობდნენ ბიჭვინთის განთქმულ აუზში. ეს აუზი, გარდა სხვა ღირსშესანიშნაობებისა, გამოირჩეოდა იმით, რომ კარგ ამინდში ღილაკის დაჭერით ზღვის მხარეს იხსნებოდა გამჭვირვალე კედელი და იქმნებოდა სრული ილუზია, რომ ცურავ ღია ზღვაში **(უნდა გამოვუტყდე მკითხველს და მოვინანიო, რომ მეც ორ-სამჯერ მომიწია ამ აუზში ცურაობა).**

ასე რომ, **ხრუშჩოვი და მჟავანაძე** კორპის საშველი რგოლებით დაცურავენ ბიჭვინთის განთქმულ აუზში და რაღაცაზე მშვიდად საუბრობენ, ყოველ შემთხვევაში, არა იუნის „შემოქმედებაზე“. აუზთან [illegible] მსუბუქ სკამებზე სხედან ხრუშჩოვის პირადი მცველი **ლიტოვჩენკო,** თანაშემწე **ლებედევი, ინაური, მანელაშვილი, ჩიხურდანიძე** და ამ სტრიქონების ავტორი. ჩვენი საუბარიც მშვიდად მიედინება, მაგრამ გარკვეული სიფრთხილით.

დღის სამი საათი სრულდებოდა, როცა მოირბინა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მეცხრე სამმართველოს უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა **ზახაროვმა** და ხრუშჩოვს უთხრა:

**— ნიკიტა სერგის ძევ! მორის ტორეზი მეუღლითურთ თავისი რეზიდენციიდან გამოვიდნენ და აქეთ მოემართებიან.**

ეს რეზიდენცია კი აუზიდან 500-600 მეტრითაა დაშორებული. **მჟავანაძე** სწრაფად ამოვიდა აუზიდან და გასახდელში მიიმალა. **ხრუშჩოვი** კი, ვითომც აქ არაფერი არ მომხდარიყოს, დაცურავს თავისი კორპის რგოლით, თითქოსდა ზახაროვის სიტყვები არც გაუგია.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდნენ **მორის ტორეზი** და მისი მეუღლე. ფრანგი კომუნისტების ხელმძღვანელი გამოწყობილია ღია ფერის კოსტიუმში, მის მეუღლესაც საზაფხულო ელეგანტური კაბა აცვია.

შეწუხებული **ზახაროვი** ეუბნება ხრუშჩოვს:

**— ნიკიტა სერგის ძევ, ტორეზი და მისი მეუღლე უკვე აქ არიან.**

როგორც იქნა, ხრუშჩოვმა ინება წყლიდან ამოსვლა. მას ეცვა სატინის შავი ტრუსები, მუხლებამდე რომ წვდებოდა. ასეთებს ჩვენში „ფოხანებს“ ეძახიან. სრულიად სველი, ისე, რომ კორპის რგოლი არ მოუხსნია, **ხრუშჩოვი** დაიძრა **მორის ტორეზის** და მისი მეუღლის მიმართულებით. სველმა ტრუსებმა გამოკვეთეს ხრუშჩოვის ქვედატანი. ერთი სიტყვით, სურათი სრულიად არაორდინარული იყო, რომ იტყვიან, სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო, რა გაეწყობოდა! უხერხული გრძნობითა და სირცხვილის დამდაღავი შეგრძნებით გავყევით სველ **ხრუშჩოვს.**

როცა კოხტად მორთულმა **მორის ტორეზმა** და მისმა მეუღლემ სველი, შავი სატინის ტრუსების ამარა დაინახეს ხრუშჩოვი, თანაც კორპის რგოლით შემოსალტული, შეცბნენ (?), ალბათ, საკუთარ თვალებს არ დაუჯერეს, მაგრამ, როცა ამ კოლორიტულმა „ზმანებამ“ მათ თავისი სველი ხელი გაუწოდა, მიხვდნენ, რომ ეს ზმანება კი არა, სავსებით რეალური ხრუშჩოვია.

**ხრუშჩოვმა** ნაჭრის ოთხი შეზლონგი მოატანინა, **ლიტოვჩენკოს** დახმარებით, როგორც იქნა, მოიცილა ეს კორპის რგოლი და, **მორის ტორეზი,** მისი მეუღლე, **ხრუშჩოვი და მჟავანაძე** (ჩაცმული) შეზლონგებში ჩაეშვნენ.

ჩემზე ამ სურათმა უმძიმესი შთაბეჭდილება დატოვა, ასევე **მჟავანაძეზე და ინაურზეც.** რაც შეეხება ხრუშჩოვის გუნდს, მათ ეს ეპიზოდი მიიღეს ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე, მაგრამ საკმაოდ მშვიდად — ჩანს, უარესიც ჰქონდათ ნანახი.

ამით, როგორც იტყვიან, ინციდენტი ამოიწურა. მეორე დღეს თბილისში გამოვფრინდით, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ფელდკავშირით მივიღეთ მითიური იუნის ხელით შეთითხნილი „ბრალდება“ ქართველი ხალხის მიმართ. წერილი კონტროლზე იყო აყვანილი და მე მომიხდა პასუხის გაცემა ამ ანტიქართულ ბოდვაზე.

საინტერესოა, რომ ეს „Подадим вагоны“ ერთხელაც განმეორდა. საქმე შემდეგში გახლდათ. როგორღაც თბილისში ჩამოვიდა განთქმული ამერიკელი მუსიკოსის **ბენი გუდმენის** ჯაზ-ორკესტრი. პირველ განყოფილებაში სტუმრებმა შეასრულეს ცნობილი „პოლიუშკო-პოლე“ და არანაკლებად ცნობილი „კატიუშა“. პირველი სიმღერა ორკესტრმა ოსტატურად შეასრულა და ერთსულოვანი ტაშიც დაიმსახურა. „კატიუშა“ კი შეასრულა ნაკლებად ნიჭიერმა მომღერალმა ქალმა, ის, თითქოს განგებ, ამახინჯებდა სიტყვებს, თავი უხამსად ეჭირა და მას უსტვინეს.

ვიღაცა ნაძირალამ მისწერა **ხრუშჩოვს,** რომ თბილისში უსტვინეს ამერიკელ მსახიობს მხოლოდ იმისათვის, რომ მან რუსული სიმღერა შეასრულაო. ეს წმინდა წყლის სიცრუე და ცილისწამება იყო. პირველი რუსული სიმღერა ხომ ერთსულოვანი ტაშით მიიღეს. მეორე შემთხვევაში უსტვინეს არა სიმღერას, არამედ მის უხამს შემსრულებელს.

ერთი სიტყვით, **ხრუშჩოვმა** ისევ დაურეკა **მჟავანაძეს** (ამჯერად, მადლობა ღმერთს, მე მის კაბინეტში არ ვიყავი. მან მომიყვა ამის შესახებ), ყვიროდა და კვლავ წამოსცდა ეს „Подадим вагоны“, მაგრამ **საქმე ის იყო, რომ თვით ხრუშჩოვის ვაგონი უკვე გამწესებული იყო ისტორიის ჩიხში სამუდამოდ დგომისათვის...**

●

... და კიდევ ერთი ბიჭვინთური ნოველა...

ოჯახთან ერთად ლიძავაში ვისვენებდი. ერთ დღეს ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკიდან **მჟავანაძემ** დამირეკა. მან მეუღლითურთ მიმიწვია სადილზე ხრუშჩოვთან.

— **მომისმინე,** — მითხრა მჟავანაძემ, — **ხრუშჩოვს სურს, დაპატიჟოს სადილზე ქართველი ინტელიგენციის რომელიმე თვალსაჩინო წარმომადგენელი.** მე ის წამსვე ვუთხარი მჟავანაძეს, რომ ლიძავაში ისვენებს ბატონი **კონსტანტინე გამსახურდია** მეუღლითა და ქალიშვილით.

— **ჩინებულია!** — თქვა მჟავანაძემ, — **დაპატიჟე ისინი ხრუშჩოვისა და ჩემი სახელით. საღამოს ექვს საათზე მანდ (?) გამოგივლით მანქანას და**



ნიკიტა ხრუშჩოვის ჩამოსვლა თბილისში. 1961



ფიდელ კასტრო და ნიკიტა ხრუშჩოვი თბილისში. 1963

გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე

# მოგონებანი გარდასულ დღეთა ★



## დევი სტურუა




# რაც მინახავს და რაც მსმენია!

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე*

**ნუ დააყოვნებთ.**

— **კეთილი.** — ვუპასუხე.

მიუხედავად დიდი განსხვავებისა წლოვანებასა და საზოგადოებრივ მდგომარეობაში, დიდი პროზაიკოსი და ესეისტი, ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, **ბატონი კონსტანტინე** ნამდვილად მანებივრებდა თავისი თბილი, ახლობლური დამოკიდებულებით. ამას მე ვწერ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე და უდიდესი სიამაყის გრძნობით.

ექვს საათზე დავიძარით ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკისაკენ. ღმერთს ვევედრებოდი, რომ **მორის ტორეზის** სტუმრობის ამბავი არ განმეორებულიყო. ბატონი კონსტანტინე ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, თავს შეურაცხყოფილად იგრძნობდა და, მე თქვენ გეტყვით, დააკლებდა რამეს მასპინძელს?!

მადლობა ღმერთს, **ხრუშჩოვს** ეცვა ფლანელის თეთრი შარვალი და „უკრაინკა“.

სადილი დიდებულად წარიმართა. **ხრუშჩოვი ჩინებულ ხასიათზე იყო. ბევრი კარგი სიტყვა თქვა ქართულ ლიტერატურაზე, წარმოიდგინეთ, ზეპირად წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფი ბალმონტის მიერ თარგმნილი, რითიც გააოცა ყველა სტუმარი, განსაკუთრებით კი ბატონი კონსტანტინე.**

იმისათვის, რომ სტუმრებს სავსებით თავისუფლად ეგრძნოთ თავი, **ხრუშჩოვმა** კატეგორიული წინადადება მოგვცა, დაგველია შესანიშნავი ქართული კონიაკი „ენისელი“, რაც ჩვენ ყოველგვარი დაძალების გარეშე დიდი სიამოვნებით გავაკეთეთ.

**ხრუშჩოვის** მეუღლემ, **ქალბატონმა ნინამ** მიმართა ბატონ კონსტანტინეს შეკითხვით: **„რატომ ხართ ასე გამხდარი, კონსტანტინე სიმონის ძევ?“** კითხვა უპასუხოდ დარჩა. სტუმრებმა თავაზიანად გაიღიმეს უხერხულობის გასაქარწყლებლად. შეკითხვა განმეორდა. მაშინ **ბატონმა კონსტანტინემ** გერმანულად უპასუხა ხრუშჩოვის მეუღლეს და იქვე უთარგმნა რუსულად. ეს ჟღერდა დაახლოებით ასე: **„განა არ იცით, გერმანელები ასე ამბობენ: გამხდარი მამალი გაცილებით უფრო ყოჩაღია, ვიდრე მსუქანი“.** მჟავანაძემ და მე ერთმანეთს გადავხედეთ, — **ვაითუ ხრუშჩოვმა ეს მოსწრებული ანდაზა თავის თავზე მიიღოს?** მაგრამ ჩვენი შეშფოთება ტყუილი გამოდგა. **ხრუშჩოვმა** გულიანად გადაიხარხარა, შემდეგ მივიდა ბატონ კონსტანტინესთან, მოეხვია და სამგზის გადაკოცნა.

ღმერთმა დაგვიფარა ჭექა-ქუხილისაგან.

●

1963 წლის 1 ივნისს თბილისში ჩამოფრინდნენ **ნიკიტა ხრუშჩოვი და ფიდელ კასტრო.**

საღამოს ფუნიკულიორის რესტორანში გაიმართა ვახშამი მაღალი სტუმრების პატივსაცემად.

ფიდელი თავისი ჩვეული მანერით გამოვიდა — ჯერ როგორღაც მოდუნებულად, მერე და მერე ხმასა და ჟესტიკულირებას უმატა და ბოლოს „კრეშჩენდოში“ გადავიდა. ის წყევლა-კრულვას უთვლიდა იმპერიალისტებს, მაღალი შეფასება მისცა ხრუშჩოვს როგორც ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტს და ა.შ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა **ხრუშჩოვი. ის ყოველგვარი ჩანაწერის გარეშე ლაპარაკობდა.**

განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი სიტყვის ერთი პასაჟი, რომელიც სახლში მისვლისთანავე თითქმის სიტყვასიტყვით ჩავიწერე.

**„მე ვიყავი საქართველოში ოცდაერთ წელს და ახლა — სამოცდასამში. რა შეიძლება ითქვას? ქართველებს მზერა აშკარად გაუთბათ. მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდი იყო. იყო დრო, როცა ქართველები ჩვენ, რუსებს, მგლებივით გვიცქერდნენ. ასე იყო, მაგალითად, 1921 წელს. მე მაშინ პირველად შემოვდგი ფეხი საქართველოში მე-11 არმიის რიგებში. დიახ, ასე იყო მაშინ — ქართველები რუსებს მგლებივით უცქერდნენ. მოგვიანებით მე როგორღაც ვუთხარი ამის შესახებ სტალინს და იცით, რა მიპასუხა მან? — აბა, რას ელოდი? შენ ხომ როგორც ოკუპანტი შეხვედი საქართველოში და როგორ უნდა შეხედო ოკუპანტს? აი, რა მითხრა მაშინ სტალინმა“.**

საინტერესოა, რომ **ხრუშჩოვმა** არ ჩათვალა საჭიროდ სტალინის იმ სიტყვების გაბათილება, რომლებიც საქართველოს ოკუპაციას შეეხებოდა. ჩანს, თვითონაც თვლიდა, რომ საქართველო 1921 წლის თებერვალში ოკუპირებული იყო.

დღეს ჩვენ ვიცნობთ მრავალ დოკუმენტს, რომელიც მოწმობს, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა ძალდატანებით გასაბჭოებას, რომ სტალინი ამ აქტს ოკუპაციას უწოდებდა, **ტროცკი** — ინტერვენციას და ა.შ.

**მაგრამ მაშინ ამის მოსმენა „№ 1 კომუნისტისაგან“, თანაც სტალინის დამოწმებით, მართლაც რომ განსაცვიფრებელი იყო.**




ლეონიდ ბრეჟნევი თბილისში. 1981

●

**ბრეჟნევისეული** მარაზმის კულმინაცია იყო მისი გამოსვლა ბაქოში, სადაც მან იმის კითხვა დაიწყო, რაც არ უნდა წაეკითხა, ხოლო, როცა **ალიევმა** მიანიშნა, რაც უნდა წაეკითხა და სხვა ტექსტი ლამის ძალად გამოართვა, **ბრეჟნევმა,** რომელსაც პროსტრაციამდე ბევრი არაფერი აკლდა, თქვა გასაოცარი გულუბრყვილობით: **„მე დამნაშავე არა ვარ, რაც დამიდეს, ის წავიკითხე“.** და ამას უყურებდა მთელი ქვეყანა. ერთი წლით ადრე კი, როცა **ბრეჟნევი** საქართველოში ჩამოვიდა რესპუბლიკის 60 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე, ამოვიდა რა სპორტის სასახლის წინ ამართულ ტრიბუნაზე, გაკვირვებულმა იკითხა: **„კი მაგრამ, გუმი რაღა იქნა?“** რესპუბლიკის ხელმძღვანელები შავ დღეში ჩაცვივდნენ, — **მოდი და უთხარი ქვეყნის ხელმძღვანელს, — ჩემო კარგო, მოსკოვში კი არა, თბილისში ხარო.** მოკლედ, ყველაფერი ეს სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო.

ჩამოსვლის დღეს, მოკლე შესვენების შემდეგ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში **ბრეჟნევი** შეხვდა საქ. კპ ცკ-ის ბიუროს წევრებს.

მე მივდიოდი ამ შეხვედრაზე იმ იმედით, რომ გენერალურ მდივანთან ახლო კონტაქტი იქნებ გაფანტავს იმ არცთუ კარგ შთაბეჭდილებას, რომელიც შემექმნა ბრეჟნევზე ამ ბოლო წლების მანძილზე. ვიცოდი კი მაშინ, რა მელოდა წინ?

მომღიმარე მაღალმა სტუმარმა არ დაიზარა, ყველას ხელი მაგრად ჩამოგვართვა და ბევრი გულთბილი სიტყვაც არ დაიშურა. ამის შემდეგ ყველამ თავთავისი ადგილი დაიკავა და სერიოზული საუბრისათვის მოემზადა.

— მდაა, — შეემზადა საუბრისათვის გენერალური მდივანი და უეცრად სახტად დაგვტოვა შემდეგი შეკითხვით:

— **თქვენ რომელიმეს გინახავთ, როგორი ასო აქვს კოლოს?** (მკითხველი, ალბათ, მიხვდება, რომ მე ამ შემთხვევაში ვარბილებ ბრეჟნევის ლექსიკას).

მე შევცბუნდი, უცებ გავიფიქრე: — **იქნებ ეს სმენითი ჰალუცინაციაა?** გადავხედე ჩემს კოლეგებს. ისინი დაბნეულები ჩანდნენ. ესე იგი, სწორად გავიგონე.

**— რას გაჩუმებულხართ? მე თქვენ გეკითხებით, გინახავთ, როგორი ასო აქვს კოლოს?**

სამარისებური სიჩუმე. მხოლოდ ვიღაცამ თავშეკავებით ჩაიცინა.

შეკითხვა კვლავ განმეორდა. ბოლოს ცკ-ს ბიუროს წევრმა **მიტროფანე კუჭავამ** ამოღერღა, რომ არ გვინახავს.

— **ო, ეს სხვა საქმეა,** — კმაყოფილებით თქვა ბრეჟნევმა და დაიწყო ამ „ამაღელვებელი“ თემის გაღრმავება:

**— მაინც, როგორ ფიქრობთ, წვრილი აქვს კოლოს ასო თუ არა?**

ისევ **მიტროფანე კუჭავამ** გამოგვიყვანა მდგომარეობიდან:

**— წვრილი, უსათუოდ წვრილი, ლეონიდ ილიას ძევ.**

ბრეჟნევი გაიბადრა. იგი უახლოვდებოდა კოლოს სასქესო ორგანოს თემის დამუშავების აპოთეოზს.

— **მაშ ასე,** — დაასკვნა ბრეჟნევმა, — **ჩვენ შევთანხმდით, რომ კოლოს ასო მეტად წვრილი აქვს, ხოლო პოლიტიკა კიდევ უფრო ТОНКАЯ ВЕЩЬ და კმაყოფილებით გადაიხარხარა.** ჩვენც გაგვეცინა, იმის მაგივრად, რომ ავმდგარიყავით და ოთახიდან გავსულიყავით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომათა დარბაზი ბევრი დიალოგის მომსწრე იყო, მაგრამ ასეთისა, დარწმუნებული ვარ, არა.

ამ „შესანიშნავი სენტენციის“ შემდეგ **ბრეჟნევმა** გადაშალა საქაღალდე და გაჭირვებით წაიკითხა, რა უნდა გააკეთოს საქართველოს კომპარტიამ **„განვითარებული სოციალიზმის პერიოდში“.**

*დასასრული*


გენერალისიმუსი
2024 წლის 19 აგვისტო. №41 (277)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

*ვიდრე მსოფლიოს კეთილი ნების საზოგადოება უკრაინაში ომის მოლაპარაკებებით დასრულებას ელოდება, უკრაინელებმა ბლიცკრიგი თვით რუსეთის ტერიტორიაზე წამოიწყეს და კურსკის ოლქი დაიკავეს. ვესაუბრებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების ვეტერანს, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ დამფუძნებელს* **პაატა აბულაძეს:**



## პაატა აბულაძე:

# კურსკში უკრაინის სახელს ამოფარებული ნატო შეიჭრა!

## „ახლა ომი არ არის, ნამდვილი ომი უკრაინის მოვლენების დასრულების შემდეგ დაიწყება!“

— რუსეთის ტერიტორიაზე ბლიცკრიგი თავის დროზე ჰიტლერმა, მანამდე კი ნაპოლეონმა განახორციელა. ფრანგებმა მოსკოვიც კი დაიკავეს, მაგრამ როგორ დასრულდა რუსეთზე დასავლეთის ლაშქრობები, მსოფლიომ კარგად იცის. კურსკის ოპერაცია ბრიტანელებმა დაგეგმეს. სამხედრო თვალსაზრისით, ეს ოპერაცია ფუჭია, რადგან გამძვინვარებული რუსები უკან ამბის მიმტანსაც არ გაუშვებენ. **ამ ოპერაციას გააჩნია ერთადერთი დანიშნულება — პიარი, მედიაში იმის გაჟღერება, თითქოს უკროფაშისტები ომს არ აგებენ და კონტრშეტევაზეც გადადიან.** ეს პიარი ემსახურება დაცემული საბრძოლო სულის ამაღლებას, რადგან უკრაინაში ჯარში და ომში წასვლის მსურველი აღარ დარჩა. **ნატომ და ამ შემთხვევაში, კონკრეტულად, ბრიტანელებმა ამ პიარს, ფაქტობრივად, შესწირეს ელიტური უკრაინული საბრძოლო დანაყოფები, რომლებიც გარდაუვალი სიკვდილისთვის შეგზავნეს რუსეთის საზღვრების წიაღში.** პირველ ეტაპზე 1.300 მეომარი შევიდა, ერთხანს კონტინგენტი 12 ათასამდე ავიდა, შემდეგ ცოცხალი ძალის ნაწილი სასწრაფოდ უკან გაიყვანეს და ამ მომენტისთვის (ინტერვიუ ჩაწერილია 16 აგვისტოს) 8 ათას მებრძოლამდეა დარჩენილი რუსეთის ტერიტორიაზე.

**— ნუთუ პიარის გარდა ამ ბლიცკრიგს სხვა დანიშნულება არ ჰქონია?**

— არის ვარაუდი, უკროფაშისტებმა ეს აწ უკვე ყოფილი უკრაინის ტერიტორიაზე — დონბასში რუსების წინსვლის შესაჩერებლად მოიმოქმედეს, რათა მოწინააღმდეგეს თავისი საბრძოლო ძალები იქიდან მოეხსნა და კურსკში გადმოესროლა, მაგრამ ასე არ მოხდა.

კურსკში შეჭრიდან პირველი 3 დღის განმავლობაში უკრაინელებმა მრავალი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინეს — დახოცეს უამრავი მშვიდობიანი ადამიანი, ტყვედ აიყვანეს რუსეთის სასაზღვრო ჯარში მომსახურე ასამდე ახალწვეული... კურსკში თავდაპირველად უკროფაშისტებთან საბრძოლველად გაემართა ე.წ. **„პიტნაშკა“** — აფხაზებით დაკომპლექტებული შენაერთი; ასევე **ცხინვალის ბატალიონი, „ახმატი“, „აიდა“,** ასევე 810-ე სევასტოპოლის სადესანტო ბატალიონი. **ეს მეტად სამწუხარო ფაქტია იმის გათვალისწინებით, რომ კურსკში შეჭრილ დივერსანტებს შორის ქართველი მეომრებიც არიან.**

ფაქტია, რომ ჩანაფიქრი ვერ შეასრულეს — რუსები წინსვლას წარმატებით აგრძელებენ. ახლახან ნიუ-იორკი აიღეს. არ **გაგეცინოთ — ასე ჰქვია ერთ-ერთ უკრაინულ ქალაქს, რომლის თავზეც რუსული დროშა აფრიალდა და კიევამდე ბევრი აღარ რჩება!**

**რუსეთმა, რომელსაც აქამდე უკრაინის 4 ოლქზე ჰქონდა ტერიტორიული პრეტენზია, ახლა სუმის ოლქიც მოითხოვა – აი, ეს მოჰყვა კურსკის ავანტიურას.**

რაც შეეხება კურსკში შეჭრილ დივერსანტებს — ისინი მცირე მობილურ ჯგუფებად არიან დაყოფილები. დროდადრო იჭრებიან სოფლებში, ხვრეტენ მშვიდობიან ადამიანებს, თავიანთი „საბრძოლო წარმატების“ დასტურად იღებენ ფოტოებს, ვიდეოებს და სოციალურ ქსელში ავრცელებენ. ამგვარად მხოლოდ იმას აღწევენ, რომ რუს მოსახლეობაში მათ მიმართ ზიზღი იზრდება. ამ ლაშქრობას რომ პიარის დანიშნულება აქვს, იქიდანაც ჩანს, რომ ზოგჯერ სულ რამდენიმე მებრძოლი შედის რუსებით დასახლებულ პუნქტში, ხოლო იმის შიშით, რომ საარტილერიო დარტყმები აიცილონ, მათი საბრძოლო მანქანები გზებზე კი არა, ყანებში მოძრაობენ.

**— ვრცელდება ასეთი მოსაზრებაც, რომ უკროფაშისტები სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვამდე ცდილობენ, რაც შეიძლება ვრცელი რუსული ტერიტორიები დაიკავონ, რათა მოლაპარაკების გამართვის შემთხვევაში რუსებთან ტერიტორიების დათმობაზე და გაცვლაზე ივაჭრონ. რამდენად მართალია ეს მოსაზრება?**

— არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი მისწრაფება მართლაც ჰქონდათ, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ საჯაროდ განაცხადა, რომ ფაშისტებთან ამ საკითხზე მოლაპარაკებას არ დაუშვებს. რუსეთში მატულობს საბრძოლო განწყობა. მოქალაქეების ნაწილი განაწყენებულიც კი არის პრეზიდენტზე, რომელიც დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლების მიზნით ოპერაციას აჭიანურებს. მხოლოდ სამხედრო საქმის მცოდნეებს მოეხსენებათ, რომ განმათავისუფლებელი ოპერაცია ასე სწრაფად ვერ შედგება, მას საგანგებო მომზადება სჭირდება.

**— კურსკის ამბებში ქართველების როლზე რას გვეტყვით?**

— დაუზუსტებელი ცნობებით, რუსებს 12 ქართველი ჰყავთ ტყვედ აყვანილი. მართალია, კურსკში „ქართული ლეგიონი“ შევიდა, მაგრამ ამ დასახელების ქვეშ არიან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქები, რომლებსაც დასავლეთის სპეცსამსახურები ომში მონაწილეობის სანაცვლოდ ევროპაში ბინადრობის უფლებას დაჰპირდნენ ან თუნდაც გარკვეული თანხის გადახდით დაითანხმეს. **სამწუხაროდ, ქართველი მეომრებიც მონაწილეობდნენ კურსკში უკრაინის დროშის აღმართვაში. ვიტყოდი, რომ გაუმართლათ ტყვედ ჩავარდნილებს, რადგან დანარჩენების მომავალი გაურკვეველია.** რუსები, უბრალოდ, ნადირობენ დაქირავებულ უცხოელ მებრძოლებზე და არ ინდობენ მათ. **კურსკის დაბრუნება რუსებისთვის ღირსების საკითხად იქცა. ამბობენ, რომ ისინი კურსკის ოლქში შეჭრილ დივერსანტებს „საცეცხლე ტომარას“ უმზადებენ, რაც ალყაში მათ მოქცევასა და ლიკვიდაციას ნიშნავს.**

**— იმასაც ამბობენ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა და დაუშვა კურსკში უკრაინელთა შეჭრა.**

— არის ასეთი ვერსიაც! ამბობენ, თავის დროზე, როდესაც ამერიკაში 11 სექტემბრის ტერაქტი მოხდა, ამერიკის ხელისუფლებამ ამის შესახებ წინასწარ იცოდა ყველაფერი და დაუშვა ეს საშინელება, რათა პლანეტის სხვადასხვა წერტილში თავისუფლად მოქმედების სანქცია მოეპოვებინა. **გამორიცხული არ არის, რომ რუსეთი ანალოგიურად მოიქცა. ამას შემდგომი მოვლენები აჩვენებს.**

**— ბოლოს და ბოლოს, ვინ აიღო პასუხისმგებლობა კურსკის ოლქში უკრაინის ნაწილების შეჭრაზე? ზელენსკის რეჟიმმა თუ მისმა დასავლელმა მოკავშირეებმა?**

— ზელენსკის დასავლელი პატრონები კატეგორიულად უარყოფენ, რომ ოპერაცია მათ დაგეგმეს ან მათთან იყო შეთანხმებული. აცხადებენ, რომ არც კი იცოდნენ, კურსკის ოპერაცია თუ მზადდებოდა. არადა, სულ ახლახან **ბაიდენმა** თქვა, რომ წინასწარ იცოდა ამის შესახებ. მოკლედ, **დაახლოებით კი არა, ზუსტად იმგვარი სურათია, როგორიც სააკაშვილის ცხინვალში შეჭრისას შეიქმნა!** გვახსოვს, ტელევიზიით როგორ გვიცხადებდნენ, რომ ცხინვალი ავიღეთ და მერე, ამის პასუხად, გორსა და თბილისის შემოგარენში შემოჭრილი რუსებიც გვახსოვს! **ჩვენ, ქართველებს, ეს ხრიკები საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი და ზუსტად ვიცით, როგორ აქეზებს დასავლეთი თავის მარიონეტს, შემდეგ კი ხელებს იბანს და მთელ პასუხისმგებლობას მარიონეტს ჰკიდებს!** აკი, დასავლეთის ქვეყნების ტელემედიით უკვე დაიწყეს კურსკის ოპერაციის „კრიტიკა“ და ფარისევლური „გმობა“, უკვე „ავანტიურად“ ნათლავენ მოვლენებს, რათა საკუთარი პასუხისმგებლობა გადაფარონ!

არ ჭირდება დიდი ტვინის ჭყლეტა იმას, რომ კურსკში უკრაინის სახელს ამოფარებული ნატო შეიჭრა!

შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, რუსეთი მიმდინარე მოვლენებს კვლავ არ თვლის ომად და **სპეციალურ სამხედრო ოპერაციას** უწოდებს. ეს ოპერაცია კურსკის მოვლენების მიუხედავად, დონეცკში შეუფერხებლად მიმდინარეობს. სამართლებრივად, როცა რომელიმე სახელმწიფო ომს აცხადებს, მან უნდა აცნობოს გაეროს გენერალურ მდივანს. მსგავსი არაფერი მომხდარა. **პირდაპირ გეუბნებით — ახლა ომი არ არის; ნამდვილი ომი უკრაინის მოვლენების დასრულების შემდეგ დაიწყება!**

**— დამიკონკრეტეთ, რა იგულისხმეთ?**

— ისე ვერ მოხდება, რომ რუსეთი თავის მიწებს დაიბრუნებს და მერე მშვიდობა დამყარდება. ნატოს 800 ათასამდე თავისი სამხედრო ევროპის ქვეყნებში ჰყავს გადასროლილი. ამჟამად მსოფლიოში ყველა ქვეყანა ომისთვის ემზადება! განსაკუთრებით ყურისძირში, ახლო აღმოსავლეთში, დაიძაბა მდგომარეობა. რუსეთმა პოზიციები თუ დათმო — პლანეტაზე წარმოუდგენელი მოვლენები მოხდება — გლობალისტები მთელ კაცობრიობას გადაუვლიან! უფრო მეტიც, თუ კავკასიაში რუსეთის გავლენის ფაქტორი განულდა, წარმოიდგინეთ, რა ბედი ელის მუსულმანური ქვეყნებით გარემოცულ საქართველოს! ქვა ქვაზე არ დარჩება, მაგრამ მანამდე არავის არაფერი ეტკინოს!

ისიც არ გვცოდნია, რამდენი შინაური მტერი გვყოლია — როგორც კი კურსკში უკროფაშისტები შეიჭრნენ, მიძინებულმა ლიბერასტებმა ჩათვალეს, რომ მათი დრო მოვიდა. კონსერვატიულ პლატფორმაზე მყოფ მოქალაქეებს სოციალურ ქსელებში კონკრეტულ მისამართებზე ჩამოვლით და ლიკვიდაციით გვემუქრებიან! იმედოვნებენ, ნატოს ჯარი მალე კრემლის ქონგურზე გამარჯვების დროშას აღმართავს! **ეს არასოდეს მოხდება. შეიძლება პირიქით — რუსები უფრო მალე მისწვდნენ ამერიკელებს — ტყუილად კი არ ჩაიყვანეს კრეისერები კუბაში!** ერთი კია, ქართველებს არავინ დაგვინდობს, კავკასიაში დასავლეთსა და რუსეთს შორის ძალთა ბალანსი თუ შეიცვლება!

რუსეთი არის უდიდესი პოტენციალის ბირთვული სახელმწიფო, რაც ჩვენი ლიბერასტებისგან განსხვავებით, გლობალისტებმა კარგად იციან. მათ ეშინიათ, რომ რუსეთი ატომურ ბომბსაც გაისვრის, თუ მისი სახელმწიფოებრიობა საფრთხის ქვეშ დადგება! მაგრამ, როგორც გითხარით, ჯერ საქმე ომამდე არ მისულა. რუსეთს აქამდე რეგულარული ჯარიც კი არ გამოუყენებია საბრძოლო მოქმედებებში. მათ კარგად იციან, რომ ჯარიც და ამუნიციაც უკრაინაში ოპერაციის დასრულების მერე უფრო დასჭირდებათ და ამისთვის საგანგებოდ ემზადებიან.

**— ამასობაში თბილისში კვლავ თავს იწონებს ბუშის სახელობის ქუჩა. როგორ ფიქრობთ, „ეს ქუჩა ტაძრამდე მიგვიყვანს?“**

— **სამარცხვინოა, ბუშის სახელი ერქვას რომელიმე ქუჩას, როცა ამდენი გმირი, წმინდანი და ღვაწლმოსილი მეფეები დაუფასებელი გვყავს ქართველებს!** ეს არის მონის ფსიქოლოგია, ერის სირცხვილი, რომ სააკაშვილის პატრონის საამებლად თბილისში ბუშის და რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩები გაჩნდა.

მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას და თბილისის მერიას — დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები და ბუშის ქუჩას თავისი ძველი ლამაზი სახელი დაუბრუნონ — **მელაანის ქუჩა!** ასე უფრო ამაყად ვივლით მომავლისაკენ!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



# მო**გელა**ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



## სარკოფაგიდან დგება „ნაროდი“...

გეგონება, **ეგვიპტეში სარკოფაგები გაუხსნიათ,** ესენი ზემოთ ამოსულან და საქართველოში გამოქცეულან.

არა, ეგეთები არ გვიკვირს, მაგრამ **სარკოფაგებიდან ამოსულებს** არჩევნებში მონაწილეობა მოუნდომებინოთ, მიწისზედელთა ისტორიას არ ახსოვს.

ეხლა ჩვენი კინოინდუსტრია რომ დაინტერესდეს, **ამათი მონაწილეობით მშვენიერი მძაფრსიუჟეტიანი სერიალი გამოვა.** რას ამბობთ, ეგეთ ხელსაყრელ მომენტს რომელი ქვეყნის რომელი რეჟისორები გაუშვებდნენ ხელიდან? ყველაფერი მზად არი, მარტო კამერის ჩართვაა საჭირო.

რავი, ერთი თქვენც გადახედეთ, განა რამეს ვაზვიადებ? განა რამე მეჩვენება? განა მართლა **სარკოფაგებიდან ამოსულებს** არა ჰგვანან?

**წესით, 26 ოქტომბერს უკან უნდა ჩავიდნენ, მაგრამ დაიბრუნებს კი მაგ „ნაროდს“ ეგვიპტის წიაღი?**






## პედერალისტები!

ქართული პოლიტიკური დუნია კიდევ ერთი პარტიით გამდიდრდა.

**ბიბა ბოკერიამ** და **მისმა ქნეინამ,** მას შემდეგ, რაც **ბიბი წერეთელმა** და **კაკოიე ბოზოხიძემ** მშობლიური პარტია აახიეს, ეგრევე შექმნეს ახალი მოძრაობა, რომელიც სათავეს იღებს ყვარყვარე თუთაბერიდან. **თუ მეხსიერება არ მღალატობს, საქართველოში პირველი ფედერალისტი ყვარყვარე გახლდათ, ოღონდ ის იყო სოციალისტ-ფედერალისტი.** რა თქმა უნდა, **ბიბას** და **ჩერბოს** პროევროპულობის გამო სოციალისტობა არ აწყობთ და ამიტომაც პირდაპირ **ფედერალისტობა** გადაწყვიტეს.

სხვათაშორის, პირველად **ფედერალისტური პარტია** 1904 წელს ქართველების ერთმა ჯგუფმა ჟენევაში დააფუძნა და უპირველესი მოთხოვნა იყო, **საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შესულიყო ფედერალური ავტონომიის სახით.** ჟენევაში მიწვეულმა ნოე ჟორდანიამ პირდაპირ მიმართა **ფედერალისტებს** — **უკაცრავად, თქვენ შიგ ხომ არ გაქვთო?** ამის შემდეგ ჟორდანია ადგა და სხდომა დატოვა.

**ვატყობ, ნოე ჟორდანიას სიტყვები კვლავ ძალაშია, ოღონდ ახლა ადრესატები ბოკერია** და **მისი ქნეინა** არიან.

ისტორიას ახასიათებს ხოლმე გამეორებები, ნუ გაგიკვირდებათ ახალი ყვარყვარეების დაბადება!

ჰო, უკეთესი იქნებოდა **„პედერალისტები“,** ასე უფრო ახლოს იქნებოდნენ თავიანთ მრწამსთან.




## კახელებო, ამას თონე როგორ წააბილწინეთ?!

ჩავიდა (მგონი, კაჭრეთში), **წაყო ცომში ხელები, მიტიტუნ-მოტიტუნა, ჩეეყუდა თონეში, მიჭყლიტ-მოჭყლიტა, როგორც იქნა, გააჩერა, ვითამ გამააცხო.**

ვიღაცამ ამაიღო. იქვე „სტოლზე“ დააგდო. **მაგის ნაჭყლეტს არავინ გაეკარა,** თვითონაც კი სხვა პური გატეხა.

☺

რავი, **ამ მუნიციპალიტეტ-მუნიციპალიტეტ რას დეეთრევიან,** მარტო ეშმაკმა იცის.

ისე კი, თუ ვინმე შემთხვევითი გამვლელი დაინახეს, ყველანი გამეეკიდებიან, შემეეხვევიან, ხელებსა და მუხლებს უკოცნიან.

ვისაც შემეეხვევიან, ბუნებრივია, იბნევა — ხან იცინის, ხან ტირის და ამათაც ეგ უნდათ, სურათებს იღებენ და გვატყუებენ, ყველგან აღტყინებულები გვხვდებიანო.

ისე კი, **ყველგან გასაძღომად დადიან.** მადა აქვთ იმნაირი, რაც არ უნდა დაუდოთ, შეჭამენ.

**ამათი გამარჯვება არ გაიშვა ყიზილაჯლოს გადასახვევამდე!**





## კვირგვინოსნები

**თინა ბოკუჩავა**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე*



ძალიან ბევრი ადამიანი მეკითხება, **როგორ არის პრეზიდენტი სააკაშვილი?** მიშა არის ძალიან მაგრად, ბრძოლის განწყობაზე და **გამარჯვებას ელოდება.**

„ინტერპრესნიუსი“

**ანა ბუჩუკური**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



არჩევნებზე **„ოცნების“ სახეები** იქნებიან **კორუმპირებული ფეოდალები,** რომლებსაც ოთხი წლის განმავლობაში პარლამენტში ხმა არ ამოუღიათ.

„პირველი არხი“

**ანა დოლიძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი*



ჩვენ ვართ ერი, რომელსაც **გადაშენება, გადაჯიშება, ოკუპაცია, გარუსება** არ უწერია.

„რეზონანსი“

**ირაკლი კუპრაძე**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*



**ხის გახმობა ცუდის ნიშანია** მეპატრონისთვის, სავარაუდოდ, იმას მოასწავებს, **რაც „ქართულ ოცნებას“ ელის.**

„რეზონანსი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



მსოფლიომ „ოცნება“ ფაქტობრივ **კრიმინალებად, ქურდებად, ტრანსნაციონალური დანაშაულის თანამონაწილეებად** გამოაცხადა.

„ახალი თაობა“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



„ოცნების“ პროგრამა არის, **მე თუ არ ვიქნები, ომი იქნებაო,** მეტი არაფერი.

„რეზონანსი“

# სამი ცალი ამირანი და ერთი ცალი ისა



ხედამთ, ფეხები როგორ განგანზე უდგათ? ეგეთი დგომა სიძლიერისა და ჭკვიანურობის ნიშანია.

ხელები კიდე როგორ აქვთ გაშლილი სივრცეში, მაგასაც ამჩნევთ?

**ეგრე მარტო არწივებს შეუძლიათ კამარა შეჰკრან და გაფრინდნენ. ესენი კიდე არსად გაფრენასაც არ აპირებენ, აქ უნდა იომონ და გამოიხსნან სამშობლო ბარბაროსებისაგან, რომლებმაც ქეჩოში მოგვკიდეს ხელი და რუსეთში მიგვათრევენ.**

**ხალხნოოოოო!**

თქვენ წინაშეა **სამი ცალი ამირანი.** სამივემ აიწყვიტა და აწი ვეღარავინ დააბამს. აბა, ერთი სცადეთ!

**სამი ცალი ამირანი და ერთი ცალი ისა...** რავი, მაია წყნეთელი? ჟანა დ'არკი? ზოია კოსმოდემიანსკაია? ნადეჟდა კრუპსკაია? რაც გინდათ, ის უწოდეთ, დედალი არწივივით კი გამაიყურება.

იცით, რას ამბობენ? — **„ჩვენ ვართ ძლიერი საქართველო — რეალური ალტერნატივა, რომელსაც ელოდება ხალხი! ჩვენ მოვდივართ ახალი ლიდერებით, ახალი იდეებით და საქმით, რომელიც ზურგს გვიმაგრებს“!**

თქვენი გამაგრებული არ გაიშვა!

**ისე კი, ხაზარაძეს ერთი-ორი სკამის ფეხი ნამდვილად ექნება გადანახული მერაბ კოსტავაზე თავდასხმის შემდეგ!**

# ღვინოც არ გამოუტანეს!



ზემო მაჩხაანშიც **ჩახეტებულან,** სადაც ბირჟაზე კაცები დომინოს თამაშობენ და შინაურულად ჩამომსხდარან, **ჩახეტებულებს** კი, ბალღის გარდა, ყურადღებას არავინ აქცევს. არადა, **ზემო მაჩხაანში სასურველ სტუმრებს ეგრე არ ხვდებიან.**

**როცა იქ საპატიო ხალხი ჩადის, დომინოსაც გადადებენ, ნარდსაც გადადებენ, ჯოკერსაც გადადებენ, ყველანაირ საქმეს გადადებენ და მერე... ჰაე, ჰაეეეეე, ჰარულალოოოოოო... ალაზანო და ალაზანოოოოოო!**

თქვე ჩვენის **1918-იანებო,** როცა ეგრე ცივად გხვდებიან, როცა ჭიტლაყასუნს იმის გამო არ გირტყამენ, რომ საკუთარ სოფელს სცემენ პატივს, ეგეთ ვიდეოს როგორ აქვეყნებ?

**დადიხართ, დაწანწალებთ,** ბენზინს ხარჯავთ, ფეხსაცმელებს ცვეთავთ, თქვენი **პატრონძაღლი პატრონების** მოცემული ფულებით იღმურძლებით, სკდებით, ადგილობრივები ხილსაც კი არ გაწვდიან, რა გინდათ, რისი იმედი გაქვთ?!

**თან იძახით, 26 ოქტომბერს „ქართული ოცნება“ უნდა დავამარცხოთო.**

**როგორ, რანაირად?**

**„ქართული ოცნება“ ეგრე ჰარალოზე რომ მარცხდებოდეს, მაგას აქამდე იზამდით!**

ბიჯოოოოოოო!

**ოდეს ყოფილა, ზემო მაჩხაანში სასურველი სტუმარი ჩასულიყო და სულ მცირე, კოკურით ღვინო არ გამოეტანოთ?**

# ვის რა ჭირად უნდებლარიენ!



ამასწინებზე წნორში საბურავი დამეშვა და **ამაზე მეტი ხალხი მოვიდა!**

არადა, სულ არ მომსვლია აზრად, პარტია შემექმნა, იქვე ოფისი გამეხსნა, ვიღაცები დამებოლებინა და გამომეცხადებინა, 27 ოქტომბერს უმრავლესობით მოვდივარ-მეთქი.

არა, როგორ გეკადრებათ, ამას როგორ ვიზამდი?

**მე არ ვიზამ, თქვენ არ იზამთ, მე არ ვიკადრებ, თქვენ არ იკადრებთ, მაგრამ ესენი შვრებიან, ესენი კადრულობენ.**

მიუხედავად იმისა, რომ დღეს არცერთ ე.წ. ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას ელექტორატი არ ჰყავს, მაინც **დაეხეტებიან, ყველის ვაჭრებივით იკრიჭებიან, შემთხვევით გამვლელებს ეგლისებიან და მზად არიან, იმ ერთადერთ ლოკაციაზე მოხვდნენ...** თუნდაც, საპნის გარეშე!

# უკანალშიც აღარა ჭრის!



უკანალში დაჭრილთა ასოციაციის თავმჯდომარე **მამა გრიგორიადისი** უაღრესად შეშფოთებულია იმის გამო, რომ საკუთარი შვილი **ლაზარე** საერთოდ აღარ კითხულობს. რაც ციხიდან გამოუშვეს, **ერთხელაც არ დაურეკავს.**

როგორც ჩანს, **მამა გრიგორიადისმა** ჯერაც ვერ გაითავისა, რომ მისი შვილი ეროვნული გმირია, ხოლო **გმირები არსად რეკავენ,** მათ იქით ურეკავენ, ოღონდ არ პასუხობენ.

ეტყობა, **მამა გრიგორიადისი** ვერც იმას აცნობიერებს, რომ **ლაზარე** მას აღარ ეკუთვნის, იგი მთელი დუნიის შვილია, თავისუფლებისა და დემოკრატიის სიმბოლოა, რომლის საგმირო საქმეებზე არამხოლოდ ევროპარლამენტის დერეფნებში, თეთრი სახლის სამზარეულოშიც კი ლაპარაკობენ.

ამან კიდე, **არ მირეკავსო, არ მკითხულობსო.**

სადა სცალია ან დასარეკად, ან მოსაკითხად?

**ნუ გაზრდიდი, ძმაო, ეგეთ გმირსა, მაშინ მოგიკითხავდა კიდევაც, დაგირეკავდა კიდევაც და უკანალშიც დაგჭრიდა!**



## კვირგვინოსნები

**ფადი ასლი**

*საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი*



**დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, გერმანიაში** ან **საფრანგეთში** იმის ათი პროცენტი რომ მეთქვა, რასაც **საქართველოში** ბოლო 27 წლის განმავლობაში ვამბობდი, **ან სამუდამო პატიმრობას მოვიხდიდი, ან დიდი ხნის წინ მომკლავდნენ.** ვინც ამტკიცებს, რომ დასავლეთში არის სიტყვის თავისუფლება, ან სრული უნამუსოა, ან რადიკალური ლიბერალური მემარცხენე ნაწილი.

„პირველი არხი“

**ვახტანგ კაპანაძე**

*„ჯეოქეისის“ მკვლევარი, გენერალ-მაიორი*



ამ ეტაპზე, და არა საბოლოოდ, **უკრაინისთვის გამარჯვება იქნება, თუკი დაბრუნდება 2022 წლის საზღვრებამდე,** ყირიმისა და ლუგანსკი-დონეცკის გარდა, ხერსონის და ზაპოროჟიეს ჩათვლით. **თუ ამ სტატუს-კვოს აღადგენენ, ეს უკრაინის დიდი გამარჯვება იქნება.**

„კვირის პალიტრა“

**ლევან ჩხარტიშვილი**

*ლიბერტარიანული პარტიის წევრი*



**„ოცნება“ და ნაცმოძრაობა ერთი და იგივეა.** ქართველი ხალხი არ აირჩევს არც **ძველ მახრჩობელას** და არც **ახალ მახრჩობელას.**

„ახალი თაობა“

**ლელა ჯეჯელავა**

*ანალიტიკოსი*



ვაცადოთ „ოცნებას“ **გამხმარი ბაობაბების გლოვა** და მას რომ გამოიგლოვებენ, მერე მიხვდებიან, რომ **ხელისუფლებასაც უნდა დაემშვიდობონ** და შემდეგ ისიც გამოიგლოვონ.

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**

*ექსპერტი, კონფლიქტოლოგი*



„ოცნების“ გადარჩენის გზა არსებობს, **რუსული კანონი** გაიწვიონ.

„ახალი თაობა“

# რა უნდა ისწავლოს ქართველმა

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №29–34*

***სოციალურ ქსელებსა და სხვადასხვა ინტერნეტ-პლატფორმებზე ხშირია ე.წ. მკვლევართა და თვითგამოცხადებულ მეცნიერთა დასკვნები იმის შესახებ, რომ თითქოს მთელი დასავლეთ საქართველო, უხსოვარი დროიდან მხოლოდ მეგრულად ლაპარაკობდა და აღმოსავლეთიდან შემოჭრილმა „ქორთუებმა“ დასავლეთ საქართველოს „ქართიზაცია“ და მეგრული ელემენტის შევიწროება მოახდინეს!***



წმინდა სვიმონ კანანელი



წმინდა სვიმონ კანანელის ტაძარი აფხაზეთში, ახალი ათონის ტერიტორიაზე



გიორგი მთაწმინდელი. ათონის ივერთა მონასტრის ფრესკა

## *გიორგი მთაწმინდელი:*

## სვიმონ კანანელი ქუეყანასა ჩვენსა დამარხულ არს — აფხაზეთს, ქალაქსა, რომელსაც ნიკოფსი ეწოდების!

ამ „თეორიას“ კიდევ უფრო ამძაფრებს **ივანე ჯავახიშვილის** მიერ **„ქართველი ერის ისტორიაში“** დასაბუთებული და დამოწმებული აზრი იმის შესახებ, რომ იმერლები და გურულები სინამდვილეში ქართლელები არიან, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში 735-738 წლებში, კერძოდ, **მურვან-ყრუს** შემოსევების დროს გადმოვიდნენ და დღევანდელ იმერეთსა და გურიაში სამუდამოდ დამკვიდრდნენ.

საერთოდ, **ინსტრუქციები და პროგრამები საქართველოს კუთხეებად დანაწევრებისა და მეგრელების, ლაზებისა და სვანების „არაქართული წარმომავლობის“ შესახებ საქართველოს დაუძინებელი მტრების სპეცსამსახურების ჯურღმულებში დიდი ხნის წინათ იწერებოდა.** ამ მხრივ განსაკუთრებით მზაკვრულად რუსეთის იმპერია მოქმედებდა. ასე, მაგალითად, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, მას შემდეგ, რაც **იმპერატორ ალექსანდრე მესამის** აფეთქებას იმპერიაში რეაქციის ხანის დაწყება მოჰყვა, მეფის რუსეთმა დაიწყო სერიოზული „ზრუნვა“ სამეგრელოსა და სვანეთში მეგრელი და სვანი ბავშვების მეგრულ და სვანურ ენაზე „გასანათლებლად“. მაშინ მთელი სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობა ფეხზე დადგა. ცნობილია, რომ, მაგალითად, სენაკის მაზრის სკოლებიდან ადგილობრივმა ქართველობამ მეფის რუსეთის მოხელენი გამოაძევა.

**იგივე ბედი გაიზიარეს რუსი ეგზარხოსების მიერ წაქეზებულმა ჯგუფებმა, რომლებიც მეგრელებსა და სვანებს წირვა-ლოცვის მეგრულად და სვანურად შესრულებას „ურჩევდნენ“ და ბიბლიის მეგრულად და სვანურად თარგმნას ესწრაფოდნენ.**

მეფის რუსეთის თავგასულმა მოხელეებმა სამეგრელოსა და სვანეთში, როგორც სკოლებში, ისე ღვთისმსახურებაში ქართული ენა საერთოდ აკრძალეს და ამოიღეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული გახლდათ რუსი მღვდელი და შემდგომში პოლიტიკური მოღვაწე **ივანე ვოსტორგოვი,** რომელიც 2000 წელს რუსეთის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

**უწმინდური წმინდა ივანე ვოსტორგოვი** საქვეყნოდ აცხადებდა იმას, რასაც ზოგიერთი ჭკუანაღრძობი და საქართველოს დაუძინებელი მტერი ფეისბუქის მეშვეობით ქადაგებს, — სამეგრელო და სვანეთი საქართველო არ არისო! **ძაღლთაპირი ვოსტორგოვი მიზანმიმართულად იბრძოდა, რათა სვანეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში ღვთისმსახურების ენად ადგილობრივი ენები — მეგრული, სვანური და აფსუათა ენა, ანუ ე.წ. აფხაზური დამკვიდრებულიყო.** სწორედ ამ მიზნით, 1892 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი **კირილე იანოვსკი** რუსეთის იმპერიის სახალხო განათლების მინისტრს სწერდა, რომ ქართველი სამღვდელოებისთვის ჩამოერთმიათ საეკლესიო-სამრევლო სკოლების მართვის უფლება. **სულძაღლი იანოვსკი** თავის განზრახვას პირდაპირ, დაუფარავად ასაბუთებდა — **ქართველმა მღვდლებმა რუსული არ იციან და აქედან გამომდინარე, ქართველების რუსეთის იმპერიასთან შერევა-ათქვეფას ხელს უშლიანო!**

**როგორც ივანე ვოსტორგოვი, ისე კირილე იანოვსკი მეგრელებს ქართველებად არ აღიარებდნენ, მათ დანარჩენი საქართველოსა და ქართველებისგან გამოარჩევდნენ და საეკლესიო წიგნებისა და ლოცვების მეგრულად თარგმნას ითხოვდნენ.** სამეგრელოსა და სვანეთის დანარჩენი ქართველი საზოგადოებისგან გათიშვის მიზნით, სწორედ **კირილე იანოვსკის** გაუჩნდა იდეა, ბიბლია მეგრულად და სვანურად ეთარგმნათ. საქართველოს ერთიანობისთვის ძირის გამოთხრისა და ქვეყნის დასაქცევად საჭირო „იდეებით“ განსაკუთრებით გამოირჩეოდა **კირილე იანოვსკის** თანაშემწე **ლევიცკი.**

როგორც **დიმიტრი გულიას** შეაქმნევინეს რუსული ალფაბეტისგან ე.წ. **აფხაზური ანბანი, ლევიცკიმ** სწორედ ასე დაიწყო მუშაობა **მეგრული ანბანის** შესაქმნელად. ცხადია, **ლევიცკი** ისევე, როგორც **დიმიტრი გულია,** „მეგრული ანბანის“ შექმნას რუსული კირილიცას საფუძველზე ცდილობდა და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სულ მალე სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან მეგრული ანბანი ქართულს გამოაძევებდა! **ლევიცკი ასევე ძალიან იყო მოწადინებული, მეგრულად ეთარგმნა რუსული და სხვა უცხოური ლიტერატურა.**

რუსი ეგზარხოსები ვირეშმაკურად იქცეოდნენ. მაგალითად, მათ ოსურ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ოსურად დააწესეს, მაგრამ ენა იმდენად დაამახინჯეს, აღშფოთებულმა მრევლმა ეკლესიაში წირვაზე სიარული შეწყვიტა. მიტროპოლიტ **ანანია ჯაფარიძეს** ამ ისტორიასთან დაკავშირებით მოაქვს ასეთი სამარცხვინო და მკრეხელური ფაქტი — **რუსებმა სიტყვა „განკაცება“ ოსურად ისე ათარგმნინეს, რომ მიიღეს ახალი სიტყვა — „ხორციანი ნამცხვარი“.**

აფხაზეთსა და სამურზაყანოში რუსები ქართულს მე-19 საუკუნეშიც ისევე ებრძოდნენ, როგორც დღეს ებრძვიან. აი, მაგალითად, **სოხუმის ეპარქიაში მოღვაწე რუსმა ეპისკოპოსმა არსენმა მთელ აფხაზეთსა და სამურზაყანოში ქართული წირვა-ლოცვა აკრძალა, ხოლო ის, ვინც სოხუმსა და აფხაზეთში წირვა-ლოცვის ჩატარებას ქართულად, ანუ მშობლიურ ენაზე ითხოვდა, რუსები ყველას ჟანდარმერიის მეშვეობით დევნიდნენ და ციმბირის გაყინული ჯურღმულებისკენ მიერეკებოდნენ.**



კირილე იანოვსკი




**„სამეგრელოსა და სვანეთის დანარჩენი ქართველი საზოგადოებისგან გათიშვის მიზნით, სწორედ კირილე იანოვსკის გაუჩნდა იდეა, ბიბლია მეგრულად და სვანურად ეთარგმნათ!“**

რაც უწმინდურმა **ვოსტორგოვმა, იანოვსკიმ და ლევიცკიმ** ვერ შეძლეს, იმას დღეს რძენაწყენი **იური ღვინჯილიები, რონა ჭაჭუები** და სამეგრელოში ჩანერგილი „ჭკვიანი მტრები“ თუ „უგუნური მოყვრები“ ფეისბუქიდან და სხვა სოციალური პლატფორმებიდან გაასმაგებული ენერგიით ცდილობენ!

სხვათაშორის, **ბიბლიის მეგრულად და სვანურად მთარგმნელთა „გულშემატკივრები“ და „ინიციატორები“ საქართველოს არც ევროპიდან და ამერიკიდან აკლია.** ქვეყანაში ჩაბუდებული ე.წ. ენჯეო-აგენტურა, რომელიც, ძირითადად, სწორედ დასავლეთის გრანტებითა და ინსტრუქციებით იმართება, **არათუ ბიბლიის სვანურად და მეგრულად თარგმნას და წირვა-ლოცვის ეთნოგრაფიულ ჯგუფთა ლოკალურ ენებზე შესრულებას ლობირებს, არამედ აფხაზეთის დამოუკიდებლობასაც უჭერს მხარს.**

ჯერ კიდევ ავადსახსენებელ ე.წ. ვარდების რევოლუციამდე ორი წლით ადრე, 2001 წლის 19-23 მარტს, სოჭში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ასპექტების განხილვის ფარგლებში, დისკუსია გაიმართა, რომელზეც **„კავკასიის სტაბილურობის პაქტი“** განიხილეს. **თინა ხიდაშელი, ნათელა აქაბა, ემზარ ჯგერენაია, ზაზა შათირიშვილი, არდა ინალ-იფა, ჯონ პოლ ლედერახი, დავით ბერძენიშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, ბათალ კობახია — ეს და სხვა მონაწილეები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების სხვადასხვა გზებსა და საშუალებებზე მსჯელობდნენ.**

**პაატა ზაქარეიშვილმა,** რომელსაც საკუთარმა მამამ სასამართლოში უჩივლა, აქაოდა, კაცად ვერ გავზარდე, არ გამომადგა და რაც მაგის გაზრდისთვის ხარჯი მიქნია, უკან დამიბრუნოსო, იმ შეკრებაზე ასეთი რამ თქვა — **„აფხაზეთის აღიარებით საქართველოს ნამდვი-**

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?



საქართველო აფხაზეთი, სოხუმი.

**ლი სახელმწიფოებრიობა დაიწყება!“** რაც შეეხება ამერიკული „ცერეუს“ ტაივანის ბიუროს აგენტ **თინა ხიდაშელს,** მან **ბათალ კობახიას** ამ შეხვედრაზე კვერი დაუკრა და პირდაპირ განუცხადა — **„ბათალ, მე კი გეუბნები, რომ აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავ!“**

**ხოლო სტაჟიანი ჩამშვები და ლგბტ აქტივისტი დავით ბერძენიშვილი,** რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ პარლამენტის წინ გაბმულად ჯღაოდა — **„მე სექსუალური უმცირესობების საქართველო მინდაო!“** — მაშინ სოჭში ამერიკელების მიერ გადმოგდებული დოლარების მოლოდინში ასე ჭიკჭიკებდა — **„ნებისმიერ სხვა სიტუაციაში შეთანხმებები აფხაზურ და ქართულ ნომენკლატურებს შორის ვერ იქნება ერთ სახელმწიფოში მათი თანაცხოვრების მყარი საფუძველი. მე ვფიქრობ, აფხაზებს აქვთ უფლება, შექმნან ცალკე სახელმწიფო, მაგრამ, ამასთან, აუცილებელია ისეთი მოდელის პოვნა, რომლის მიხედვითაც აფხაზები და ქართველები ამჯობინებენ ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზეთის ყოფილი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიას გაიყოფენ აფხაზური და ქართული მხარეები“.**

ახლა კი ჩვენი დროის მოღალატეებს, ჩანერგილებსა და უცხო ქვეყნის აგენტებს დროებით გავეცალოთ და უფრო ძველ ისტორიას მივყვეთ!

მართალია, ტრაპიზონიდან დაწყებული ნიკოფსიით დასრულებული, საქართველოს ყველა ცნობილი ავტორი **„მეგრელთა ქვეყანას“** უწოდებს, მაგრამ შავი ზღვისპირეთში კოლხური ტომების გვერდით იბერიული და მესხური ტომების არსებობაც ძველთაგანვე დასტურდება. მაგალითად, აკადემიკოსი **პავლე ინგოროყვა** მიიჩნევს, რომ აფხაზები, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუებისგან განსხვავებით, ქართული, ანუ მესხური ტომები იყვნენ, როგორც აჭარლები, რომლებიც უხსოვარი დროიდან მოყოლებული, შავი ზღვისპირეთში ცხოვრობდნენ და მათი სალაპარაკო ენა არა მეგრულ-ლაზური, არამედ **ქართული ენა** იყო!

შავი ზღვისპირეთში რომ კოლხებთან ერთად იბერებიც ცხოვრობდნენ, ამას ადასტურებს მე-5 საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო ისტორიკოსის **გელასი კვიზიკელის** ერთი მეტად საინტერესო ცნობაც, სადაც ვკითხულობთ — **„ღმრთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა!“**

უფრო ძველი ავტორების მოხმობაც შეიძლება. მაგალითად, აკადემიკოსი **პავლე ინგოროყვა** თავის ნაშრომში — **„გიორგი მერჩულე“,** როცა აფხაზეთზე საუბრობს, საგანგებოდ შენიშნავს, რომ ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის ბერძენი ავტორი **ჰელანიკე მიტილენელი** თანამედროვე აფხაზეთში მცხოვრებ ტომს „მოსხს“ უწოდებს. მიტილენელი შენიშნავს, რომ აფხაზეთის მოსხთა ტომის მოსაზღვრენი არიან — ჰენიოხები, კორახები, ანუ მდინარე კელასურის ხეობის მცხოვრებნი, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები კერკეტები, ანუ ჩერქეზები და ქარიმანტები.

**დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე კოლხურ და სვანურ ტომებთან ერთად მესხური, ანუ იბერიული ტომები რომ ცხოვრობდნენ, ამას ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის ავტორი პალეფატე აბიდოსელიც ადასტურებს, რომელიც გვამცნობს, რომ აფხაზეთში მოსახლე ტომს ჰქვია „მოსხი“ და ამ „მოსხების“ მეზობლები არიან კერკეტები და ქარიმანტები.**

## სტრაბონი (ძვ.წ. 64 – ახ.წ. 24): აფხაზებს იცნობენ მხოლოდ ამ სახელწოდებით – „მოსხი“!



სტრაბონი. მე-16 საუკუნის გრავიურა

თვით **სტრაბონიც** (ძვ.წ. 64 — ახ.წ. 24 წ.წ.) ხაზგასმით მიუთითებს, რომ აფხაზებს იცნობენ მხოლოდ ამ სახელწოდებით — **„მოსხი“!** ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი სწორედ **„მოსხის“** უკავშირებს მის გვიანდელ ფორმებს — **„აბასხი“ და „აფხაზი“.**

**„აფხაზთა სამეფოში“,** რომელიც **ლეონ მეორემ** (753-798 წ.წ.) მე-8 საუკუნის შუა წლებში შექმნა და ტრაპიზონიდან ნიკოფსიამდე და შავი ზღვიდან ლიხის მთამდე უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავდა, სახელმწიფო ენა ქართული იყო და ბერძნული ენის გაძევების შემდეგ, წირვა-ლოცვაც ქართულად აღესრულებოდა. **ლეონ მეორის** პირდაპირი შთამომავალი — შვილთაშვილის შვილი გახლდათ **„მეფე აფხაზთა“ გიორგი მეორე** (922-957 წ.წ.), რომლის დროსაც აფხაზეთში მოღვაწეობდა სახელგანთქმული ქართველი ჰიმნოგრაფი **იოანე მინჩხი.** გადმოცემის თანახმად იგი წარმოშობით მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურიდან იყო... მის ერთ-ერთ ჰიმნს ერთვის ასეთი წარწერა — **„ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერვებიან მინჩხისადა!“**

**„აფხაზთა სამეფოს“** დამაარსებელი **ლეონ მეორე** აფსუა რომ ყოფილიყო, **იოანე მინჩხის** მიერ ქართულ ენაზე დაწერილი საგალობლები და ჰიმნები მისი შვილთაშვილის შვილისთვის — **გიორგი მეორისთვის** უცხო და გაუგებარი იქნებოდა. მოკლედ, რა **ენაზეც იოანე მინჩხი მეტყველებდა და წერდა, „აფხაზთა მეფე“ გიორგი მეორისთვის სწორედ ის ენა იყო მშობლიური და გასაგები.** აქედან გამომდინარე, რა შუაშია აფხაზებთან და აფხაზეთთან სულაძაღლებული **ვლადისლავ არძინბას** ენა, ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, აფხაზეთი **„მოციქულთა მიწად“** არის მიჩნეული, რადგან სწორედ ისტორიული აფხაზეთის უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვართან, ქალაქ ნიკოფსიაში, რომელსაც უძველესი დროიდან **„ლაზიკა“** ან **„ლაზთა ქალაქი“** ერქვა, დამარხულია ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი — **სვიმონ კანანელი.**





ბათალ კობახია

1057 წელს ბიზანტიაში დიდი საეკლესიო დისპუტი გაიმართა. კერძოდ, ანტიოქიის **პატრიარქი თეოდოსი** გამოვიდა წინადადებით, საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია ჩამორთმეოდა! **პატრიარქი თეოდოსი,** რომელსაც ბიზანტიის საიმპერატორო კარი აქეზებდა და ზურგს უმაგრებდა, როგორც **„გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაშია“** აღწერილი, გეგმავდა იერუსალიმის, ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლისა და რომის პატრიარქებისთვის საგანგებო ეპისტოლეები დაეგზავნა და მოეწოდებინა — **ქართველთა საეკლესიო დამოუკიდებლობა უსამართლოა, რადგან საქართველოში ქრისტეს არცერთ მოციქულს არ უქადაგებია ჭეშმარიტი სარწმუნოება და ქართველებმა თვითნებურად, თავად განაჩინეს ცრუმოძღვრება და ვიდრე მათი ხელმწიფე არ მოვა და მორჩილებას არ გამოგვიცხადებს, მანამ არ გავჩერდებითო!**

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ დიდმა **გიორგი მთაწმინდელმა** ანტიოქიის პატრიარქის წინაშე ღირსეულად დაიცვა საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობა, **პატრიარქ თეოდოსის** იქით შეუტია და მის განზრახვას „უგუნური“ უწოდა. **გიორგი მთაწმინდელმა** დოკუმენტებით დაუმტკიცა ანტიოქიის პატრიარქს, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში მოციქული ანდრია პირველწოდებული მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა და ხალხს აქრისტიანებდა, ხოლო **„ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სვიმონს ვიტყვ კანანელსა, ქუეყანასა ჩვენსა დამარხულ არს — აფხაზეთს, ქალაქსა, რომელსაც ნიკოფსი ეწოდების!“**

ჩვენთვის ცნობილია, რომ **გიორგი მთაწმინდელმა** საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასასაბუთებლად ანტიოქიის პატრიარქს სხვა უმტკიცესი არგუმენტებიც მოუტანა და განუცხადა — **როცა ბიზანტიის იმპერიას ხატმებრძოლება არყევდა და ქვეყანაში ერთი პატიოსანი მღვდელმთავარი არ გყავდათ, რომელიც სქიზმაში არ იქნებოდა ჩავარდნილი, საქართველოში მსგავსი არაფერი მომხდარა და გოთების ეპისკოპოსი მცხეთაში აკურთხეს. ასე რომ, მცხეთის საპატრიარქო ტახტი თქვენ კი არ უნდა დაგემორჩილოთ, არამედ, პირიქით, თქვენ უნდა დაგვემორჩილოთ ჩვენ, ქართველებს, რადგან ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოებისთვის არასოდეს გვიღალატიაო!**

**გიორგი მთაწმინდელის** ამ სიტყვებმა დარბაზზეც და ანტიოქიის **პატრიარქ თეოდოსიზეც** უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და დისპუტი შეწყდა!

## თინა ხიდაშელი: აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავ!

მთელ ამ ისტორიაში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ უდიდესი ქართველი **გიორგი მთაწმინდელი** 1057 წელს ანტიოქიის პატრიარქისა და აურაცხელი ბიზანტიელი საერო თუ სასულიერო პირის წინაშე აცხადებს, რომ **სვიმონ კანანელი „ქუეყანასა და ჩვენსა დამარხულ არს — აფხაზეთს!“**

ანუ **გიორგი მთაწმინდელი,** რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და უწმინდესი მამაა და ათონის ივერთა მონასტერშია დაკრძალული, ჩასაფრებული ანტიოქიის პატრიარქისა და საქართველოს ჩასაყლაპავად გამზადებული ბიზანტიელების თვალწინ აცხადებს, რომ **აფხაზეთი მისი ქვეყანაა, აფხაზეთი საქართველოა!**

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არც პატრიარქ თეოდოსის და არც ბიზანტიელებს ამ აქსიომატურ ჭეშმარიტებაში ეჭვი არ შეუტანიათ, თორემ უმცირესი არგუმენტიც რომ ჰქონოდათ ამის საწინააღმდეგოდ, **გიორგი მთაწმინდელს** მაშინვე წამოაძახებდნენ — აფხაზეთი საქართველო არ არის, სვიმონ კანანელი საქართველოს მიწაზე არ მომკვდარა და ამდენად ეს საკითხი თქვენ არ გეხებათო!

**აფხაზეთი იმდენად იყო საქართველოს სისხლხორცეული და განუყოფელი ნაწილი, რომ ბიზანტიელებმა ეს ვერ თქვეს, თორემ არ მოგვერიდებოდნენ და აუცილებლად გვეტყოდნენ!**

ამ ფაქტით მტკიცდება, რომ ანტიოქიის პატრიარქი და ბიზანტიელი საერო თუ სასულიერო პირები, რომლებსაც 1057 წელს საქართველოს ეკლესიის მოსპობა სურდათ, ბევრად უფრო მაღალი ზნეობის ხალხი იყო, ვიდრე ის უსინდისონი, რომლებმაც აფსუებს ქართველები აყლეტინეს და მერე „აფხაზეთის დამოუკიდებლობა“ აღიარეს!

*დიტო ჩუბინიძე*



# კახა საბახტარიშვილი: საზამთრო ბუნებრივი ვიაგრაა!

## «ხმები ე.წ. საზამთროს დიეტის შესახებ მითია!»

## „ვისაც პროსტატის ადენომა აწუხებს, საზამთრო მიირთვას!“

***ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი გვაფრთხილებს, რომ დღეში 200-300 გრამზე მეტი საზამთროსა და ნესვის მიღება სიმსუქნეს, ღვიძლის გაცხიმოვნებასა და შაქრიანი დიაბეტის განვითარებას უწყობს ხელს:***

— ზაფხულის ცხელ დღეებში, როცა ჭამის მადა — დაქვეითებული, ხოლო წყურვილის შეგრძნება გაძლიერებულია, ჩვენისთანა ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობისთვის საზამთრო და ნესვი კვების აუცილებელი და მნიშვნელოვანი კომპონენტია. საზამთროს სამშობლოდ ყველაზე ცხელი კონტინენტი — აფრიკა ითვლება. არავინ უწყის, რატომ ჰქვია ამ ხილს „საზამთრო“... სულხან-საბა ორბელიანი საზამთროს **„ნელსაპეპონს“** უწოდებს. გაგიკვირდებათ, მაგრამ საზამთროს თესლი ტუტანჰამონის აკლდამაშიც კი იპოვეს. ეს გასაკვირი სრულებითაც არ არის, რადგან, ეგვიპტელთა წარმოდგენით, საზამთრო წყლის შემნახველ პროდუქტად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, რაკი მიცვალებულს იმიერ სამყაროში წყალი აუცილებლად დასჭირდებოდა, ეგვიპტელთა რწმენით, საზამთროს მარცვლების სამარხში ჩატანება გარდაცვლილს საიქიოში წყლის პრობლემას მოუგვარებდა. საზამთროს 93 პროცენტი მართლაც წყალია, მაგრამ ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით ის სტრუქტურირებულია, ანუ ზუსტად იგივე სტრუქტურა აქვს, როგორიც ადამიანის ორგანიზმში შემავალ წყალს! ასეთი წყლის ასათვისებლად ორგანიზმს არანაირი ენერგიის დახარჯვა არ სჭირდება. ამიტომ საზამთროში შემავალი წყალი გაცილებით სასარგებლო და ბუნებრივია, ვიდრე ჩვეულებრივი წყალი!

**— მაინც რა სასარგებლო ნივთიერებებით გამოირჩევა საზამთრო?**

— საზამთროს ისევე, როგორც პომიდორს, წითელ ფერს აძლევს **ლიკოპენი,** რომელიც გულ-სისხლძარღვთა სისტემაზეც ბრწყინვალედ მოქმედებს და, რაც მთავარია, უძლიერესი ანტისიმსივნური მოქმედებაც გააჩნია. საზამთროში შემავალი ლიკოპენი, განსაკუთრებით, სასარგებლოა პროსტატის ჯირკვლისთვის. ამიტომ, ვისაც პროსტატის ადენომა აწუხებს, საზამთრო მიირთვას! ცნობისათვის: საზამთრო პროსტატის კიბოს განვითარებასაც უშლის ხელს.

1998 წელს სამმა ამერიკელმა დაამტკიცა, რომ აზოტის ოქსიდი, რომელსაც სისხლძარღვების კედლები წარმოქმნის, ხელს უწყობს სისხლძარღვების გაფართოებას, წნევის დაწევას და ინფარქტებისა და ინსულტების თავიდან აცილებას. მათ ნობელის პრემია მიიღეს. არადა, სიმართლე რომ ვთქვათ, იმ სამ ამერიკელს ნობელის პრემია არა კარდიოლოგიაში გაკეთებული აღმოჩენისთვის, არამედ, ფაქტობრივად, ვიაგრას ეფექტის ახსნისთვის გადასცეს. სწორედ ვიაგრა იწვევს აზოტის ოქსიდის გამოყოფას, რომელიც ერექციას აძლიერებს, საზამთრო კი ბუნებრივი ვიაგრაა, რადგან მასში შემავალი **ციტრულინი** სწორედ აზოტის ოქსიდს წარმოშობს. ამიტომ საზამთრო დადებითად მოქმედებს როგორც ერექციაზე, ისე გულზე, რადგან ადუნებს სისხლძარღვების გლუვ კუნთებს და დაბლა სწევს წნევას.

ლიკოპინისა და ციტრულინის გარდა საზამთროში უამრავი სასარგებლო მიკროელემენტია — მაგნიუმი, კალიუმი, ნატრიუმი, კალციუმი. საზამთრო მდიდარია A, B **და C ვიტამინებით და ფოლიუმის მჟავით.** საზამთრო ამცირებს ცუდ ქოლესტერინს. თუ საზამთროსა და ვაშლის წვენს თანაბარი რაოდენობით შევურევთ და ორჯერ დღეში 100-100 გრამს მივიღებთ, საუკეთესო შედეგებს მივაღწევთ ქოლესტერინის დონის რეგულირების კუთხით.

და კიდევ: საერთოდ, მიჩნეულია, რომ გოგრის თესლი, რომელიც პროსტატის უებარი წამალია, ძალიან ეფექტურად ებრძვის ადამიანის ორგანიზმში ჩაბუდებულ სხვადასხვა პარაზიტებსა და ჭიებს. ბევრმა არ იცის, რომ ჭიებთან და პარაზიტებთან ბრძოლაში საზამთროს თესლი გოგრის თესლზე ნაკლები არ არის!

**— საზამთროს თესლი ამ მიზნით როგორ უნდა გამოვიყენოთ?**

— ამისათვის *ხუთი სუფრის კოვზი საზამთროს დაჭყლეტილი თესლი ერთ ლიტრ ცივ წყალში ჩავყაროთ და ნელ ცეცხლზე ერთი საათის განმავლობაში ვხარშოთ. პარალელურად სითხეს ვურიოთ. ერთი საათის შემდეგ ნახარში გავწუროთ და ორი კვირის განმავლობაში, დილას და საღამოს ჭამამდე ერთი საათით ადრე ჩაის ჭიქის მესამედი დავლიოთ!*

**— ვისთვის არ არის რეკომენდებული საზამთროს ჭამა?**

— მიჩნეულია, რომ საზამთრო ვაშლზე უფრო ტკბილია. სინამდვილეში ერთი ცალი საშუალო ზომის ვაშლი 17-18 გრამ შაქარს შეიცავს, ხოლო 100 გრამ საზამთროში 8 გრამ შაქარზე მეტი არ არის. ამდენად, **დიაბეტიანებისთვის საზამთროსთან შედარებით ვაშლი ბევრად უფრო საშიში ხილია,** მაგრამ მთელი შემავალი შაქრის დიდი ნაწილი ფრუქტოზაა, რომელსაც გლუკოზისგან განსხვავებით არცერთი უჯრედი არ მოიხმარს. ფრუქტოზა ღვიძლში მხოლოდ გლიკოგენის მარაგის შექმნას ხმარდება.

**როდესაც ჩვენ საზამთროს სახით ზედმეტ ფრუქტოზას ვღებულობთ, ის ცხიმად გარდაიქმნება და ღვიძლსა და სხვადასხვა ორგანოში ჩალაგდება.** ამიტომ უბედურება ის არის, რომ 100 გრამ საზამთროს, როგორც წესი, არავინ ჯერდება. აქედან გამომდინარე, **როცა ჩვენ ერთ ჯერზე კილოგრამობით საზამთროს ვჭამთ, ორგანიზმს დიდ საფრთხეს ვუქმნით, რადგან ჭარბი რაოდენობით შაქარს ვღებულობთ!** მეორე დიდი პრობლემა ის არის, რომ საზამთროში ხმები ე.წ. საზამთროს დიეტის შესახებ მითია! დღეში 200 გრამზე მეტი საზამთროს მიღება სიმსუქნეს, ღვიძლის გაცხიმოვნებასა და შაქრიანი დიაბეტის განვითარებას უწყობს ხელს! მითია ისიც, თითქოს საზამთროს შარდმდენი თვისება გააჩია. საზამთროს მიღების შემდეგ ხშირი შარდვა მხოლოდ იმიტომ იწყება, რომ ორგანიზმში ბევრი წყალი ხვდება და სხეული ცდილობს, მისგან გათავისუფლდეს! ამიტომ, ვისაც თირკმელი აწუხებს, შარდვა უჭირს ან გულის უკმარისობა აქვს, საზამთროს ერიდოს!

**— რამდენად სასარგებლოა ნესვი?**

— ნესვს საზამთროზე უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია. 100 გრამ ნესვში სულ 30 კალორიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზამთროსთან შედარებით უფრო დიეტური პროდუქტია, მაგრამ აქაც არ უნდა გადავაჭარბოთ, რადგან **100 გრამ ნესვში 8 გრამი შაქარია.** ეს თითქოს მცირეა, მაგრამ ამ შაქრის დიდი ნაწილიც ფრუქტოზაა. ამიტომ ნესვი 200-300 გრამზე მეტი არ უნდა მივიღოთ!

ნესვში საზამთროზე ბევრად მეტი ვიტამინები და მიკროელემენტებია. ასე, მაგალითად, **100 გრამი ნესვი C ვიტამინის დღიური ნორმის 60 პროცენტს შეიცავს.** ნესვი ფოლის მჟავის საბადოა, ფოლის მჟავა კი ბევრ სასარგებლო თვისებასთან ერთად იმითაც გამოირჩევა, რომ შლის ამინომჟავა ჰომოცისტეინს, რითიც ძვლებს ამაგრებს, ანუ ბავშვებში ძვლების გასამაგრებლად ნესვი ერთ-ერთი საუკეთესოა!

ნესვი წნევას დაბლა სწევს და გულს უხდება. მაგრამ ერთი რამ ყოველთვის გვახსოვდეს: **ნესვი საზამთროსთან და სხვა ნებისმიერ ხილთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ ვჭამოთ და ყოველთვის ცალკე მივირთვათ!** ნესვის ჭამამდე და ჭამის შემდეგ ერთი საათის განმავლობაში წყალი არ დავლიოთ! ასევე გვახსოვდეს, რომ

**ნესვის მიღება რძესთან და რძის პროდუქტებთან ერთად ორგანიზმისთვის ნამდვილი კატასტროფაა!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***





**„ნესვი საზამთროსთან და სხვა ნებისმიერ ხილთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ ვჭამოთ!“**

**„ნესვის ჭამამდე და ჭამის შემდეგ ერთი საათის განმავლობაში წყალი არ დავლიოთ!“**

**„ერთი ცალი საშუალო ზომის ვაშლი 17-18 გრამ შაქარს შეიცავს, ხოლო 100 გრამ საზამთროში 8 გრამ შაქარზე მეტი არ არის!“**



***მსოფლიო კინოს ლეგენდა, ფრანგული კინოს ვარსკვლავი, ულამაზესი მამაკაცი ალენ დელონი 88 წლის ასაკში საკუთარ სახლში, პარიზიდან შორს — დუში მონკორბონში გარდაიცვალა. 8 ნოემბერს მას 89 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ ბედისწერამ ასე ინება, რომ ამ ცხოვრებიდან 2024 წლის მე-8 თვეს, 18 აგვისტოს წასულიყო. 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ის დუში მონკორბონის მამულში დიდ დროს ატარებდა, ბოლოს სამუდამოდ დასახლდა კიდეც და საკუთარ ქალიშვილს კატეგორიულ უარს უცხადებდა შვეიცარიაში გადასვლაზე.***



## მას ჯერ კიდევ 5 წლის წინათ უნდოდა გარდაცვალება, როცა თქვა:

**ეს ეპოქა უკვე მეზიზღება და მაწუხებს, ყველაფერი ყალბია, მხოლოდ ფულს ანიჭებენ მნიშვნელობასო** და უფროს ვაჟს სთხოვა, ევთანაზიისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია მოემზადებინა. საბედნიეროდ, გადააფიქრებინეს.

მას შემდეგ, რაც კინოში გადაღებაზე უარი განაცხადა, ერთგულ მეგობრად მხოლოდ თავის ძაღლს მიიჩნევდა და როგორც უბრალო ფრანგი მოქალაქე, ახალ ამბებს გაზეთებიდან და ტელევიზიიდან იგებდა, იშვიათად თანხმდებოდა ინტერვიუზე, სადაც აღშფოთებას ვერ მალავდა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის გამო: **იყო გეი, ნიშნავს, ბუნების წინააღმდეგ წახვიდე. ისეთი ლამაზი არსება, როგორიც ქალია, იმისთვის იბადება, რომ კაცს უყვარდესო**. ვერავინ ბედავდა მის წინააღმდეგ ღია დაპირისპირებას, ის იყო საფრანგეთის სიმბოლო და თავად საფრანგეთი, როგორც ეს დიდი ხნის წინათ პრეზიდენტმა **შარლ დე გოლმა** უწოდა, როცა ის, რაღაც მიზეზის გამო, გარდაუვალი დაპატიმრებისგან იხსნა.

**სამურაის სიკვდილი** — ასე გამოეხმაურა მსოფლიო ალენ დელონის გარდაცვალებას, მასზე ამბობდნენ, რომ ჰქონდა სამურაის სული და რომანტიკული შეყვარებულის გული. **ალენ დელონის** თაყვანისმცემლები კი, როგორც მსოფლიო ვარსკვლავის უკანასკნელ სახსოვარს, პარფიუმერიის მაღაზიებში გამალებით კითხულობენ მამაკაცის სუნამოს — **სამურაი ალენ დელონს** (Samourai Alain Delon).

კინოში მოვიდა 22 წლის ასაკში, სრულიად ახალგაზრდა, ლამაზი, მაგრამ ცხოვრებისგან დაღლილი, მშობლების დაშორებით გადატანილი ტკივილით და ქუჩის რთული ყოფის ნახვით. 20 წელი ჰაუპტვახტში შეუსრულდა, ინდოჩინეთში საფრანგეთის არმიაში მსახურობის დროს ცუდი ყოფაქცევისთვის რომ მოათავსეს. გარდა ბავშვობაში პანსიონში მიღებული განათლებისა, სხვაგან არ უსწავლია, **კინოში პირველად გადაღების დროს ჯიბეში მხოლოდ ერთი საბუთი ედო — პროფესიონალი ყასბის, ისიც იმიტომ, რომ მამინაცვლის გვერდით ძეხვის ფარდულში მუშაობა შეძლებოდა.** სიგიჟემდე უყვარდა დედაც და მამაც, რამდენიმე წლის წინათ ვლადიმერ პოზნერთან საუბარში განაცხადა: **ბევრი რამ ვნახე და განვიცადე, მაგრამ, რაც ყველაზე ძალიან მენატრება, ეს არის დრო, როცა დედ-მამის გვერდით ბედნიერი ვიყავიო.**

# კაცის სიკვდილი

## ლეგენდის დასასრული: ალენ დელონი 88 წლის ასაკში გარდაიცვალა!



მამის გარდაცვალების განცხადებაში ალენ დელონის შვილებმა ჩაწერეს, რომ ის მშვიდად გარდაიცვალა ოჯახის წევრების გარემოცვაში. **მაგრამ, მაინც, როგორ გარდაიცვალა პლანეტის ულამაზესი მამაკაცი? რა თქვა სიკვდილის წინ, ალბათ, ამას ვერასოდეს გავიგებთ.** გადატანილი ჰქონდა ინსულტი, საკუთარი სიცოცხლის ევთანაზიით დასრულებაზე ფიქრი.

კინომოყვარულებს, ალბათ, გაახსენდებათ შედევრი **„ორნი ქალაქში“** ლეგენდარულ **ჟან გაბენთან** ერთად **ალენ დელონის** მიერ შესრულებული როლი — **მისი გმირის თვალები გილიოტინაზე თავის მოკვეთის წინ.** ის უკვე იმქვეყნად იმ ეკრანული ოჯახის წევრია, საიდანაც მოხდა მისი გაბრწყინება მსოფლიო კინემატოგრაფიაში. ფილმში **„როკო და მისი ძმები“** მონაწილე მსახიობთაგან არცერთი აღარ იყო ცოცხალი, გარდა როკოსი — ალენ დელონის, რომელმაც გულწრფელად დაიტირა 2011 წელს გარდაცვლილი მისი ეკრანული სიყვარული ნადია — **ანი ჟირარდო.**

უყვარდა ყველა ქალი, ვინც კი თავის ცხოვრებაში შემოიყვანა, ვისთან ერთადაც ცხოვრობდა გარკვეული პერიოდი, მაგრამ მხოლოდ ერთი ატარებდა მის გვარს — მისი მეუღლე და მისი პირველი შვილის დედა **ნატალი დელონი** და ეს ძალიან ეამაყებოდა.

მიუხედავად ალენ დელონის ნიჭისა და ზესილამაზისა, თაყვანისმცემლები მას არ პატიობდნენ ულამაზესი გერმანელი მსახიობის **რომი შნაიდერის** მიტოვებას. მსოფლიო კინოეკრანმა ამ ვარსკვლავებზე კაშკაშა ვარსკვლავი არ იცის, ეს იყო ორი განუმეორებელი სილამაზე, რაც კი დედამიწაზე დაბადებულა. **ალენ დელონს** არ აუხსნია რომისთან განშორების მიზეზები, თუმცა, ბოლო წლებში, როცა რომის არქივი გაიხსნა, ნათლად გამოჩნდა ეს მიზეზი: საფრანგეთის სიმბოლო და სიამაყე ალენ დელონი ცოლად ვერ მოიყვანდა **ადოლფ ჰიტლერის** საყვარლად აღიარებულ **მაგდა შნაიდერის შვილს რომი შნაიდერს.**

ალენ დელონი თავის საყვარელ ქალბატონებს ყოველთვის პატივისცემით იხსენებდა და, საერთოდ, ქალს, სათუთ და გასაღმერთებელ არსებად თვლიდა. სწორედ ამიტომ უსახსოვრა თავის ერთადერთ ქალიშვილს თავისი ქონების დიდი ნაწილი, ხოლო ვაჟებს — თანაბრად გაუნაწილა.

მსოფლიო ემშვიდობება მამაკაცის სილამაზის ეტალონად ქცეულ სახელს — **ალენ დელონს,** მსახიობს, პროდიუსერს, რეჟისორს, სცენარისტს და საპატიო ლეგიონის კავალერს, რომელიც საფრანგეთმა თავისი ქვეყნის სამსახურისთვის მიანიჭა. **სამყაროს დარჩება მისი განუმეორებელი სილამაზე, როგორც ჩვენი მარიტასი — ლიკა ქავჟარაძის. ქართველი მაყურებელი ცრემლმორეული იტყვის გიორგი ლეონიძის უკვდავ სიტყვებს:**

## „მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება თუ დროებით მიეფარება? ვინ იცის?!“

***ქეთევან ხამიცაშვილი***



# გურამ გალდავა:

# თანამედროვე სტომატოლოგიის უდიდესი მიღწევაა, რომ ადამიანს წამითაც არ მოუწევს ყოფნა უკბილოდ!



***ასაკის მატებასთან ერთად ადამიანი კარგავს კბილებს. რადგან საკვებს სათანადოდ ვეღარ ღეჭავს, თანდათან ეწყება საჭმლის მომნელებელი სისტემის საკმაოდ მძიმე შედეგების მომტანი სნეულებები. ღეჭვის ფუნქციის აღსადგენად აუცილებელი ხდება დაკარგული კბილების ხელოვნურით შეცვლა.***
*„— თანამედროვე ტექნოლოგიები კბილების პროთეზის უამრავ ვარიანტს და ვარიაციას გვთავაზობს!“ —* ***გვითხრა ორთოპედ-იმპლანტოლოგმა გურამ გალდავამ:***

— ზრდასრულ ადამიანს ზედა და ქვედა ყბაზე თანაბრად განაწილებული 32 კბილი აქვს. ყბა-კბილთა სისტემის მთლიანობის დარღვევის დიაგნოსტიკას და მკურნალობას ემსახურება სტომატოლოგიის დარგი, რომელსაც ორთოპედიული სტომატოლოგია ეწოდება. რა თქმა უნდა, კბილის დაკარგვა ესთეტიკურ დისკომფორტს იწვევს, მაგრამ დანაკლისი კბილების აღდგენა ესთეტიკურზე უფრო მეტად, ფუნქციური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. მოგეხსენებათ, ნებისმიერი საკვების მონელება ღეჭვისას პირის ღრუში იწყება. დაქუცმაცების მიზნით თითოეული ლუკმის კარგად დაღეჭვა და მისი ნერწყვით გაჯერება აუცილებელია, მაგრამ თუნდაც ერთი საღეჭი კბილის დანაკლისი ამ პროცესს მნიშვნელოვნად უშლის ხელს. ორთოპედიული მკურნალობა გულისხმობს კბილთა მწკრივის აღდგენას და დაკარგული კბილის მოსახსნელი და მოუხსნელი ხელოვნური კონსტრუქციებით ჩანაცვლებას.

**— ძირითადად, რა ჩივილებით გაკითხავენ პაციენტები?**

— ხშირად გვსტუმრობენ ახალგაზრდა ქალბატონები, რომელთაც დაზიანებული ან დაკარგული კბილის გამო ესთეტიკური დისკომფორტი აქვთ. ასევე მოდიან ორივე სქესის ახალგაზრდები, რომლებსაც უჭირთ ღეჭვა ან არ მოსწონთ თავიანთი კბილების ბუნებრივი ფორმა ან შეფერილობა. დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ პრობლემის გაჩენიდან, ანუ კბილის ან კბილების დაკარგვიდან რაც შეიძლება მალე მოგვაკითხოს პაციენტმა. ორთოპედებთან, ძირითადად, ორი მიზეზით აგვიანებენ ხოლმე მოსვლას — მკურნალობის შიშით და მიზეზით, რომ ღირებულებას ვერ გასწვდებიან. თუმცა, ჩვენს დარგში არ არსებობს ისეთი პრობლემა, რომლის მოგვარებაც თუნდაც შეჭირვებული პაციენტისთვის შეუძლებელი იყოს.

**ყველა პრობლემა, ძირითადად, ღრძილებიდან იწყება. ყოველი ადამიანი ვალდებულია, ნახევარ წელიწადში ერთხელ მიაკითხოს ექიმ-თერაპევტს, რომელიც შეამოწმებს პირის ღრუს მდგომარეობას.**

**— რა უნდა შეაფასოს თერაპევტმა?**

— აქვს თუ არა პაციენტს ზედაპირული კარიესები. ასევე თერაპევტი ატარებს **პროფესიულ წმენდას,** რაც გულისხმობს კბილებიდან და ღრძილებიდან ნადებისა და ქვების მოცილებას. ამის შემდეგ პაციენტს უნიშნავენ მდგომარეობის შესაფერის კბილის პასტას, ჯაგრისსა და სავლებს, რადგან ღრძილებისა და კბილების პათოლოგიები შესაძლოა, მისი მდგომარეობისთვის შეუსაბამო პასტის და ჯაგრისის მოხმარებითაც განვითარდეს. აუცილებელია, ჯაგრისი გონივრული პერიოდულობით ახლით იცვლებოდეს, რადგან ძველი უკვე ფუნქციას ვეღარ ასრულებს. ამასთან, ადამიანების უმრავლესობამ არ იცის კბილის სწორად გახეხვის მეთოდები, რასაც, წესით, ბავშვობიდან უნდა სწავლობდეს, თუმცა, მშობლების დიდ ნაწილსაც არა აქვს წარმოდგენა ამ წესებზე და თერაპევტთან ვიზიტის შემდეგ პაციენტებმა პირის ღრუს ჰიგიენის შესახებ სწორი ინფორმაცია უნდა მიიღონ.

თუ პაციენტი პერიოდულად ზრუნავს საკუთარ პირის ღრუზე, რა თქმა უნდა, დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნებს ჯანმრთელ კბილებს და ორთოპედთან ვიზიტი ნაკლებად მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითარდება ვერაგი სენი — **პაროდონტიტი,** რომელსაც თავისი სტადიები გააჩნია და საბოლოო შედეგი გახლავთ კბილების დაკარგვა. ამ დროს ხდება ძვლის განლევა და, სამწუხაროდ, დაგვიანებით მოსულ პაციენტს არცთუ იშვიათად, კბილს ვეღარ ვუნარჩუნებთ.

**— დაკარგული კბილის ხელოვნურით აღდგენის როგორი საშუალებები არსებობს?**

— ძირითადად, საშუალებები ორად იყოფა: 1. სხვადასხვა სახის მოსახსნელი ან მოუხსნელი კონსტრუქციები, რომელთა არჩევა პაციენტის პირის ღრუს მდგომარეობასა და ფინანსურ შესაძლებლობაზეა დამოკიდებული; ან 2. დენტალური იმპლანტაცია.

კბილების ნაწილობრივი ან სრული არარსებობისას მზადდება სხვადასხვა სახისა და მასალის ნაწილობრივი ან მთლიანი პროთეზები, ხიდები და ერთეული გვირგვინები. შეიძლება, პაციენტს მდგომარეობის შესაბამისად შევთავაზოთ თითო ყბაზე 4, 6 ან 8 იმპლანტი, რაზეც დამაგრდება მოსახსნელი ან მოუხსნელი კონსტრუქცია.

**— მოსახსნელი კონსტრუქცია რას ნიშნავს? ყოველდღიურად უნდა მოიხსნას?**

— დიახ, ასეთი კონსტრუქციები გაწმენდის მიზნით ყოველდღიურად უნდა მოიხსნას და ისევ ჩადგეს. ჩათვალეთ, ეს პროცედურა კბილის გახეხვის ნაცვლად კეთდება. ვიღაც იკითხავს, მოხსნა რად არის აუცილებელიო — შეიძლება, ძალიან ხარისხიანად ვიხეხდეთ კბილებს, მაგრამ საკვების ნარჩენები მაინც დაგროვდება, თუ ასეთ პროთეზს ყოველდღიურად საგანგებოდ არ გავრეცხავთ. არანაირი სირთულე აქ არ არსებობს, მარტივად იხსნება, ირეცხება და მარტივადვე ბრუნდება პირის ღრუში.

**— ასეთ პროთეზს პაციენტი მარტივად ეგუება?**

— თუ მოსახსნელი პროთეზი სრულიად უკბილო ზედა ყბისთვისაა განკუთვნილი, მას უკეთდება ხელოვნური სასა. ხელოვნურ და ნამდვილ სასას შორის იქმნება ვაკუუმი, რომელიც პროთეზს ამაგრებს. სწორედ ხელოვნურ სასასთან შეგუება უჭირთ პაციენტებს, თუმცა, პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ შეუჩვეველი პაციენტი არ არსებობს! ორი კვირიდან ერთ თვემდე ვადაში ნებისმიერი პაციენტი ეგუება სიახლეს. ამ ხნის განმავლობაში, თუ რომელიმე ადგილზე ხელოვნური სასა პაციენტს ტკენს, მას ვხსნით და იმგვარად დავამუშავებთ, რომ აღარ წუხდებოდეს, ხოლო, თუ პაციენტს ზედა ყბაზე თუნდაც მხოლოდ 4 იმპლანტი ჩაუდგება, ხელოვნური სასის საჭიროება და, შესაბამისად, არც მისი თანამდევი დისკომფორტი აღარ იარსებებს.

ზედასგან განსხვავებით, კატასტროფული მდგომარეობაა, თუ გვიწევს სრულიად უკბილო ქვედა ყბის პროთეზირება. ყველა მეთოდით ვცდილობთ, ქვედა ყბაზე თუნდაც ერთი კბილი შევუნარჩუნოთ პაციენტს, რათა პროთეზირება გაადვილდეს. სრულიად უკბილო ქვედა ყბის, მინიმუმ, 4 იმპლანტის გარეშე პროთეზირება წარმოუდგენელია. ამის მიუხედავად, გამოსავალი მაინც არსებობს — სპეციალური, 24-საათიანი წებოთი პაციენტი ქვედა ყბაზე ყოველდღიურად იმაგრებს პროთეზს.

**— რა არის იმპლანტი?**

— იმპლანტი ხელოვნური ფესვია. მასზე მაგრდება გვირგვინთან დამაკავშირებელი აბადმენტი, რომელზეც თავსდება ხელოვნური კბილი. როგორც ზედა, ისე ქვედა ყბაზეც, 6 იმპლანტზე — 12-ის, ხოლო 8 იმპლანტზე 14 კბილის დაყენება შეიძლება. იმპლანტებს შორის შესაძლებელია ხიდის გაკეთება. ეს იქნება მოუხსნელი კონსტრუქცია, რომლის გაწმენდა კბილების ყოველდღიური გახეხვით შეიძლება.

**— იმპლანტის ძვალში ჩამაგრება ყოველთვის შესაძლებელია?**

— დენტალური იმპლანტის ჩაყენებამდე პაციენტმა უნდა ჩაიტაროს 3D კვლევა და ტომოგრაფიაზე ვნახულობთ, რა რესურსი გააჩნია ძვალს. საქმე იმაშია, რომ კბილის დაკარგვის შემდეგ ყბის ძვალი აღარ ღებულობს დატვირთვას, დროთა განმავლობაში განილევა და ატროფიას განიცდის. ეს ფიზიოლოგიური პროცესია და პაციენტების 80 პროცენტს აღენიშნება. ამიტომაც არის აუცილებელი, კბილის დაკარგვიდან რაც შეიძლება მალე პაციენტმა ხელოვნური კბილი ჩაანაცვლოს, რათა ძვალი შეინარჩუნოს. ყოველ იმპლანტს გააჩნია თავისი ზომები, ამიტომ იმპლანტოლოგები გულდასმით ვაკვირდებით, რომ თითოეულ შემთხვევაში ძვლიდან ნერვამდე საკმარისი მანძილი იყოს დარჩენილი და იმპლანტის უპრობლემოდ ჩადგმა მოხერხდეს. თუ სიტუაციის შესაბამისად, იმპლანტის ჩაყენება შეუძლებელია, პაციენტს ვთავაზობთ მოსახსნელ პროთეზს. თუ პაციენტს დაკარგული კბილის მეზობლად მდებარე კბილები ჯანსაღ მდგომარეობაში აქვს შენარჩუნებული, საუკეთესო და გავრცელებული ვარიანტია სტომატოლოგიური ხიდის გამოყენებით ორთოპედიული მკურნალობა. ხიდი საკმაოდ გამძლეა, უძლებს დიდ დატვირთვას და ღეჭვის ფუნქციას სრულად აღადგენს. ამასთან, ხიდების უპირატესობა მატერიალურად ხელმისაწვდომობაში და შედარებით უმტკივნეულოდ დაყენებაშია. პაციენტები ამ ვარიანტს ხშირად ირჩევენ. მთავარია, ღეჭვის ძალა სწორად იყოს გადანაწილებული.

**— თუ ძვლის რესურსი საკმარისი არ არის, მაგრამ პაციენტი დაჟინებით ითხოვს იმპლანტს, ნუთუ არანაირი გამოსავალი არ არსებობს?**

— წარმატებული იმპლანტაცია ვერ შედგება აუცილებელი ძვლის მოცულობის გარეშე. მაგრამ, თუ ძვლის რესურსი საკმარისი არ არის, თანამედროვე ტექნოლოგიები ამ ხარვეზის აღმოფხვრის საშუალებასაც იძლევა ძვლის დამატებით, რასაც **აუგმენტაცია** ეწოდება. იგი სხვადასხვა ტრავმის შედეგად ჩაწეული და დეფორმირებული ძვლოვანი ქსოვილის აღდგენასაც გულისხმობს. **აუგმენტაციიდან 6-8 თვის გასვლის შემდეგ იმპლანტის ჩასმა უკვე შესაძლებელია, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ეს გაცილებით მაღალ ხარჯებთან არის დაკავშირებული.**

**— ხარისხიანი იმპლანტი როგორ შევარჩიოთ?**

— ჩვენში 30 სახეობის საიმპლანტე სისტემა არსებობს. მათ შორის არის დაბალბიუჯეტური, საშუალო და ძვირფასი სეგმენტი. პაციენტს ფართო არჩევანი აქვს სხვადასხვა ქვეყნის ნაწარმსა და ხარისხებს შორის, რაზე ინფორმაციასაც სრულყოფილად ვაწვდით, როდესაც მკურნალობის დაგეგმარება ხდება, მაგრამ ვერცერთი სტომატოლოგი გარანტირებულად ვერ ეტყვის პაციენტს, რომ ესა თუ ის პროთეზი ამდენ და ამდენ წელს გაუძლებს.

**სტომატოლოგიაში გარანტიები არ არსებობს. პროთეზის გამძლეობა მარტო მის ღირებულებაზე კი არა, მოფრთხილებაზე და ჰიგიენაზეც არის დამოკიდებული.**

თანამედროვე სტომატოლოგიის უდიდესი მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს არცერთი წამით არ მოუწევს ყოფნა უკბილოდ!

**— იმპლანტს უკუჩვენება თუ გააჩნია?**

— იმპლანტის მთავარი მტერი ინფექცია გახლავთ. ზოგს ჰგონია, კბილს ჩაისვამს და გახეხვისთვისაც აღარ იცლის, არადა, ჰიგიენის დეფიციტი აუცილებლად განაპირობებს ინფექციის აღმოცენებას, რაც საბოლოოდ იმპლანტის ამოგდებას გამოიწვევს. სამუდამოდ საკუთარი კბილი არ ძლებს და ვერც იმპლანტი იქნება მარადიული, მაგრამ ხელოვნურ ფესვს თუ გვირგვინს ჰიგიენის განსაკუთრებულად დაცვა სჭირდება, რათა დიდხანს შევინარჩუნოთ. რაც შეეხება თხილისა და კაკლის გატეხას — ეს არც ბუნებრივი კბილებისთვისაა რეკომენდებული და, მითუფრო, იმპლანტის შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ.

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



**P.S.**

პაციენტებს შეუძლიათ, ორთოპედ-იმპლანტოლოგ **გურამ გალდავას** დაუკავშირდნენ ნომერზე: **599-72-00-99.**

## „მაკა ასათიანის დედაზე, ქალბატონ ლუიზა თავართქილაძეზეა ნათქვამი – ლამაზ სხეულში ლამაზი სულია!“



ლუიზა თავართქილაძე და კრისტი ყიფშიძე

# კრისტი ყიფშიძე: გვქონოდეს ლამაზი დღეები!

***ცნობილ მოდელს კრისტი ყიფშიძეს ჩვენს მიერ საგანგებოდ შერჩეული ორი ფოტოს ისტორიის შესახებ ვკითხეთ. პირველზე ის გადაღებულია მაკა ასათიანის დედასა და ცნობილ ფეხბურთელ კახი ასათიანის მეუღლესთან ლუიზა თავართქილაძესთან ერთად, ხოლო მეორე ფოტოზე — სტუმრებთან ერთად მომღერალ მირანდა მირიანაშვილის სახლში:***

— ფოტო, სადაც მე და **მაკა ასათიანის დედა, ქალბატონი ლუიზა თავართქილაძე** ვართ აღბეჭდილი, გადაღებულია 2020 წლის 14 თებერვალს „**IArt**“ გალერეაში, ცნობილი მსახიობისა და მხატვრის **ჟანრი ლოლაშვილი**ს პერსონალური გამოფენის „სხვა ჟანრის“ გახსნის დროს. ჩემს მეგობარ **ნინო მეტრეველთან** ერთად ვიყავი მისული, წარმოდგენილი იყო შესანიშნავი ნამუშევრები. სწორედ ამ გამოფენას ესწრებოდა **ქალბატონი ლუიზა,** რომელიც დიდი ხანია, არ მენახა, რადგან თბილისში არ ცხოვრობს.

ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ გავიცანით ერთმანეთი, როდესაც მის ქალიშვილს **მაკა ასათიანს** მოდელების სახლი ჰქონდა. ეს იყო არაჩვეულებრივი დრო, ერთად ვიკრიბებოდით, მიმდინარეობდა გადაღებები, რეპეტიციები, იგეგმებოდა ჩვენებები... **ქალბატონი ლუიზა** შვილის დიდი გულშემატკივარი გახლდათ, მას ყოველთვის გვერდით ედგა და ჩვენც ყოველმხრივ გვამხნევებდა. ის მაშინაც ულამაზესი იყო, შესანიშნავი ოჯახის მქონე, მშვენიერი როგორც გარეგნულად, ისე პიროვნული თვისებებით. წლებმა ვერაფერი დააკლო მის სილამაზეს. სწორედ მასზეა ნათქვამი — ლამაზ სხეულში ლამაზი სულიაო.

**— რას იტყვით ნიკუშა შენგელაიას მიერ გადაღებულ ფოტოზე, სადაც სტუმრებთან ერთად ხართ მომღერალ მირანდა მირიანაშვილის სახლში?**

— ეს იყო 2021 წლის ზაფხული, **მირანდასთან** ბევრი ცნობილი ადამიანი იყო შეკრებილი, მას უყვარს მეგობრებისთვის მუსიკალურად გაფორმებული საღამოების მოწყობა. ყველას კარგი განწყობა გვქონდა, ვმღეროდით, ვიცინოდით. გადაწყვიტეს ფოტოს გადაღება, მირანდას გვერდით აღმოვჩნდი, მერე უცებ ვიღაც შემოგვემატა, მეც მინდა გადაღებაო და ასე მოვიყარეთ თავი. როცა ფოტოს დავხედეთ, გაგვეცინა, სკოლაში სწავლისას გადაღებულ ფოტოსურათს მივამსგავსეთ.

**— ამ ფოტოდან დადებითი ენერგია იფრქვევა...**

— ძალიან დასაფასებელია სტუმართმოყვარე, კეთილგანწყობილი ადამიანები და მათთან ერთად გატარებული საღამოები. მიხარია, რომ თბილისში ბევრია ასეთი ოჯახი. ამასთან, ადამიანმა საკუთარ თავს თვითონ უნდა შეუქმნას კარგი განწყობა, ლაღი უნდა იყოს, ირგვლივ სიყვარული უნდა სუფევდეს და, თუ ასე არ არის, ძალიან დასანანია. სანამ ადამიანები ერთმანეთის პატივისცემას არ ისწავლიან, არაფერი გვეშველება არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ყველგან დაძაბული სიტუაციაა, ყველგან სიყვარულის დეფიციტია და ამას თავისი მიზეზები აქვს. ამიტომ ჩვენ უნდა შევძლოთ ერთმანეთის სიყვარული, სხვაგვარად ძალიან ძნელია ცხოვრება. დაე, გვიყვარდეს და ვიცინოთ გულწრფელად და არა ხელოვნურად, როგორც კი კარგი განწყობა შეგექმნებათ, ყველაფერი კარგი შეგემთხვევათ. **არსებობს ენერგეტიკა, აურა, განწყობა და კოსმოსს როგორი ენერგეტიკითაც დაუკავშირდებით, უკანვე დაგიბრუნდებათ.** მთავარია, თავი კარგად იგრძნოთ იქ, სადაც ხართ. როცა ასხივებ ბედნიერებას, სამყარო ამას გრძნობს და გიბრუნებს. დაიმახსოვრეთ — თქვენი ცხოვრების დირიჟორები თქვენვე ხართ, სხვის სურვილებზე არ უნდა იაროთ. რაც არ გინდათ, არ გააკეთოთ და ეს სულაც არ ნიშნავს სხვის უპატივცემულობას.

**— ბევრი მეგობარი გყავთ?**

— მყავს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შეძენილი მეგობრები, ყველას თავისი როლი აქვს, ადრე ბევრი მეგობარი მყავდა, დღეს — არცთუ ისე ბევრი. პატარა რომ ვიყავი და ჩემგან ვიღაც მიდიოდა, მტკივნეულად აღვიქვამდი და ვერ ვხვდებოდი, ასე რატომ მოხდა. მაგრამ დღეს, როცა უკვე გამოცდილება შევიძინე, სხვაგვარად ვფიქრობ. რაც მთავარია, კონფლიქტი არავისთან მომსვლია, ცხოვრებას ვაგრძელებ, ხოლო, ვინც ჩემი ცხოვრებიდან გაქრა, შეიძლება, შეხვედრისას ერთმანეთს მივესალმოთ კიდეც, მაგრამ მეგობრობას აღარ ვაგრძელებთ.

საერთოდ, ერთგული ადამიანი ვარ, კარგი მსმენელი, როცა პრობლემის შესახებ მიყვებიან, მოსმენაც შემიძლია და რჩევის მიცემაც. ადამიანებთან ურთიერთობაში ადვილი არ არის წონასწორობის შენარჩუნება, მაგრამ საკუთარი თავის კონტროლს ვახერხებ და სიტუაციას აფეთქებამდე არ მივიყვან.

მინდა, ყველას გამოგიგზავნოთ თბილი და პოზიტიური იმპულსები, რათა საქართველოსა და მთელ მსოფლიოში მალე დაისადგუროს სიმშვიდემ და სიყვარულმა. გისურვებთ ბევრ სიხარულს და ეს ყველაფერი ნიშნავს ბედნიერებას. გვქონოდეს ლამაზი დღეები!

**— მეგობრებთან ერთად ხშირად მოგზაურობთ...**

— მოგზაურობა მიყვარს, პიროვნულად ეს ზრდის ადამიანს, თან ეცნობი უცხო ქვეყნის კულტურასა და ხელოვნებას, სამზარეულოს... მაგრამ ამ შემთხვევაშიც მთავარია შინაგანი განწყობა. შეიძლება, ფეშენებელურ სასტუმროში კომფორტულად მოეწყო, მაგრამ თავს ცუდად გრძნობდე და დადებითი ენერგია არ შემოდიოდეს შენში. ასეთი ადგილიდან ყოველთვის დროულად მივდივარ. ისე კი, მართალია, მოგზაურობა მიყვარს, მაგრამ ცხოვრება მხოლოდ თბილისში მინდა და, საერთოდ, სადაც დაიბადები, იქ უნდა იცხოვრო!



ფოტოზე: მანანა მირიანაშვილი, ნინო მეტრეველი, მაია ჯინჯიხაძე, კრისტი ყიფშიძე, მირანდა მირიანაშვილი, ეკა ქიქინაძე, ნანა ლორთქიფანიძე, მარიკა წეროძე, მედეა მირიანაშვილი, მაია ჟორჟაძე.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

# ხათუნა ხუნდაძე: როგორც 61 წლის წინათ გურამ თიკანაძე, ისევე დაიტირეს ვაჟკაცმა სვანებმა არჩილ ბადრიაშვილი და ზარით გამოაცილეს!



2024 წლის 10 აგვისტოს მწვერვალ შხელდიდან დაშვებისას დაღუპული არჩილ ბადრიაშვილი





1963 წლის 27 აგვისტოს მწვერვალ შხარიდან დაშვებისას დაღუპული გურამ თიკანაძე

***გასულ კვირას, 10 აგვისტოს, 34 წლის ალპინისტი არჩილ ბადრიაშვილი მწვერვალ შხელდაზე მეხის დაცემის შედეგად გარდაიცვალა. ამ ექსპედიციაში ის ბეშქენ ფილფანთან, ავთო და ნარიმან ჯაფარიძეებთან ერთად იმყოფებოდა. ტრაგედია მოხდა მწვერვალიდან დაშვებისას, როცა ამინდი გაუარესდა, ღრუბლები აირია, მეხი გავარდა და მისი დარტყმის შედეგად არჩილი კლდოვან უფსკრულში გადავარდა. ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ ის, ხათუნა ხუნდაძის მიწვევით, მესტიაში მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე იმყოფებოდა. ეს იყო მათი ბოლო შეხვედრა.***

**ხათუნა ხუნდაძე:** — დიდ ადამიანებს თითქოს ტრაგიკული ბედისწერა დასდევთ: დიდი მსახიობი სცენაზე უნდა გარდაიცვალოს, მაღალი კლასის ალპინისტი — მთაში და ვარსკვლავად იქცეს. **არჩილ ბადრიაშვილი** 34 წლის ასაკში უკვე იყო **თანამედროვე ქართული ალპინიზმის ვარსკვლავი,** „ოქროს წერაყინის“ მფლობელი. **გიორგი ტეფნაძესთან და ბაქარ გელაშვილთან** ერთად ასული იყო პაკისტანის მანამდე დაუპყრობელ მწვერვალ სარაგარზე (7 223 მ). მისი ერთ-ერთი ბოლო მნიშვნელოვანი ასვლა გახლდათ ინდოეთის ჰიმალაებში მწვერვალ ნანდა შორიზე (6 344 მ), რთულ და მიუვალ მწვერვალ ჩანგუჩზე (6 322 მ). 2023 წელს თემურ ქურდიანთან ერთად იმყოფებოდა ჩალტენის მასივის (არგენტინისა და ჩილეს საზღვარი) უმაღლეს მწვერვალზე Cerro FitsRoy-ზე (3 405 მ). არჩილს და მის მშობლებს ბავშვობიდან ვიცნობდი, სათნო და თავმდაბალი ადამიანი იყო და ძალიან გული მტკივა, რომ ის გამარჯვებები, რაც მან მოიპოვა, სათანადოდ ვერ დავაფასე.

**— ორი კვირის წინათ ის თქვენთან ერთად იმყოფებოდა მესტიაში გამართულ მოკლემეტრაჟიან და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე...**

— სპეციალური სტუმრის სტატუსით მოწვეული მყავდა ცნობილი მთამსვლელი და კინორეჟისორი **რაინჰოლდ მესნერი.** როდესაც ასეთ ლეგენდას იწვევ, მისი საპირწონე ადამიანები უნდა დაახვედრო. ამიტომ გადაწყვეტილი მქონდა, 2022 წლის „ოქროს წერაყინის“ მფლობელები **არჩილ ბადრიაშვილი, ბაქარ გელაშვილი და გიორგი ტეფნაძე** დამეპატიჟებინა. ბაქარი და გიორგი ექსპედიციაში იყვნენ, ამიტომ ფესტივალს მხოლოდ არჩილი დაესწრო, მთელი ერთი კვირა ჩვენ გვერდით გაატარა.

27 ივლისს ფესტივალი დაიხურა. ეს თავზარდამცემი ამბავი უკვე თბილისში, ტელევიზიით გავიგე. არჩილი ოქტომბერში მიწვეული იყო მესნერის სასახლეში იტალიაში, სადაც მხოლოდ გამორჩეულ და საპატიო ალპინისტებს იწვევენ. როდესაც **მესნერს** ეს საშინელი ამბავი გავაგებინეთ, იტირა, გულთან ახლოს მიიტანა ეს ტრაგედია. რაღაც სიმბოლურად მოხდა, ამ ფესტივალზე ჩემმა დამ მესნერს ჰკითხა — ოდესმე თუ გიტირიათო? (ჩემს დას მისი ფილმი აქვს თარგმნილი გერმანულიდან ქართულ ენაზე). მაშინ **მესნერმა** პირდაპირი პასუხი არ გასცა, ხოლო, როდესაც არჩილის ტრაგედიის გამო ატირდა, ჩემს დას ვუთხარი, შენს შეკითხვაზე პასუხი ახლა მიიღე-მეთქი.

ფესტივალზე ჩვენი სლოგანი იყო „მესტია — ლეგენდების შეხვედრის ადგილი“, **არჩილ ბადრიაშვილი** უკვე ლეგენდაა. 61 წლის წინათ, როგორც **გურამ თიკანაძე** დაიტირეს სვანეთში, ისევე დაიტირეს **არჩილ ბადრიაშვილი** და ზარით გამოაცილეს თბილისში.

**— ეს ტრაგედიაც დაშვებისას მოხდა, როგორც 61 წლის წინათ, როცა გურამ თიკანაძე შხარიდან ეშვებოდა...**

— დიახ, ასე მოხდა, დაშვებისას დაეცა მეხი და კლდოვან ნაპრალებში გადავარდა. საერთოდ, ეს მწვერვალი ძალიან საშიში ყოფილა და მისი ფერდებიც დიდი რაოდენობით შეიცავს მეტალს. ამ ექსპედიციაში ოთხნი იყვნენ: **არჩილი, ბეშქენ ფილფანი, ავთო და ნარიმან ჯაფარიძეები.** ასვლისას არჩილი ჯგუფს წინ უძღვებოდა, შუაში ახალბედები იყვნენ, ბოლოს — **ნარიმან ჯაფარიძე.** ჩამოსვლის დროს კი **ნარიმანი** იყო ჯგუფის წინ, სულ ბოლოს — **არჩილი.** ამინდი აირია, გაიელვა და მეხი გავარდა... როგორც ექსპერტმა თქვა, არჩილი იმ წამსვე გარდაიცვალა. მთელი სვანეთი შეძრა ამ ამბავმა, მაშველებმა **გიორგი ხერგიანმა, მიშა მარგიანმა და გოგა ჩართოლანმა** შეუძლებელი შეძლეს, არ შეუშინდნენ ქვათაცვენას, გზა, რომლითაც 8 საათი უნდა ევლოთ, 3 საათში გაიარეს. ვერტმფრენი ისეთ მიუვალ ნაპრალებში შედიოდა, სადაც გადარჩენის ერთი პროცენტი თუ იყო, მხოლოდ საწვავის ასაღებად გამოდიოდა იმ სივრციდან და უკან ბრუნდებოდა. ამოიყვანეს **არჩილის** ცხედარი, გადმოასვენეს მესტიაში, შემდეგ — თბილისში. მუხლმოდრეკით ვეუბნები მათ მადლობას. მთელი მსოფლიო შეძრა ამ ამბავმა.

**— მას ოჯახი არ დარჩა?**

— მშობლები და და... არჩილის დედა — ქალბატონი **ნინო მახაშვილი** ექიმია, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი, ხოლო მამა — მთამსვლელი. თვითონ **არჩილიც** პროფესიით ექიმი იყო, მშვიდი, მორიდებული, კარგად აღზრდილი. მე მას ბოდიშს ვუხდი, რომ სათანადოდ ვერ დავაფასე და ფართო აუდიტორიის წინაშე ისე ვერ წარვადგინე, როგორც ეკადრებოდა. საუბედუროდ, ქართველებს გვჩვევია საკუთარის ვერდაფასება და სხვისი აღიარება. **ძალიან ვწუხვარ და ქედს ვიხრი არჩილ ბადრიაშვილის ხსოვნის წინაშე.**




არჩილ ბადრიაშვილი და რაინჰოლდ მესნერი

•

საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული, **შხელდაზე** ტრაგიკულად გარდაცვლილი პირველი ალპინისტი იყო უკრაინელი **ნიკოლაი ხარკოვი,** შემთხვევა მოხდა 1935 წლის 30 ივლისს. 1977 წლის 12 აგვისტოს ცენტრალურ შხელდაზე ასვლისას დაიღუპა ალპინისტთა ჯგუფი ლენინგრადიდან — 4 წევრი. **არჩილ ბადრიაშვილამდე,** ბოლო ტრაგედია შხელდაზე მოხდა ზუსტად 19 წლის წინათ, **2005 წლის 23 აგვისტოს,** დაიღუპა ქვათაცვენაში მოხვედრილი **მიხეილ ჩაჩანიძე.** კვლევის მიხედვით, არჩილ ბადრიაშვილის ჩათვლით, შხელდაზე გარდაცვლილია **17 მთამსვლელი.**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



# „ჩემს სალობიეში ისეთივე სითბოა, როგორც მადლიან ქართულ ოჯახებში!“

**დიმიტრი ალავიძე:**

*მცხეთის სალობიე-საჭაშნიკეს ხელმძღვანელი, 84 წლის* **დიმიტრი ალავიძე** *გვიზიარებს ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლოს და ყურადღებას ამახვილებს ჯანსაღი საკვების მნიშვნელობაზე ადამიანის ორგანიზმისთვის:*

# მცხეთის მადლიანი ჰაერის, ჯვრის ტაძრისა და მტკვრის ხილვის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია!

— ქართული სამზარეულოს კერძები გამოირჩევა არამარტო მრავალფეროვნებითა და სასიამოვნო გემოთი, არამედ ორგანიზმისთვის სასარგებლო თვისებებით. რეცეპტები საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა, თავის უნიკალურ გემოს იძენდა. მოგეხსენებათ, ჩვენი სალობიეს მთავარი კერძია ქოთნის ლობიო, რომელსაც წითელი, ე.წ. მინდვრის ლობიოთი ვამზადებთ. საკმაზად მთავარი კომპონენტია დაჭრილი ქინძი და ხახვი. ვისაც სახლში სურს ამ კერძის გაკეთება, ვურჩევთ, დაამატოს გატარებული ნიგოზიც. ლობიო არამარტო სასარგებლოა, არამედ ომის დროს ჩვენი ერის გადამრჩენელი კულტურაა, ლობიომ შიმშილისაგან გვიხსნა და ჯანმრთელობაც შეგვინარჩუნა.

**— ლობიოს სასარგებლო თვისებები?**

— არჩევენ რამდენიმე ჯიშის ლობიოს, თუმცა, მათში ვიტამინებისა და მინერალების შემცველობა თითქმის ერთნაირია. თეთრ მარცვალს ლობიანში იყენებენ, დანარჩენს ხარშავენ და კმაზავენ. ჩვენ წითელ ლობიოს ვამჯობინებთ, რომელიც დუშეთის რაიონიდან ჩამოგვაქვს. ის ორგანიზმს უზრუნველყოფს ცილებით, ხელს უშლის დაბერების პროცესს. გარდა ამისა, უამრავი ვიტამინის წყაროა, შეიცავს კალიუმს, მაგნიუმს, რკინას, გვიცავს ინფექციებისაგან, ხელს უწყობს ორგანიზმის გაჯერებას ჟანგბადით. ადრე ლობიოს ჭამას ურჩევდნენ ტუბერკულოზით დაავადებულებს, ამასთანავე ის თირკმლებიდან და შარდის ბუშტიდან გამოდევნის კენჭებს, ებრძვის ღვიძლის ანთებით პროცესებს. მეკითხებიან ხოლმე — ლობიო კვირაში რამდენჯერ უნდა ვჭამოთო? ვპასუხობ: ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, თუმცა, ლობიო ისეთი კერძია, როცა მოგესურვებათ, მაშინ მიირთვით.

**— გარდა ლობიოსი, ხორციან კერძებსაც ამზადებთ...**

— ჩვენთან მზადდება ხორციანი ღვეზელი, ხინკალი, მწვადი, ქაბაბი. ჩვენს მენიუში არ არის ხაშლამა. მოგეხსენებათ, თავიდან აქ მხოლოდ მცხეთური ღვეზელი და ხაჭაპური უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ საჭიროებამ მოიტანა ამ ობიექტის გაფართოება. მთავრობამ გადაწყვიტა საბანკეტო დარბაზის მიშენება, თუმცა, მაშინ, როდესაც ე.წ. მშრალი კანონი შემოვიდა, დარბაზი უმოქმედოდ დარჩა. ამიტომ დავიწყეთ ხინკლისა და ქაბაბის მომზადება. ხორცს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის კვების რაციონში. ცილების, ცხიმების, ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების საბადოა. თუმცა, არც ბევრის მიღებაა სასარგებლო და მისი ნაკლებობაც დაუშვებელია ბავშვებისა და მოზარდებისათვის. ვინაიდან ხინკალში გატარებული და შეკმაზული ხორცია მოთავსებული, თანაც მოხარშული, სრულიად უვნებელია. **ზოგადად კი, გახსოვდეთ, ჭამის დროს გასათვალისწინებელია ზომიერება. ხორციან კერძებს უხდება კარგი ღვინო.**

**— რომელ ღვინოს ანიჭებთ უპირატესობას?**

— ჩვენს სალობიეში ღვინო მოგვაქვს **ვაჩნაძეების ღვინის ქარხნიდან,** რომელსაც სპეციალურად ჩვენთვის ამზადებენ. გვაწვდის ბატონი **დათო დანელიშვილი.** ეს არის **წითელი ქინძმარაული.** გვაქვს თეთრი ღვინოც.

**— სამუშაო ოთახში გაქვთ ვასილ მჟავანაძისა და სტალინის ფოტოები. რომელი მარკის ღვინოს ანიჭებდნენ ისინი უპირატესობას?**

— **ვასილ მჟავანაძემ,** რომელიც ამ ადგილის ფუძემდებლად მიმაჩნია, როცა პირველად გვეწვია, **ჩხავერის ღვინო** დალია და მცხეთური ღვეზელი მიირთვა. ამ ობიექტის გახსნის მერეც ხშირად მოდიოდა და ღვეზლის შესაძენად რიგში დგებოდა, მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი იყო. რაც შეეხება **სტალინს,** საყოველთაოდ ცნობილია, რომ სუფრასთან ის ყოველთვის ხვანჭკარას სვამდა. **პირადად მე ყოველდღიურად სადილზე მივირთმევ ორ ჭიქა წითელ ღვინოს, ეს ძალიან სასარგებლოა, მეტი ალკოჰოლის მიღებას არ გირჩევთ.** ღვინო ხელს უწყობს სასიცოცხლო ძალების აღდგენას, კუჭში მჟავიანობის შენარჩუნებას, აფერხებს ათეროსკლეროზის ჩამოყალიბებას, ანადგურებს ბაცილებს.

**— სალობიეს გემრიელი კერძია მჭადი და ყველი. რომელ ყველს ანიჭებთ უპირატესობას, სულგუნს თუ იმერულს?**

— სულგუნი კარგია, მაგრამ მე იმერული მირჩევნია, რომელიც სპეციალურად იმერეთიდან ჩამოგვაქვს. ყველი შეიცავს კალციუმს, ცილას, ძვლების საშენ მასალას. და, რაც მთავარია, ორგანიზმისთვის აუცილებელია სუფრის მშვენება მწვანილი, რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას და ხელს უწყობს კანის სიჯანსაღეს.

**— სალობიეში — ამ სახალხო რესტორანში, მთავრობის წევრები ხშირად სტუმრობენ?**

— 1967 წლიდან ვინ არ მოსულა ჩვენთან, ქართული ტრადიციული სამზარეულოს კერძები ყველას უყვარს, ყოფილ თუ ახლანდელ მთავრობის წევრებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს. სიამოვნებით მიირთმევენ ლობიოსაც და ღვინოსაც. ჩვენს ყველა სტუმარს გულისხმიერებით ვხვდებით და ვემსახურებით. ქართველი ვარ, ვიცავ ქართველი კაცის ყველა ღირსებას, სტუმრის მიღებაც ვიცი, გამასპინძლებაც, პატივისცემაც და მისთვის გზის დალოცვაც. ჩემს სალობიეში ისეთივე სითბოა, როგორც მადლიან ქართულ ოჯახებში.

**— მიუხედავად იმისა, რომ სალობიეს მართვის სადავეები შვილიშვილს, უმცროს დიმიტრი ალავიძეს გადაეცით, მაინც მუშაობთ და ფორმაში ხართ...**

— მუშაობის გარეშე არ შემიძლია, მცხეთის მადლიანი ჰაერის, ჯვრის ტაძრისა და მტკვრის ხილვის გარეშე განა შეიძლება ცხოვრება? ამასთან, **1965 წლიდან, მას შემდეგ, რაც ვაკეში საცურაო აუზი გაიხსნა, ყოველდღე ცურვაზე დავდივარ, არასოდეს დამვიწყებია, რომ ჯანსაღი კვების გარდა, აუცილებელია სპორტი და ვარჯიში.**

## წესად აქციეთ საკუთარ თავზე ზრუნვა. როცა თავის მოვლა არ გეზარება, ოჯახსაც მიხედავ, ქვეყანასაც და ყველა სირთულეს დაძლევ!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## „ვასილ მჟავანაძემ, რომელიც ამ ადგილის ფუძემდებლად მიმაჩნია, როცა პირველად გვეწვია, ჩხავერის ღვინო დალია და მცხეთური ღვეზელი მიირთვა. ამ ობიექტის გახსნის მერეც ხშირად მოდიოდა და ღვეზლის შესაძენად რიგში დგებოდა, მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი იყო!“




გემრიელი ისტორია

ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **58-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში**
**გეპატიჟებათ!**





# მიხეილ ცაგარელი: ასტროლოგია და ჩვენი ოთხფეხა მეგობარი

*— რომელი ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ძაღლი გამოირჩევა გონიერებით და კომუნიკაციისათვის იყენებს ნაცნობ ქმედებას ან გამოხედვას? რომელს ძალუძს ემოციის გამოხატვა ხმით და სხვადასხვა ბგერით, თითქოს გელაპარაკებათ? რომელი ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ძაღლია დაჯილდოებული კეთილი ზნითა და დახვეწილობით და არის სოციალურად აქტიური, კონტაქტური, იმავდროულად კი პატრონზე, ოჯახის წევრებსა და ოჯახში მცხოვრებ ცხოველებზე მიჯაჭვული ანდა ვინ არის ძაღლთა შორის ყველაზე მისტიკური, იდუმალი, ამოუცნობი, რომელიც პატრონთან კონტაქტისას თითქოს მის აზრებს კითხულობს და ხდება მისი ერთგული მეგობარი და დამცველი. თუმცა, გაბრაზებაც იცის და განაწყენებისას თავისებურად სამაგიეროს გადახდა, დამალვა ან პატრონისგან გაქცევაც შეუძლია? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი ჩვენს ოთხფეხა მეგობარზე, კერძოდ კი იმაზე, თუ რისი ცოდნა გვმართებს ძაღლის შესახებ, თუ მის შეძენას ვაპირებთ?**

— **6. ქალწულის ზოდიაქოს (23 აგვისტო-22 სექტემბერი) განაგებს გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური, ამიტომაც ამ ნიშნით დაბადებული ძაღლიც გამოირჩევა გონიერებით და ყეფისას განსაკუთრებულ ხმებს გამოსცემს. იგი ხშირად საკუთარი გრძნობა-ემოციების გამოსახატავად და საკომუნიკაციოდ იყენებს განსაკუთრებულ ნაცნობ ქმედებას ან გამოხედვას.** სხვა ძაღლებთან შედარებით, **ქალწული-ძაღლი** ყველაზე იოლად იცავს წესრიგსა და დღის განრიგს. შეუძლია, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მიიღოს საკვები ანდა გასეირნება მოითხოვოს და სხვა. ასევე უყვარს და ესაჭიროება სისუფთავე და მოვლა, ამიტომ საჭიროებს ხშირ დავარცხნას და სხვა ჰიგიენურ პროცედურებს. **ქალწული-ძაღლი** ბევრს შრომობს, ცდილობს, ირგვლივ ყველა კმაყოფილი იყოს. განსაკუთრებით კი პატრონი. **მას ცვლილებები არ უყვარს, რადგან სიახლესთან შეგუება და მორგება უჭირს. სამაგიეროდ, შეუძლია ემოციების ხმით და სხვადასხვა ბგერით გამოხატვა, ამიტომ ნუ გაიკვირვებთ, თუ მასთან საუბრისას, ისიც თავისებურად დალაპარაკებას შეეცდება. წესრიგისა და სისუფთავის განსაკუთრებულად მოყვარული ქალწული-ძაღლი ძალიან იოლად ითვისებს ახალ ბრძანებას და სიამოვნებით ასრულებს.** ამავდროულად, საკვებს საკმაოდ არჩევით მიირთმევს, თუმცა, სიხარბეც ახასიათებს, ამიტომ არავის დაუთმობს არც თავის წილ საჭმელს და არც, მაგალითად, სათამაშოს. ამგვარი ძაღლის საუკეთესო მეპატრონე იქნება და თავადაც სიამოვნებას მიიღებს კუროს, ღრიანკალისა და თხის რქის ნიშნით დაბადებული ადამიანი.

**7. სასწორის ზოდიაქოს (23 სექტემბერი-22 ოქტომბერი) ნიშნით დაბადებულთა მმართველი გახლავთ სილამაზისა და სიყვარულის გამგებელი პლანეტა ვენერა, რომელიც სასწორ-ძაღლს სიმშვიდით, სილამაზით, სიყვარულისა და დიპლომატიის უნარით აჯილდოებს. მას შეუძლია გარშემო მყოფთა გრძნობები, ემოციები და სურვილები შეიგრძნოს. ამგვარი ძაღლი მეტად კეთილი ზნისაა და განსაკუთრებით არის მიჯაჭვული პატრონზე, ოჯახის წევრებსა და ოჯახში მცხოვრებ სხვა ცხოველებზე. მას მარტოობა არ უყვარს, ხალხმრავლობისას თავს კარგად გრძნობს და შეუძლია, ყველგან გაჰყვეს პატრონსა და ოჯახის წევრებს. ქაოტურ გარემოსა და სტრესულ სიტუაციაში კი თავს ცუდად გრძნობს. აფასებს ჰარმონიულობასა და სიმშვიდეს.** საკმაოდ ინტუიციურია და ადამიანების სიახლოვეს შინაგანად შეიგრძნობს. უყვარს პატრონისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. **სასწორი-ძაღლი გამოირჩევა მკვეთრი, კონკურენტული თვისებებით. შეუძლია ცხოვრების მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალოს კვების ჩვევა და პრიორიტეტები.** არ უყვარს რეჟიმის დაცვა და მაშინ ჭამს, როცა მოშივდება. **სოციალურად აქტიური და კონტაქტური სასწორი-ძაღლი გარეგნულად მეტად დახვეწილი და ლამაზია, თუმცა, ძალიან ადვილია მისი შეშინება,** რაც მაშინვე ემჩნევა. იგი ძალიან არის პატრონსა და ოჯახზე მიჯაჭვული, ამიტომ **ამგვარი ძაღლის ყოლა განსაკუთრებულ სიამოვნებას მიანიჭებს ტყუპის, ლომისა და მერწყულის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანებს.**

**8. ღრიანკალის ზოდიაქოს (23 ოქტომბერი-21 ნოემბერი) ნიშნით დაბადებული ძაღლი, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მისტიკური, იდუმალი და ამოუცნობია. მას სიღრმისეული სულიერ-ფსიქოლოგიური ხედვა გააჩნია და ძალუძს იმგვარი კონტაქტის დამყარება, რომ პატრონი ზოგჯერ ჩათვლის, თითქოს ძაღლი მის აზრებს კითხულობს. ღრიანკალი-ძაღლი, ძირითადად, მხოლოდ პატრონს ემორჩილება და მისი ერთგულია.** ამავდროულად, პატრონსაც და ძაღლსაც გარკვეული დრო სჭირდებათ, რათა ერთმანეთის ნდობა მოიპოვონ, მაგრამ შემდგომ, მთელი ცხოვრების მანძილზე, ძაღლი თავისი პატრონისთვის საუკეთესო მეგობარი, დამცველი და მოკავშირე იქნება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ღრიანკალი-ძაღლი** დამოუკიდებელი, ერთგული და საკმაოდ მიმზიდველია, თუმცა, გაბრაზებისას ან განაწყენების დროს ასოციალური ხდება, შეუძლია, ჯიბრიანად იმოქმედოს და გულნატკენი ისე დაიმალოს, რომ მისი პოვნა ვერავინ შეძლოს ანდა, სულაც პატრონისგან გაიქცეს. **ღრიანკალი-ძაღლი** ძლიერი ხასიათით გამოირჩევა. წყენასაც იმახსოვრებს და შეუძლია თვისებური მეთოდებით სამაგიეროს გადახდა. შესაბამისად, **მასთან ურთიერთობა მარტივი არ არის.** შინაგანი დაძაბულობისა და სტრესისგან გათავისუფლებისათვის ესაჭიროება ყოველდღიურად სეირნობა და ვარჯიში. **ამგვარი ძაღლი ყველაზე მეტად შეესაბამება კირჩხიბის, თხის რქისა და თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანებს.**

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 19 - 25 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**გაიზრდება თქვენი ურთიერთობის წრე და ინტერესს გამოიჩენთ რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად. სახლის საქმეები დამღლელი გახდება და მეტად მოისურვებთ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას. რაღაც მომენტში შეიძლება თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სიძლიერის სურვილიც დაგეუფლოთ, რაც უარყოფითად აისახება საქორწინო ან სასიყვარულო ურთიერთობაზე. ახალი ფილოსოფიური ხედვა სურვილების გაორებას და მიზნებში გაურკვევლობას შემოიტანს.**

**კურო** (21.04-20.05)
**ინტელექტუალური საქმიანობა და საშუამავლო ოპერაციები შემოსავლის წყაროდ იქცევა. დამატებითი ცოდნისა და ინფორმაციის მიღება სამომავლო მიზნების მიღწევაში დაგეხმარებათ. მიუხედავად ამისა, საბანკო და საფინანსო ოპერაციების შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო. ჯობს, დროებით არაფერი დიდი არ შეიძინოთ. საყვარელ ადამიანზე ნუ გაბრაზდებით და წყენას გულში ნუ ჩაიდებთ, რათა ურთიერთობა არ გაგიფუჭდეთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**პერსპექტიული თანამშრომლობა გაგიფართოებთ წარმატების შესაძლებლობებს სხვა ქალაქებსა ან ქვეყნებში მცხოვრებ პარტნიორებთან. პროფესიული საქმეები და საზოგადოებრივი საქმიანობა წინასწარ დაგეგმვასა და მომზადებას საჭიროებს. შორეული მოგზაურობა არამარტო ბევრ დადებით ემოციას გამოიწვევს, არამედ თქვენს შინაგან სამყაროსაც გაამდიდრებს. წვრილმანმა უთანხმოებამ კი შეიძლება პრობლემები შეუქმნას თქვენს სასიყვარულო ან საქორწინო კავშირს.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**მომავალზე, შემოსავლებსა და სტაბილურობაზე ფიქრი მთლიანად დაიკავებს თქვენს გონებას. ინტუიციის მეშვეობით შეიძლება მიაგნოთ საქმეს, რომელიც მომავალში მოგებას მოგიტანთ. არაა გამორიცხული ნათესავებთან ერთად წამოიწყოთ ბიზნესი, რაც კიდევ უფრო დაგაახლოებთ ახლობელ ადამიანებთან. უცნობებს ნუ ენდობით, განსაკუთრებით ფინანსურ საკითხებში. ყურადღებით იყავით გადაადგილებისას, რათა თავს აარიდოთ სირთულეები. ახალი ნაცნობობა შეიძლება დიდ სიყვარულში გადაიზარდოს.**

**ლომი** (23.07-23.08)
**გარშემო მყოფების მიმართ ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები გაგიჩნდებათ, დაირღვევა ჰარმონია და ურთიერთგაგება და შესაძლოა, თავი არაკომფორტულად იგრძნოთ. პირად ურთიერთობებში მოიმატებს არასტაბილურობა. შესაძლოა, გარკვეული პრობლემები გაჩნდეს ოჯახშიც. მოგზაურობისას სათანადოდ გადაამოწმეთ საბუთები, რათა ამის გამო პრობლემები არ შეგექმნათ. ჯანმრთელობის მდგომარეობის აღსადგენად კი შესაძლოა აუცილებელი გახდეს მკურნალობის ჩატარება.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**ამ პერიოდში გუნდურად მუშაობა დამღლელი მოგეჩვენებათ, ამიტომ უმეტესწილად განმარტოებას ამჯობინებთ. საუკეთესო მრჩევლები კი იქნებიან თქვენივე ლოგიკა და ინტუიცია. ეცადეთ, დაასრულოთ ბოლო პერიოდში დაწყებული საქმეები, რათა ახლო მომავალში ხელიდან არ გაუშვათ პერსპექტიული შემოთავაზებები. თავისუფალი დრო უმჯობესია, დახარჯოთ ოჯახზე, ნათესავებთან ურთიერთობაზე, დასვენებასა და ძალების აღდგენაზე. ეს კარგი დროა ახლო მოგზაურობისთვისაც.**

## 19 - 25 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**რთული პერიოდია. ბევრი რამე იქნება გაურკვეველი და შესაძლოა, მოგიწიოთ არჩევანის გაკეთება. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა შეიძლება გაგიჩნდეთ პარტნიორის ან კოლეგების გამოც. გააკონტროლეთ გრძნობები და ემოციები, რათა არავის ეჩხუბოთ. გაგიჭირდებათ ახალი კავშირების დამყარება. შინაგანი წონასწორობის აღსადგენად ჯობს სახლში მყუდრო გარემოში განმარტოება. ხელმომჭირნეობა დაგეხმარებათ ფულის დაზოგვაში. მოგზაურობა შეიძლება გადაიდოს.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ბიზნესის, ფინანსური ან სამსახურებრივი სირთულეების გადალახვისას გაითვალისწინეთ ყველა შესაძლო სიტუაცია და მხოლოდ შემდგომ იმოქმედეთ. მოერიდეთ კრედიტების აღებას და სხვისი ფულის გამოყენებას. ემიგრაცია, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა ან ცხოვრების წესის შეცვლა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. მოუთმენლობა კი პირად და სასიყვარულო ურთიერთობებს მეტად გაართულებს. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობასაც, ხშირად დაისვენეთ და კარგად იძინეთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**ახალი მიზნების გამო თამამად იტყვით უარს წარსულზე და არ მოერიდებით წინააღმდეგობებს. გარშემო მყოფები თქვენგან ელიან გააზრებული და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებას. თუმცა, ჯობს გადაწყვეტილებებიც და პირველი ნაბიჯებიც მოგვიანებით გადადგათ. მომავალში გადასაკეთებელი გახდება ამ პერიოდში დადებული ხელშეკრულებები. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას, ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან არ იყოთ აგრესიული და მოერიდეთ მოგზაურობას.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**მეტი ყურადღებაა საჭირო ფინანსური ოპერაციების ჩატარებისას, რათა არ დაუშვათ შეცდომები ან არაფერი გამოგრჩეთ. ხარჯები დაუკავშირდება ოჯახს, სახლის კეთილმოწყობას, რემონტს. როგორც არ უნდა გთხოვდნენ ახლობლები, ეცადეთ, გადადოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს და მოერიდეთ კაპიტალდაბანდებებს. მეუღლესთან ერთად შესაძლოა, მოგიწიოთ სადმე გამგზავრება, რაც სასიკეთოდ აისახება თქვენს შინაგან სამყაროსა და ჯანმრთელობაზე.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**გარემოებებზე დამოკიდებულებისაგან გიხსნით სამართლიანობის გრძნობა და კომპრომისზე დროულად წასვლის უნარი. ძალიან დაგჭირდებათ ხელმძღვანელებისა და ახლობლებისაგან აღიარების მოპოვება. კარიერაში ზრდისთვის აუცილებელია დამატებითი ცოდნის მიღება. მეუღლე ან საყვარელი ადამიანი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს თქვენს ცხოვრებაში. მეგობრებთან ერთად მოგზაურობისას გაიფართოეთ სანაცნობო წრე და თვალსაწიერი.**

**თევზები** (19.02-20.03)
**საკმაოდ ენერგიულად იგრძნობთ თავს, თუმცა, დამღლელი შრომა და მძიმე ფიზიკური ვარჯიში მიზანშეწონილი არაა. გამოცდილ, განათლებულ და ცნობილ ხალხთან შეხვედრა მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან ცოდნას შეგმატებთ, გაზრდილი ინტუიცია დაგეხმარებათ სწორი არჩევანის გაკეთებაში. თავი შეიკავეთ ალკოჰოლის მიღებისგან, რადგან ეს აგრესიას შეგმატებთ და კონფლიქტში გაგხვევთ. საყვარელ ადამიანთან თავშეკავებაა საჭირო, რათა შემთხვევით არ იეჭვიანოს. მოგზაურობა გადადეთ.**



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**19, 21 და 23 აგვისტო**

**4 აგვისტო - ახალმთვარეობა, პიკი - 15.14 საათზე.**
**19 აგვისტო - სავსემთვარეობა, პიკი - 21.22 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 19 აგვისტო, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.14 საათზე, ჩადის 18.55 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 19.05 საათზე, ჩადის 20 აგვისტოს 04.16 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 21.22 საათზე. **სავსემთვარეობაა.** პიკი — 22.29 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზაც). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.23 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: სავსემთვარეობის** დაძაბული დღეა. მაღალია აგრესია-დეპრესიულობის, ცდუნებების, შეცდომების, ავარიების, ტრავმების ალბათობა. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. მოერიდეთ სულსწრაფობის, ეგოიზმის, ამპარტავნობის გამოვლენას. სასიკეთოა ლოცვა და ყველას დალოცვა. არ არის სასურველი თვალების გადაღლა, ზედმეტი ლაპარაკი და საიდუმლოს გამხელა, ფულის სესხება-გასესხება, ალკოჰოლის მიღება, ფეხზე დიდხანს დგომა, ფანტაზიორობა. კარგი დღეა სწავლისთვის, მეცნიერული კვლევებისთვის, საზოგადოებრივ-ნოვატორული საქმიანობისთვის, დიეტის დასაწყებად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, თვალები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 20 აგვისტო, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.15 საათზე, ჩადის 18.53 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (02.56) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 19.32 საათზე, ჩადის 21 აგვისტოს 05.37 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 21.30 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 02.53 საათამდე. **ტენდენციები:** ტრავმულ-ავარიული დღეა. გრძნობა-სურვილები აკონტროლეთ. მოერიდეთ სიზარმაცესა და ზედმეტი სიამოვნების მიღების სურვილს. იმატებს განაწყენების ალბათობა. დღეს და ხვალ გააკონტროლეთ საჭმელ-სასმლის ხარისხი. კარგი დღეა მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ქორწინებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, შემოქმედებისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმიანობა, ახალი საქმის დაწყება, მოიშორეთ ცუდი, აკვიატებული აზრები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის.

## 21 აგვისტო, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.16 საათზე, ჩადის 18.52 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 19.56 საათზე, ჩადის 22 აგვისტოს 06.57 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 21.37 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მოვლენათა განვითარებას ყურადღება მიაქციეთ. შესაძლებელია ურთიერთობების გარკვევა. ცუდი აზრები გააკონტროლეთ. მოერიდეთ წუწუნსა და საკუთარი თავის შეცოდებას. კარგი დღეა რომანტიკული შეხვედრებისთვის, ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, შემოქმედებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ქველმოქმედებისთვის. არ არის სასურველი საიდუმლოდ საქმიანობა, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ფანტაზიორობა, ფიქრი წარსულზე, ახალი საქმის დაწყება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 22 აგვისტო, ხუთშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (18.56) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.17 საათზე, ჩადის 18.56 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.00) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 20.20 საათზე, ჩადის 23 აგვისტოს 08.16 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 21.43 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.55 საათიდან 03.03 საათამდე. **ტენდენციები:** მზის გადანაცვლება **ქალწულის** ზოდიაქოში გააძლიერებს ორგანიზებულობას, წესრიგისა და სისუფთავისკენ მიდრეკილებას, შეუპოვრობას, წვრილმანთა დანახვის უნარს და ასევე პრეტენზიულობას, კრიტიკულობას, პირდაპირობას, მესაკუთრეობასაც. დღეს ყურადღება გმართებთ, რათა მახეში არ გაებათ. ფულსა და ძვირფასეულობას გაუფრთხილდით. ის აკეთეთ, რაც ადვილად გამოგდით. კარგი დღეა მგზავრობისთვის, საყოფაცხოვრებო საგნების შესაძენად, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, საფინანსო ოპერაციები, ქორწინება. ეფექტურია შარდსასქესო სისტემის, ენდოკრინული სისტემის, ყელის, თირკმლების მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 23 აგვისტო, პარასკევი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.18 საათზე, ჩადის 18.48 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 20.44 საათზე, ჩადის 24 აგვისტოს 09.33 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 21.51 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.16 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მოვლენათა მსვლელობა აკონტროლეთ. ურთიერთობისას მეტი გონიერება და მოთმინება გამოავლინეთ. ნუ იკამათებთ. ეფექტური იქნება შარდსასქესო სისტემის, ენდოკრინული სისტემის, ყელის, კანის, თირკმლების მკურნალობა. კარგი დღეა მოგზაურობისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ხელშეკრულების დადება, წესების დარღვევა, სულსწრაფობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ბრილიანტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 24 აგვისტო, შაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.19 საათზე, ჩადის 18.47 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.00) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 21.11 საათზე, ჩადის 25 აგვისტოს 10.51 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 22.04 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 04.01 საათამდე. **ტენდენციები:** აქტიურად იმოქმედეთ და უარყოფით ემოციებს ნუ გამოავლენთ. დღეს და ხვალ გადაღლა გამოიწვევს უძილობასა და სისუსტეს. მხედველობას ნუ დაძაბავთ. ეფექტური იქნება შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, სამშენებლო მასალებისა და უძრავი ქონების შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სულსწრაფობა, ცივი სასმლის დალევა, კისრის მკვეთრი მოძრაობები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის.

## 25 აგვისტო , კვირა

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.20 საათზე, ჩადის 18.45 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 21.43 საათზე, ჩადის 26 აგვისტოს 12.09 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 22.16 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** სიბრძნის მიღების დღეა. გამახვილებულია ინტუიცია. სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება. არ არის სასურველი სიჯიუტის გამოვლენა, სულსწრაფობა, სარისკო ქმედება, კისრის მკვეთრი მოძრაობა, ცივი სასმლის მიღება, მჭრელ საგნებთან ურთიერთობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის, სამშენებლო მასალების, უძრავი ქონების შესაძენად, მშენებლობისთვის, ახალი ნაცნობობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.




# შევიძენ

ცნობილი ქართველი და საქართველოში მოღვაწე მხატვრების ნახატებს!

591 71 99 00


# საეკლესიო კალენდარი



**19 აგვისტო – ფერისცვალება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი**

✝ 19 აგვისტო. ორშაბათი. **ფერისცვალება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.** ყურძნისა და სხვა ნაყოფთა კურთხევა.

✝ 20 აგვისტო. სამშაბათი. **შემდგომი დღესასწაული უფლის ფერისცვალებისა.** ღირსმოწამისა დომენტი სპარსისა და ორთა მოწაფეთა მისთა; მოწამეთა მარინ მხედრისა და ასტერი სვინკლიტიკოსისა; ღირსისა ორე მონაზონისა; ღირსმოწამისა პოტამია სასწაულმოქმედისა.

✝ 21 აგვისტო. ოთხშაბათი. **ღირსისა ექვთიმე გარეჯელისა, წინამძღვრისა;** ემელიანე აღმსარებელისა, კვიზიკოელი ეპისკოპოსისა; მირონ სასწაულმოქმედისა, კრიტელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა ელევთერისი და ლეონიდისი.

✝ 22 აგვისტო. ხუთშაბათი. **მოციქულისა მატათასი, რომელი დაიდგინა იუდას წილ განმცემელისა;** მოწამისა ანტონი ალექსანდრიელისა; ღირსისა ფსოე მეგვიპტელისა; მოწამეთა: ივლიანესი, მარკიანესი, იოანესი, იაკობისა, ალექსისისა, დიმიტრისა, ფოტისა, პეტრესი, ლეონტისა, მარიამ პატრიკიასი და სხვათა; დიაკონისა სევერიანესი, აჭარელი აღმსარებლისა.

✝ 23 აგვისტო. პარასკევი. მოწამეთა: ლავრენტი მთავარდიაკონისა, სიქსტე პაპისა, ფელიქსიმე და აგაპიტე დიაკონთა და რომანოზისა, რომაელთა.

✝ 24 აგვისტო. შაბათი. მოწამისა ევპოლის მთავარდიაკონისა; მოწამისა სოსანა ქალწულისა და მისთანა: გაიოზ რომის პაპისა, გაბიანე ხუცისა, კლავდისა, მაქსიმესი, პრეპედიგნასი და ძეთა მისთა ალექსანდრესი და კუფესი.

✝ 25 აგვისტო. კვირა. ღირსმოწამეთა: გერონტი და სერაპიონ მღვდელმონაზონთა, ოთარ და სვიმეონ იეროდიაკონთა, გერმანე და ბესარიონ მონაზონთა და მიქაელ მორჩილისა — დავითგარეჯის მონასტერსა შინა ლეკთაგან მოწყვეტილთა; მოწამეთა: ფოტისა, ანიკიტოსი და მათთანა მრავალთა; მღვდელმოწამისა ალექსანდრესი, კომანელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა პამფილესი და კაპიტონისა.



**25 აგვისტო – ხსენება ღირსმონამეთა: გერონტი და სერაპიონ მღვდელმონაზონთა, ოთარ და სვიმეონ იეროდიაკონთა, გერმანე და ბესარიონ მონაზონთა და მიქაელ მორჩილისა – დავითგარეჯის მონასტერში ლეკთაგან მოწყვეტილთა**




# მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15. ქურდიანის №2.

თამარისი Tamarisi

# დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93    598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics

# მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას). მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით). სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ვერნისაჟი; 8. გოლგოთა; 12. მარქაფა; 13. სანდალოზი; 14. ლავსანი; 15. ჯამბაზი; 16. ამირეჯიბი; 21. ფრეგატი; 22. სიბერე; 25. პლანტატორი; 26. ჭიდილი; 29. დალანდი; 30. ბირობიჯანი; 35. ლაბადა; 36. შირაქი; 39. ბარბაროსები; 40. გირაო; 43. კალისტრო; 44. მინიმალური; 49. ლისტი; 50. ბიკინი; 53. ტრეფიკინგი; 53. კილი; 56. კოსტავა; 57. ყარაჩოხელი; 58. ზეკარი; 59. ნარინჯი; 60. ვანილინი; 61. კალია.

შვეულად: 1. ვესტა; 2. რენდი; 3. ივანე; 4. აზოტი; 5. იმიჯი; 6. ბრამსი; 7. კალაძე; 8. გალიფე; 9. ლევრეტი; 10. ონავარი; 11. აბილილი; 17. მილანი; 18. რონდო; 19. ჯვარი; 20. ბზობა; 22. სიდი; 23. ბელტი; 24. რანდა; 26. ჭილი; 27. დუბლი; 28. ლიდია; 30. ბობი; 31. რურკი; 32. ბრასი; 33. ჯდომა; 34. ნოე; 36. შიკი; 37. რელსი; 38. ქისტი; 40. გოლი; 41. რისკი; 42. ოდინი; 44. მარსალა; 45. ნაფნაფი; 46. მაკრონი; 47. ლონგეტი; 48. რაიკინი; 50. ბისერი; 51. კლაინი; 52. ნიაზი; 54. კუკია; 55. ლარდი.

პასივივატმანიანისიგარაჟირაფინადირიალიკაპი
კაბალიეპაგოდარიმესამეკარელიანოსირიელინეკი

| აქტივის საპირისპირო (ბუღალტ.) | ტრამვაის მძღოლი | ქალაქი თურქეთში | რიაზანოვის ფილმი | წმინდილი შაქარი | ირანის ფული | კავი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბურთის გადაცემა თანაგუნდელზე | გაუმარჯოს! | იტალიელი მსახიობი ქალი | თამბაქოს ნაწარმი | გრძელკისერა ცხოველი | მხეცი | ალვირის ნაწილი |



თარაზულად: 1. სამხატვრო გამოფენის გახსნის დღე; 8. მთა, სადაც ჯვარს აცვეს ქრისტე; 12. შემცვლელი, სათადარიგო; 13. ტროპიკული ხე; 14. ხელოვნური ბოჭკო; 15. ცირკის მასხარა, კლოუნი; 16. ქართველი მწერალი; 21. სამანძიანი, იალქნიანი სამხედრო გემი (ძვ.); 22. მოხუცებულობა; 25. პლანტაციის მეპატრონე; 26. შებმა, შეჯიდება; 29. გ. ტაბიძე — გემი ...“; 30. ებრაელთა ავტონომიური ოლქის ცენტრალური ქალაქი რუსეთში; 35. საწვიმარი; 36. ველი კახეთში; 39. არაბერძნები, არარომაელები ძველი ბერძნებისა და რომაელების სიტყვახმარებაში; 40. ვალის წინდი; 43. პლანეტა იუპიტერის კაშკაშა თანამგზავრი; 44. სულ მცირე, ყველაზე მცირე; 49. უნგრელი კომპოზიტორი; 50. ქალის საბანაო სამოსი; 53. თანამედროვე მონობის სახეობა; 54. მცირე ნაკლი; 56. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი; 57. წვრილი ვაჭარი ძველ თბილისში; 58. სუხიშვილების ცეკვა; 59. ციტრუსოვანი მცენარე; 60. ვანილის სუროგატი; 61. ნათესების მავნებელი მწერი.

შვეულად: 1. ყველაზე კაშკაშა მცირე პლანეტა; 2. სამხრეთ აფრიკის ფულის ერთეული; 3. რუსი „მრისხანე“ მეფე; 4. ქიმიური ელემენტი, უფერული გაზი; 5. პრესტიჟი, სახე; 6. გერმანელი კომპოზიტორი; 7. თბილისის მერი; 8, ერთგვარი სამხედრო შარვალი; 9. ოთახის მოკლებეწვიანი ძაღლი; 10. ცელქი; 11. ხვიარა დეკორატიული მცენარე; 17. ვინი პუჰის ლიტერატურული მამა; 18. ერთგვარი მუსიკალური ფორმა; 19. ქრისტიანობის სიმბოლო; 20. ქრისტიანული დღესასწაული; 22. პ. კორნელის დრამა; 23. ბარით მოჭრილი მიწის მონაკვეთი; 24. გრძელი შალაშინი; 26. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე; 27. ხელმეორედ გადაღებული კადრი კინოხელოვნებაში; 28. მცირე აზიის ძველი სახელმწიფო; 30. პოლიციელის მეტსახელი ინგლისში; 31. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 32. სპორტული ცურვის სახეობა; 33. ანტონიმი სიტყვისა „დგომა“; 34. ბიბლიური პერსონაჟი (წარღვნას გადარჩენილი); 36. დისნეის თაგუნა ... მაუსი; 37. მატარებლის სამოძრაო ძელი; 38. მუცალის ეროვნება (ვაჟა-ფშაველა — „ალუდა ქეთელაური“); 40. ბურთის გატანა კარში; 41. ალალბედზე მოქმედება; 42. უმაღლესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 44. ერთგვარი სადესერტო ღვინო; 45. ერთ-ერთი გოჭი სამიდან (ზღაპარი); 46. საფრანგეთის პრეზიდენტი; 47. თაბაშირის სახვევი; 48. რუსი სატირიკოსი მსახიობი; 50. წვრილი მძივი; 51. დიზაინერი კელვინ ...; 52. ტაჯიკი სახალხო მწერალი; 54. თბილისის უბანი; 55. გადამდნარი ღორის ქონი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი | ბუდისტური საკულტო ნაგებობა | ფულის მისაღები თამასუქი | ფეხბურთელის ამპლუა | სავანის ტიპი სამხრეთ ამერიკაში | კამბოჯის ფულის ერთეული | პატარა თითი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქალის სამოსი | ბალტიის-პირელი ბალერონი | ფრანგი რეჟისორი | სამის რიგობითი სახელი | რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკა | სოფელი სენაკის რაიონში | ავსტრიელი მწერალი ქალი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

☺ სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
👎 პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
😐 მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
? ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
♀♂ მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
⇩ მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
🔔 მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
📰 მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
👫 რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
☝ ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
🎁 შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19 ორშ. | ✈ | ⇩ | ? | ! | 🎁 | ☺ | 🎁 | 🔔 | 💣 | 🎁 | 💣 | 🌴 |
| 20 სამშ. | ☝ | 📰 | ☯ | 📰 | 🍷 | ☺ | ♀♂ | 🍷 | ✈ | ☯ | ⇩ | ✈ |
| 21 ოთხშ. | ♀♂ | ! | 💣 | ♀♂ | ☝ | ☝ | 😐 | 🌴 | ! | 🎁 | ✈ | 🂡 |
| 22 ხუთშ. | ✈ | 💣 | 🍷 | 😐 | 👍 | 😐 | ! | 🌴 | 📰 | ☯ | ! | ♀♂ |
| 23 პარ. | ☝ | ☯ | ! | ✈ | 🔔 | ♀♂ | ♀♂ | 🦁 | 👍 | 🍷 | 🦁 | ⇩ |
| 24 შაბათი | ⇩ | 😐 | 👎 | 📖 | 🤝 | 📖 | ☝ | 👫 | 🔔 | ⇩ | ☝ | 🍷 |
| 25 კვირა | 💣 | 🂡 | 🦁 | ☯ | 👍 | 📰 | 💣 | 💣 | ✈ | 💣 | 🂡 | ? |

🦁 რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
📖 შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
👍 კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
💣 მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
✈ წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
🤝 სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
🂡 ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
☯ შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
🍷 შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
! გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
🌴 იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2024 წლის 19 – 25 აგვისტო №35 (1553)
გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლჰოლიცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol